ნაპირის ერთ ნაწილამდე, ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის ტერიტორიის შუაგულამდე, ამის იქით კი სახელდება მხოლოდ ბიჭვინთა და მისი ახლომდებარე 3 სოფელი; საბუთებში სრულებით არ იხსენიება კოდორ-ფსოუს შუამდინარეთის არცერთი სხვა მსხვილი, თუ მომცრო გეოგრაფიული ობიექტი, ცხუმის გარდა, და მათში მოსახლე ადამიანთა პირსახელები და გვარები, რაც შეიძლება ამგვარად ავხსნათ: როგორც დადგენილია ისტორიკოსთა მიერ, ამჟამინდელი სამეგრელო და აფხაზეთი იმთავითვე ქართველური ეთნიკურ-ენობრივი კონტინუუმის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენდა, ხოლო XVI საუკუნიდან დაიწყო ამჟამინდელი აფხაზეთის მიწებზე კავკასიონის გადაღმიდან თანამედროვე აფხაზთა წინაპრების ინტენსიური ექსპანსია, რასაც მოწმობს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე არსებული ქართული თუ უცხოური წყაროები. ცნობილია ისიც, რომ აფხაზთა წინაპრებმა მხოლოდ XVII-XVIII სს. მიჯნაზე დაიწყეს კოდორის მარცხენა მხარეს, ანუ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის მიწაზე დასახლება. ბუნებრივია, ახლად მოსულ უპირატესად წარმართ და/ან მაჰმადიან აფხაზებს აფხაზეთის საკათოლიკოსოს, ქართული ეკლესიის წინაშე არანაირი იურიდიულ-სოციალური ვალდებულებები არ ჰქონდათ, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ისტორიულ საეკლესიო საბუთებში არ იხსენიება აფხაზური წარმომავლობის პირსახელები, გვარსახელები და გეოგრაფიული ნომენკლატურა. სამაგიეროდ, მდინარე კოდორიდან დაწყებული იმერეთის საზღვრამდე ათეულობით ონომასტიკური ერთეული დასტურდება, რომლებიც ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური მოდელების მიხედვითაა აგებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე და ჩვენს საანალიზო მასალაზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმდროინდელი აფხაზეთის ნაწილი მდ. ენგურიდან მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის ნაწილამდე ნამდვილად ქართული (მეგრული) მოსახლეობისაგან შედგებოდა, რაზეც მიუთითებს საანალიზო დოკუმენტებში გამოვლენილი ონომასტიკური მასალა. ამ მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს თითოეული მათგანის ქართველური წარმომავლობა. არცერთ შემთხვევაში არ დასტურდება აფხაზური წარმოშობის სახელები. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ქართველური წარმოშობის პირსახელი, გვარსახელი, თუ ტოპონიმი უდევს საფუძვლად ამჟამად უკვე აფხაზური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმირებულ, ან ამ ენის ფონოტაქტიკის წესების საფუძველზე სახეცვლილ აფხაზთა შორის გავრცელებულ პირსახელებს, გვარებსა და ტოპონიმებს. ამრიგად, ქართული ისტორიული და იურიდიული საბუთების კვლევამ აჩვენა, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ჩანს არაქართული მოსახ-

ლეობის ბინადრობის არანაირი კვალი არც პირსახელებში, არც გვარებსა და არც ტოპონიმებში. ეს მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო გაგრძელებაა.

***Sophie Kekua***
*Saint Andrew The First-Called Georgian University*

## ONOMASTICS OF ABKHAZIA

Onomastic research is of special importance, as each name – names of people, names of geographical objects, other – contain invaluable information for the study of this or that country, people's past life, customs, religious beliefs, cultural, social or political situation. Names, based on their semantics, often directly indicate their origin, the nationality of their creators, whether they are of local origin or migrated, etc. That's why a complete analysis of the onomastic material is necessary in order to determine the basis of the origin of each of them established on the exact etymology of the name.

It is known that today in the territory of occupied Abkhazia, toponyms are being changed en masse, as a result of which Georgian traces are being destroyed and history is being falsified. But on written sources and cartographic information, we can specify what was the onomastic situation here and where the real borders were. Therefore, this is a critical research issue.

The units of analysis, presented in this paper, are mainly taken from two documents of ecclesiastical and legal nature drawn up in the Middle Ages – "Iadgari of Bitchvinta" (1525-1550) and "Solution Tax Book of Apkhazeti Church" (1621). In these information about today's Abkhazia is relatively extensive.

Most of the research material chronologically covers the 16th-18th centuries, and the geographical area refers to the current Samegrelo as a whole, starting from the right bank of the Tskhenistskali River to the Enguri River and from Svaneti to Guria. As for present-day Abkhazia, the geographical boundaries of the research material distribution start from the Enguri River and continue to one part of the right bank of the Kodori River, to the midth of the territory of the current Gulripsha district, beyond which only Bitchvinta and its 3 nearby villages are named.

The documents do not mention any other large or small geographical locations of the Kodor-Psou river basin, except for Tskumi, and the names and surnames of

the people living in them. This can be explained as follows: as stated by historians, the current Samegrelo and Abkhazia from early on were inseparable parts of one and the same Georgian ethno-linguistic continuum. Since the 16$^{th}$ century the intensive expansion of the ancestors of the modern Abkhazians from across the Caucasus to the lands of present-day Abkhazia began, as evidenced by the Georgian and foreign sources available from ancient times to the present day. It is also known that the ancestors of the Abkhazians began to settle on the left side of Kodori, that is, on the land of the present Ochamchiri district, only at the edge of the 17$^{th}$-18$^{th}$ centuries. As the newly arrived settlers were mostly pagan and/or Muslim, obviously, they had no legal-social obligations to the Georgian Church of Abkhazia, which leads to the fact that the historical church documents analyzed by us do not mention names, surnames and geographical nomenclature of Abkhazian origin. Instead, from the Kodori river to the Imereti border, dozens of onomastic units are confirmed, which are built according to the morphological models characteristic of the Georgian triliteral language and Mengrel speech. Based on mentioned above and on our analysis of the existing material, we can confidently state that the part of Abkhazia of that time, from the river Enguri to the part of the right bank of Kodori river consisted indeed of the Georgian (Mengrel) population, which is indicated by the onomastic material revealed in the analysed documents.

The structural-semantic analysis clearly shows the Georgian origin of the studied material. Names of Abkhazian origin are not confirmed in any case. On the contrary, in many cases, it becomes obvious that the names, surnames, and toponyms, common among Abkhazians, were formed on the basis of the names, surnames, or toponyms of Georgian origin, changed by means of the Abkhazian morphological inventory, or changed based on the phonotactic rules of this language. Thus, the research of Georgian historical and legal documents has shown that before the 16$^{th}$ century, there are no traces of non-Georgian population in the territory of present-day Abkhazia, neither in personal names, nor in surnames, nor in toponyms. This area is a direct continuation of the onomastic space of Samegrelo.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**ბერაძე, 2013:** ბერაძე, თ. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი XVII საუკუნის 50-იანი წლების იტალიური რუკების მიხედვით. ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013;

**გვანცელაძე, 2000:** გვანცელაძე, თ. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი). „არტანუჯი“, საისტორიო ჟურნალი, თბ., 2000;

**გვანცელაძე, 2000:** გვანცელაძე, თ. ტოპონიმთა მასობრივი ცვლა აფხაზეთში 1864 წლის შემდგომ. იბერიულ-კავკასიური ენათმცნიერება, XXXIV, თბ., 2000;

**გვანცელაძე, 2008:** გვანცელაძე, თ. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. თბ., 2008;

**გვანცელაძე, 2009:** გვანცელაძე, თ. რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ახ. წ. VII საუკუნემდე? ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2009;

**გვანცელაძე, 2010:** გვანცელაძე, თ. ბა მარცვლის შემცველ ქართულ პირსახელთა და გვარსახელთა წარმომავლობისა და -ობა, -ება, -იბა, -(ა)ბა სუფიქსთა რაობის საკითხისათვის. ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრ., N2, თბ., 2010;

**გვანცელაძეები, 2015:** გვანცელაძე, გ., გვანცელაძე, თ. აფხაზეთის ტოპონიმები შუა საუკუნეთა ევროპულ პორტოლანებზე. ონომასტიკური კრებული. ახალაციხე, 2015;

**კეკელია, 2013:** კეკელია, ი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიიდან (სიდა, სუბეიში / სუბვი, წყაბა). ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013;

**კეკელია, 2015:** კეკელია, ი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიიდან (აითარნე, არუხა და რაბიწა). ფილოლოგიური პარალელები, სამეცნიერო შრომების კრებული, №7. თბ., 2015

**კეკუა, 2021:** კეკუა, ს. ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით. თბ., 2021;

**ლომთათიძე, 1976:** ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ- შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბ., 1976;

**ცხადაია: 1999:** ცხადაია, პ. ტოპონიმიკური ინტერფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999;

**ცხადაია, ჯოჯუა,** 2003: ცხადაია, პ., ჯოჯუა, ვ. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003:

**ცხადაია,2004:** ცხადაია,პ. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004.

**Beradze, 2013:** Beradze, T., The Northwestern Part of Odishi (Samegrelo) Principality According to the Italian Maps of the 50s of the 17$^{th}$ c. Kartvelian Onomastics, VI, Tbilisi, 2013.

**Gvantseladze, 2000:** Gvantseladze, T., Georgian Substrate Toponyms in Abkhazia (Sukhumi, Gagra, Tkvarcheli). «Artanuji», historical magazine, Tbilisi., 2000.

**Gvantseladze, 2000:** Gvantseladze, T., Mass Change of Toponyms in Abkhazia After 1864. Iberian-Caucasian Linguistics, XXXIV, Tbilisi, 2000.

**Gvantseladze, 2008:** Gvantseladze, T., Linguistic Foundations of Ethnic History of Abkhazia. Tbilisi, 2008.

**Gvantseladze, 2009:** Gvantseladze, T., What Language Was Spoken On the Land of Modern Abkhazia in the 7th c. AD? Kartvelian Heritage, Kutaisi, 2009.

**Gvantseladze, 2010:** Gvantseladze, T. For the Issue of the Origin of Georgian First Names and Surnames Containing the Syllable ba and the Origin of the Suffixes -oba, -eba, -iba, -(a)ba. Philological Parallels, Collection of the scientific papers, №2, Tbilisi, 2010.

**Gvantseladzes, 2015:** Gvantseladze, G., Gvantseladze, T., Toponyms of Abkhazia on Medieval European Portolans. Onomastic Collection. Akhalatsikhe, 2015.

**Kekelia, 2013:** Kekelia, I., On the Historical Toponyms of Abkhazia (Sida, Subeishi / Subvi, Tsaba). Kartvelian Heritage, XVII, Kutaisi, 2013.

**Kekelia, 2015:** Kekelia, I., On the Historical Toponyms of Abkhazia (Aitarne, Arukha and Rabitsa). Philological Parallels, Collection of scientific works, № 7. Tbilisi, 2015.

**Kekua, 2021:** Kekua, S. Onomastics of Odishi-Abkhazia According to Church Historical Documents. Tbilisi, 2021.

**Lomtatidze, 1976:** Lomtatidze, K.. Historical-Comparative analysis of Abkhazian and Abaz Languages. I. Phonological system and phonetic processes. Tbilisi, 1976.

**Tskhadaya: 1999:** Tskhadaya, P., On the Issue of Toponymic Interference on the Ethnic-territorial Border of Abkhazians and Mengrels. Kartvelian Heritage, III, Kutaisi, 1999.

**Tskhadaya, Jojua, 2003:** Tskhadaia, P., Jojua, V., Geographical name of Samurzakhano, Tbilisi, 2003.

**Tskhadaya, 2004:** Tskhadaya, P., Historical and Modern Toponyms of Samurzakhano. Tbilisi, 2004.

**გიორგი ანჩაბაძე**
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# ქართულ-აფხაზური ურთიერთობები უძველესი ხანიდან XIX საუკუნის ბოლომდე

ქართველი და აფხაზი ხალხების წინაპრები უძველესი დროიდან ცხოვრობენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში. მეცნიერებაში მიღებული აზრით, სწორედ მათი შექმნილია აქ არსებული პრეისტორიული ხანის არქეოლოგიური კულტურები და მათ შორის მაღალგანვითარებული კოლხური ბრინჯაოს კულტურა. კოლხეთის ისტორიულ-კულტურულ რეგიონში უძველესი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჩნდება ძვ. წ. VI საუკუნის ახლოს. ახ. წ. I ათასწლეულში აღნიშნულ ტერიტორიას მთლიანად მოიცავდნენ ეგრისის (ლაზთა) (III-VII სს.) და აფხაზთა სამეფოები (VIII-X სს.).

აფხაზთა სამეფომ დიდი როლი შეასრულა XI–XV საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნაში, რაზეც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ პერიოდის უცხოურ (ბერძნულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ, რუსულ) წერილობით წყაროებში ტერმინები „საქართველო" და „აფხაზეთი", „ქართველები" და „აფხაზები" – სინონიმურ მნიშვნელობას იძენენ, ასე იწოდებოდა მთლიანად საქართველოს სამეფო და მისი მოსახლეობა. ამასთან ერთად ტერმინები „აფხაზეთი" და „აფხაზები" ინარჩუნებენ პირვანდელ მნიშვნელობასაც, რჩებიან საკუთრივ აფხაზეთისა და ეთნიკური აფხაზების აღმნიშვნელ სახელებად.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს პერიოდში აფხაზეთის კულტურული ცხოვრება სულ უფრო მეტად იძენს სრულიად საქართველოსათვის დამახასიათებელ იერსახეს, რაც იმით აიხსნება, რომ აფხაზეთი ამ დროს განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს წამყვან ცენტრალურ რეგიონებს. ბერძნული ენა, რომელიც ადრე აფხაზეთში ძირითადი სამწერლობო ენა იყო, იცვლება ქართული ენით. დღემდე შემორჩენილი უძველესი დათარიღებული ქართული წარწერა აფხაზეთის ტერიტორიაზე შესრულებულია 1066 წელს. აფხაზები აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მათი ლაშქარი ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანეს ომში მონაწილეობს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, აფხაზთა რჩეული რაზმები მუდმივად იმყოფებოდნენ სამეფო კარზე.

XVI საუკუნეში აფხაზეთი ცალკე სამთავროდ ყალიბდება. ეს ხანა ემთხვევა ოსმალთა გაბატონებას შავი ზღვის აუზში. აფხაზები ხშირად ჯანყდებოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. ასეთი გამოსვლების დროს აფხაზები ხშირად ქართველებთან ერთად მოქმედებდნენ. XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს შინაომებში. ამ ომების პროცესში აფხაზეთის მთავრებმა თავისი სამფლობელოები მდინარე ენგურამდე გააფართოვეს.

1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის პროტექტორატად იქცა, მაგრამ რეალურად რუსული ადმინისტრაციის გავლენა აფხაზეთში მინიმალური იყო 1864 წლამდე, როდესაც სამთავრო გაუქმდა აქ შემოღებული იყო რუსეთის უშუალო მმართველობა. მაგრამ რუსული მმართველობის საბოლოო განმტკიცება აფხაზეთში 1870-იანი წლების ბოლოს ხდება, ორი მასშტაბური აჯანყების (1866 და 1877 წწ.) ჩახშობისა და აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილის სამშობლოდან განდევნის შემდეგ.

*George Anchabadze*
*Ilia State University*

## GEORGIAN-ABKHAZIAN RELATIONS FROM ANCIENT TIMES TO THE END OF THE 19TH CENTURY

Ancestors of the Georgian and Abkhaz peoples since ancient times lived in the Eastern Black Sea region. According to scientists, they were the creators of the prehistoric archaeological cultures that existed here, including the highly developed Colchis bronze culture. The oldest states in the Colchis historical and cultural region arose around the 6th century. BC. In the first millennium AD the kingdoms of Lazica (3rd-7th centuries) and Abkhazia (8th-10th centuries) covered this region.

The Abkhazian kingdom played an important and positive role in the creation of a single Georgian state of the 11–15 centuries, as indicated by the fact that at least foreign historical (Greek, Persian, Arab, Armenian, Russian) written sources the terms “Georgia” and “Abkhazia”, “Georgians” and “Abkhazians” act as synonyms, designating the Georgian kingdom and its entire population. At the same time, the terms “Abkhazia” and “Abkhazians” retained their original meaning, in the meaning of Abkhazia and ethnic Abkhazians.

During the period under review, the cultural life of Abkhazia acquires an increasingly typical feudal character, characteristic of all of Georgia at that time. This is

explained by the fact that Abkhazia was economically and politically connected with the leading central regions of Georgia more than ever before. Greek, which used to be the main written language in Abkhazia, is being replaced by written language in Georgian. The oldest dated Georgian inscription on the territory of Abkhazia, made in 1066. Abkhazians were actively included in the political life of Georgia. The Abkhaz army participated in all the main wars of the Georgian kingdom. In addition, selected Abkhaz detachments, as you can see, were always present during the imperial court during ceremonies of national importance.

In the 16th century Abkhazia is forming a separate principality. This period coincides with the dominance of the Ottoman Turks in the Black Sea Basin. Abkhazians often rebelled against the Turks, often acting together with the Georgians. In addition, the Abkhaz nobility actively participated in the internecine wars of Western Georgia. During these wars, the Abkhaz princes expanded their possessions to the Inguri River.

In 1810, the Principality of Abkhazia became a protectorate of the Russian Empire, although the real influence of the Russian administration in Abkhazia was minimal until 1864, when the principality was abolished, and direct Russian administration was introduced in Abkhazia. The final consolidation of Russian power took place by the end of the 1870s, after the suppression of two major uprisings (in 1866 and 1877) and the expulsion of more than half of the local population from Abkhazia.

## ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ / BIBLIOGRAPHY


*წყაროები:*

არქანჯელო ლამბერტი. “სამეგრელოს აღწერა” / თარგამანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1938.

გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1961.

გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. II / ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1952.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. 1–2 / გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962.

ევლია ჩელების “მოგზაურობის წიგნი”, ნაკვ. II / თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბილისი, 1973.

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.

ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII–XVIII სს.) / თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბილისი, 1982.

ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტ. I / ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1975.

*სულხან-საბა ორბელიანი.* მოგზაურობა ევროპაში / ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. ტფილისი, 1940.

ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო / თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. თბილისი, 1961.

ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955.

ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959.

*ნიკო დადიანი.* ქართველთ ცხოვრება / ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი, 1962.

*ლიტერატურა:*

*ანჩაბაძე გ.* ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, I (სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები) / Вопросы грузино-абхазских взаимоотношений, I. თბილისი, 2006.

*ანჩაბაძე გ.* ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, II / Вопросы грузино-абхазских взаимоотношений, II. თბილისი, 2011.

*ბერძენიშვილი ნ.* პ.ინგოროყვას წიგნის – "გიორგი მერჩულეს" გამო/ /"მნათობი", №12'1956.

*ბერძენიშვილი ნ.* საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი III. თბილისი, 1966.

*ლომთათიძე ქ.* აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ (პ. ინგოროყვას ნაშრომის "გიორგი მერჩულეს" გამო)/ /მნათობი. №12'1956.

*ლომოური ნ.* ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ. წ. V ს-ის ბოლომდე). თბილისი, 1968.

*მელიქიშვილი გ.* ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1973.

*ჯანაშია ს.* შრომები, II. თბილისი, 1952.

*ჯანაშია ს.* შრომები, III. თბილისი, 1959.

*ჯანაშია ს.* გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი/ /ს. ჯანაშია. შრომები, VI. თბილისი, 1988.

*ჯაფარიძე ო.* ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976.

Антелава И.Г. Очерки по истории Абхазии XVII–XVIII веков. Сухуми, 1949.

Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959.

*Анчабадзе З.В.* История и культура древней Абхазии. Москва, 1964.

Анчабадзе З. Дзидзария Г. Дружба извечная, нерушимая: очерки из истории грузино-абхазских отношений. Сухуми, 1972.

Берадзе Т.Н. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, 1989.

Дзидзария Г.А. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982.

Дзидзария Г.А. Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии XIX веке. Сухуми, 1958.

Archangel Lambert. "Description of Samegrelo" / Translated from Italian by Al. Chkonia. L. Asatiani's foreword, redaction and notes. Tbilisi, 1938.

Georgica: Notes of Byzantine Writers on Georgia. Vol. I / The Greek text published with Georgian translation and explanations attached by A. Gamkrelidze and S. Kaukhchishvili. Tbilisi, 1961.

Georgica: Notes of Byzantine Writers on Georgia. Vol. IV. P. II / The Greek text published with Georgian translation and explanations attached by S. Kaukhchishvili. Tbilisi, 1952.

Güldenstädt's Journey to Georgia. Vol. 1–2 / The German text published with Georgian translation and research attached by G. Gelashvili. Tbilisi, 1962.

Evliya Çelebi's "Travel Book", vol. II / Translated from Turkish, comments and research attached by G. Puturidze. Tbilisi, 1973.

Vakhushti Batonishvili. Description of the Kingdom of Georgia / text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi, 1973.

Ottoman Documentary Sources on Anaklia and Rukhi Castles (17th-18th centuries) / Turkish text prepared for publication with Georgian translation, introduction, terminological dictionary, facsimiles and indexes by N. Shengelia. Tbilisi, 1982.

Jacques François Gamba. Travel to Transcaucasia. Vol. I / Translated from French, comments attached by M. Mgaloblishvili. Tbilisi, 1987.

Jean Chardin's Journey to Persia and Other Eastern Countries (notes about Georgia) / Translated from French, researched and comments atteched by Mzia Mgaloblishvili. Tbilisi, 1975.

Sulkhan-Saba Orbeliani. Travel to Europe / Edited, foreword, notes and dictionary atteched by S. Iordanishvili,. Tfilisi, 1940.

Arrianus Flavius. Journey around the Black Sea / translation, research, comments and map by N. Kechaghmadze. Tbilisi, 1961.

12. The Georgian Chronicles / Text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. I. Tbilisi, 1955.

13. The Georgian Chronicles / Text established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. II. Tbilisi, 1959.

14. Niko Dadiani. Life of Georgians / Text published, foreword, research, comments, indexes and dictionary attached by Sh. Burjanadze. Tbilisi, 1962.

***References***:

*Anchabadze G*. Issues of Georgian-Abkhazian Relations, I (Articles, Appeals, Interviews) / Вопросы грузино-абхазских взаимоотношений, I. Tbilisi, 2006.

*Anchabadze G*. Issues of Georgian-Abkhazian Relations, II (Articles, Appeals, Interviews) / Вопросы грузино-абхазских взаимоотношений, II. Tbilisi, 2011.

*Berdzenishvili N*. Conserning P. Ingorokva's book – "Giorgi Merchule" / / "Mnatobi", №12, 1956.

*Berdzenishvili N*. Issues of Georgian History. Book III. Tbilisi, 1966.

*Lomtatidze K*. On some issues of the identity and location of Abkhazians (Conserning P. Ingorokva's book – "Giorgi Merchule") / / "Mnatobi", №12, 1956.

*Lomouri N*. History of the Kingdom of Egrisi (from its origin to the end of the 5th century AD). Tbilisi, 1968.

*Melikishvili G*. Some issues of the political unification of feudal Georgia and the development of feudal relations in Georgia. Tbilisi, 1973.

*Janashia S*. Works, II. Tbilisi, 1952.

*Janashia S*. Works, III. Tbilisi, 1959.

*Janashia S*. Giorgi Sharvashidze. Cultural-Historical Essay // S. Janashia. Works, VI. Tbilisi, 1988.

*Japaridze O*. For the issue of ethnic history of Georgian tribes. Tbilisi, 1976.

*Antelava I.G*. Essays in the history of Abkhazia XVII – XVIII centuries. Sukhumi, 1949 [Rus.]

*Anchabadze Z.V*. From the history of medieval Abkhazia (VI-XVII centuries). Sukhumi, 1959 [Rus.].

*Anchabadze Z.V*. History and culture of ancient Abkhazia. Moscow, 1964 [Rus.].

*Anchabadze Z.V. Dzidzaria G.* Eternal, Unbreakable Friendship: Essays from the History of Georgian-Abkhaz Relations. Sukhumi, 1972 [Rus.].

*Beradze T.N.* Sailing and sea trade in medieval Georgia. Tbilisi, 1989 [Rus.].

*Dzidzaria G.A.* Mahajirism and the problems of the history of Abkhazia in the 19th century. Sukhumi, 1982 [Rus.].

*Dzidzaria G.A.* National economy and social relations in Abkhazia in the 19th century. Sukhumi, 1958 [Rus.].

# II მოდული: აფხაზეთი: „აფხაზთა სამეფოდან“ ოკუპირებულ ტერიტორიამდე

**შალვა გლოველი**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

## „აფხაზთა სამეფოს“ ისტორია

VIII-IX სს. მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესი. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო „აფხაზთა სამეფო“. ეს სახელმწიფო წყაროებში „აფხაზთა“, ან კიდევ „ეგრისის“ სამეფოდ იხსენიება, რადგანაც სამეფო დინასტიის დამაარსებელი – ლეონ II იყო აფხაზეთის ერისთავი, თვით სახელმწიფოს ტერიტორია კი ისტორიული ეგრისის მიწა-წყალს მოიცავდა. აქედან გამომდინარე, ამ სამეფოს ზოგიერთი მკვლევარი „ეგრის-აფხაზეთის სამეფოს“ უწოდებს, ზოგიც – „აფხაზთა“ ან „ლიხსიქეთის“ სამეფოს სახელწოდებით მოიხსენიებს მას. მნიშვნელოვანია, რომ ამ სამეფოს სახელწოდება გულისხმობდა დასავლეთ საქართველოს.

საინტერესოა ამ სამეფოს ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორები. ჯერ კიდევ VI საუკუნეში ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სპარსეთსა (ირანი) და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომები. იმდროინდელი ორი უდიდესი იმპერიის ომების პოლიგონად ქცეული ეგრისის სამეფო, ბუნებრივია, დასუსტდა. მოგვიანებით, ამას დაემატა არაბთა თავდასხმები, რამაც საგრძნობლად იმოქმედა ეგრისის მდგომარეობაზე. „არაბობის“ ხანაში ეგრისს გამოეყო აფხაზეთი და ის უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაექვემდებარა. ამიერიდან აფხაზეთის ერისთავები იმპერატორის ვასალები ხდებიან. VII-VIII საუკუნეებში, ეგრისის დასუსტების პარალელურად, თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო/სამთავრო (საკუთრივ აფხაზეთი (ბერძნული წყაროების აბაზგია) აერთიანებს აბაზგებს, აფშილებს, სანიგებს, მისიმიელებს... განსახილველ პერიოდში სწორედ ტომთა ამ ერთობლიობას უწოდებენ ქართული წყაროები აფხაზებს, შესაბამისად – აბაზგიის მთავარს უწოდებენ – აფხაზთა მთავარს/აფხაზთა ერისთავს).

VI საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში ირანის მიერ მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, თანდათან მაინც გაძლიერდნენ ადგილობრივი აზნაურები. მათ მოახერხეს და VI საუკუნეშივე სახელმწიფოს სათავეში დააყენეს – ერისმთავარი (ერისთავთა თავი). ეს ტერმინი VI-IX საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურის აღმნიშვნელი ტერმინია. აქ ისმის კითხვა, ვინ იყო ტრადიციულად ქართლის სამეფოში ერისთავთა თავი? ეს იყო – მეფე. მაშასადამე, ქართლში ირანელი მარზპანის მმართველობის პარალელურად ირჩევენ ერისთავთა თავს – იგივე მეფეს, რომელსაც ერისმთავარი უწოდეს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ერისმთავრის ინსტიტუტის შექმნით და პირველი ერისმთავრის არჩევით, ქართლის სამეფოში ფაქტობრივად მეფე აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სპარსეთ-ბიზანტიის ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდა, მთავარ საკითხში – ყოფილიყო თუ არა ამ ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო მეფის ხელისუფლებით სათავეში – მათი ინტერესები თანხვედრილი იყო, არც ერთს არ სურდა ქართველი მეფე და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტია ქართლის ერისმთავრის არჩევა, რაც სახელმწიფოებრიობისათვის ქართველების ბრძოლის დიდ ძალისხმევაზე მიუთითებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება მაინც განსხვავდებოდა ადრინდელი ქართლის მეფის შეუზღუდავი ხელისუფლებისაგან. აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებაც, სწორედ, აფხაზეთის ერისთავისა და ქართლის ერისმთავრების ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ერთობლივი ბრძოლის წარმატებული მაგალითია.

VIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც არაბებმა თბილისში ამირა დასვეს და ქართლის ერისმთავართა ხელისუფლება საგრძნობლად შეავიწროვეს, პერიფერიებში, სადაც ნაკლებად იყო არაბთა გავლენა, იქმნება ახალი ქართული სამეფო-სამთავროები. მათ შორისაა აფხაზთა სამეფოც; სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოში გადასულ ერისმთავრებთან (არჩილი და მირი) შეთანხმებით, ჯერ გაერთიანდა ეგრის-აფხაზეთი. ერისმთავარმა არჩილმა თავისი გარდაცვლილი ძმის მირის ასული გურანდუხტი ცოლად შერთო აფხაზეთის ერისთავს - ლეონ I-ს. ფაქტობრივად ლეონი ქართლის ერისმთავრის ვასალი გახდა და ამგვარი დინასტიური ქორწინებით მიიღო ეგრისი. არჩილმა მას გადასცა ბიზანტიის იმპერატორისაგან მირისთვის გამოგზავნილი გვირგვინი, რაც ფაქტობრივად ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას ნიშნავდა. ამ ეტაპზე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას არ ეწინააღმდეგება ბიზანტიის იმპერია, პირიქით, როგორც ჩანს, ის მხარს უჭერს ამ პროცესს, რადგანაც, ჯერ ერთი, გაძლიერებული აფხაზთა სამთავრო არაბთა წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ძალაა, გარდა ამისა, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას ბიზანტია

საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებად აღიქვამდა. ამის მიუხედავად, მოგვიანებით ლეონ I-ის ძმისშვილმა – ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით, ხაზართა დახმარებით განუდგა იმპერიას, გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო ლიხის ქედამდე და მიიღო „აფხაზთა მეფის“ ტიტული (ლეონ II იწოდა „აფხაზთა მეფედ“, რადგანაც დინასტია იყო სწორედ აფხაზეთიდან გამოსული). მართალია, არ არის ცნობილი კონკრეტულად რომელი დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ აფხაზთა მეფეები, მაგრამ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მთლიანად ქართულია.

აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი, ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აფხაზთა სამეფოს სახელმწიფო ენა იყო ქართული. აფხაზთა მეფეები იბრძვიან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობისათვის და აქაც ბერძნულ ენას ეტაპობრივად ანაცვლებს ქართული. დასავლეთ საქართველოზე პოლიტიკური გავლენის დაკარგვის შემდეგ ბიზანტიის იმპერია დასაყრდენს დასავლეთ საქართველოს ბერძნულ საეპისკოპოსოებში ხედავდა. ამიტომაც, აფხაზთა მეფეები აქტიურად აუქმებენ ბიზანტიურ კათედრებს და მათ ნაცვლად ქართული საეპისკოპოსოები იქმნება. ამ ახალ საეპისკოპოსოებში წირვა-ლოცვა უკვე ქართულ ენაზე სრულდებოდა. IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მცხეთის ტახტს დაექვემდებარა.

ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ მაღალი განვითარების დონეს მიაღწია აფხაზთა სამეფოში. ამის დამადასტურებელია ქართული ხუროთმოძღვრების იმდროინდელი უნიკალური ძეგლები. ქართული კულტურის კერებად იქცა ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრები; აფხაზთა სამეფოში მოღვაწეობდნენ იოანე მინჩხი და სტეფანე სანანოის ძე ჭყონდიდელი, აქ შეიქმნა ქართული ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის უნიკალური ძეგლები; აფხაზთა მეფეების კარზე დაიწერა „აფხაზთა მეფეების დივანი“. მრავლადაა შემორჩენილია იმდროინდელი ეპიგრაფიკული ქართული წარწერები. დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა რეგიონში. X საუკუნეში აფხაზთა მეფე გიორგი II აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების პროცესში.

უმნიშვნელოვანესია აფხაზთა სამეფოს სახელმწიფოებრივი, რელიგიურ-კულტურული პოლიტიკა; მისი სახელმწიფო სისტემა, აფხაზთა მეფეების საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მიუხედავად ბიზანტიის არაერთი მცდელობისა მოეხდინა სამეფოს შიგნით არეულობა, ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთდაპირისპირება, იმ დროს არსებული სხვა ქართული სამეფო-სამთავროების აფხაზთა სამეფოსთან დაპირისპირება, აფხაზთა სამეფო მაინც არ

თმობდა პოზიციებს; აქ მოღვაწე იმდროინდელმა პოლიტიკურმა დასმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაშიც აქტიური როლი შეასრულა. IX საუკუნის დასაწყისიდან აფხაზთა სამეფო აქტიური მონაწილეა ქართულ სამეფო-სამთავროებში მიმდინარე იმ ბრძოლის რომლის მიზანიც ქართული ქვეყნების ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო. სათავე დაედო ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას და მისი პირველი მეფე აფხაზთა სამეფოს კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ ბაგრატიონი გახდა. გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე „აფხაზთა მეფის“ ტიტულია, რადგანაც ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ – ბაგრატ ბაგრატიონმა ყველაზე ადრე სწორედ „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო.

აფხაზთა სამეფოს პერიოდში გაფართოვდა ტერმინების „აფხაზისა“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ახლა უკვე ტერმინი „აფხაზი“ დასავლელ ქართველს, „აფხაზეთი“ კი დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა. აფხაზთა სამეფო იყო დასავლურ-ქართული სახელმწიფო. ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების შემდეგ, მეფეთა ტიტულატურაში „აფხაზთა მეფის“ ტიტულის პირველობის გამო ერთიანი საქართველოს მეფეებს ხშირად კვლავ „აფხაზთა მეფეებს“, ხოლო ერთიან საქართველოს – „აფხაზთა სამეფოს“ უწოდებდნენ.

***Shalva Gloveli***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## HISTORY OF THE "KINGDOM OF ABKHAZIA"

On the edge of the $8^{th}$-$9^{th}$ centuries the process of formation of new kingdoms-principalities is underway in the territory of Georgia. One of the most important was the "Kingdom of Abkhazia". This state in the historical sources is referred to as "Abkhaz" or "Egrisi" kingdom, because the founder of the royal dynasty – Leon II, was an "Eristavi" (duke)[1] of Abkhazia, and the territory of the state itself included the land of historical Egrisi. Therefore, some researchers call this kingdom the "Kingdom of Egris-Abkhazia", while others refer to it as the kingdom of "Abkhazia" or "Likhsiketi"[2]. It is important that the name of this kingdom meant Western Georgia.

---

1 Georgian "ერისთავი" (eristavi) literally means "the head of people".

2 "Likhsiketi" means – located beyond mountain range of Likhi.

The factors determining the formation of this kingdom are noteworthy. Back in the 6th century, long wars between Persia (Iran) and Byzantium were taking place on the territory of Egrisi. The kingdom of Egrisi, which became the battleground of the two biggest empires of the time, naturally enfeebled. Arab attacks of the later times had a tragic effect on the situation in Egrisi. During the Arab invasions Abkhazia was separated from Egrisi and it was directly subordinated to the Byzantine Empire. From that time on Abkhaz nobles become vassals of the Byzantine emperor. In the 7th-8th centuries, alongside with weakening of the Egrisi, the principality of Abkhazia gradually strengthened. Abkhazia itself – known as Abazgia in the Greek sources – includes the tribes of Abazgs, Apshils, Sanigs, Misimians... In the period in question, it is this combination of tribes that Georgian sources call the Abkhazians, respectively – they call the chief of Abazgia the duke of the Abkhazians.

In the first half of the $6^{th}$ century, after Iran abolished the king's authority in Kartli, the local nobility gradually became stronger. In the same $6^{th}$ century they succeeded to put the "Erismtavari"[1] (duke of dukes) at the head of the principality. In the Georgian historical writings of the $6^{th}$-$9^{th}$ centuries the term "Chief of People" (ერისმთავარი) refers to the head of the feudal state of Kartli. Here the question arises, who was traditionally the head of the nobility in the Kartli kingdom? It was the king. Therefore, in Kartli, in parallel with the rule of the Iranian Marzapan, the Head of the "Eristavis" is elected – the same king, who was called the "Erismtavari". Therefore, it can be said that with the establishment of the "Erismtavari" institution and the election of the first "Erismtavari", a king was actually elected in the Kingdom of Kartli.

Although in general the interests of Persia and Byzantium contradicted each other in Georgia, in the main issue – whether there should be a Georgian state in this territory with the authority of the king at the head – their interests coincided. None of them wanted a Georgian king and an independent Georgian state. Considering all this, the election of the "Erismtavari" of Kartli is a very important fact, which indicates the great efforts of Georgians in their struggle for statehood. However, it should be noted that the authority of the "Erismtavari" still differed from the unlimited authority of the earlier king of Kartli. The establishment of the Abkhazian kingdom is a successful example of the joint struggle of the Abkhazian and Kartli "Eristavs" for Georgian statehood.

---

[1] Georgian „ერისმთავარი" (erismtavari) literally means "the chief of people", among two ranks „ერისთავი" (head of people) and „ერისმთავარი" (chief of people) the later is higher, as it means "the chief of the heads of people", "duke of dukes". From this point in the translation will be used English transcriptions of the Georgian terms.

In the 2$^{nd}$ half of the 8$^{th}$ century, when the Arabs established an Emir in Tbilisi and significantly narrowed the power of the nobles of Kartli, new Georgian principalities were created in the peripheries, where the influence of the Arabs was less. Among them was the Kingdom of Abkhazia; Egrisi-Abkhazia was probably united by agreement with the "Eristavis" (Archil and Mir) who moved to Western Georgia. "Eristavi" Archil married his deceased brother Mir's daughter Gurandukht to Leon I, the "Eristavi" of Abkhazia. In fact, Leon became a vassal of the "Erismtavari" of Kartli and received Egrisi through such a dynastic marriage. Archil gave him the crown sent to Mir from the Byzantine emperor, which actually meant the unification of Egrisi and Abkhazia.

At this stage, the Byzantine Empire did not oppose to the unification of Egrisi and Abkhazia. On the contrary, it seems the Empire supported this process due to the following reasons: firstly, the strengthened Abkhaz principality was an important force against the Arabs, and secondly, Byzantium perceived Egrisi-Abkhazia unification as an expansion of its sphere of influence. Despite this, later Leon I's nephew, Leon II, took advantage of the weakening of the Byzantine Empire, with the help of the Khazars, he surrendered to the empire, united all of Western Georgia up to the Likh ridge and received the title of "King of Abkhazia" (Leon II was called "King of Abkhazia" because the dynasty was from Abkhazia). It is true that it is not known exactly which dynasty the Abkhazian kings were, but it can be said unequivocally that their state policy is entirely Georgian.

Kutaisi, the most important center of ancient Georgian statehood and culture, became the capital of the Abkhaz Kingdom. The state language of the Abkhaz Kingdom was Georgian. The Abkhazian kings struggled for the independence of the Church of Western Georgia from the Byzantine Empire, and here too the Greek language was gradually replaced by Georgian. After losing its political influence on Western Georgia, the Byzantine Empire found its foothold in the Greek bishoprics of Western Georgia. That's why the Abkhazian kings were actively canceling the Byzantine cathedrals and Georgian episcopal ones were created instead. In these new episcopal churches, services were already performed in the Georgian language. In the 9$^{th}$ century the Church of Western Georgia was finally subordinated to the seat of Mtskheta.

Georgian feudal culture reached a high level of development in the Kingdom of Abkhazia. This is confirmed by the unique monuments of Georgian architecture of that time. New Georgian episcopal cathedrals became centers of Georgian culture; Ioane Minchkhi and Stephane Sananoisdze-Tchkondideli worked in the Kingdom of Abkhazia, exceptional monuments of Georgian hagiography and hymnography were created here; "Divan of the Abkhazian kings" (The Chronicles of Abkhazian Kings) was written on the court of the Abkhazian kings. There are many epigraphic Georgian

inscriptions of that time. The Church of Western Georgia gained significant influence in the region. In the 10th century King George II of Abkhazia actively participated in the process of spreading Christianity in the North Caucasus.

The state, religious-cultural policy of the Abkhaz Kingdom, its state system, foreign and domestic policy of the Abkhazian kings is of vital importance. In spite of many attempts of Byzantium to make a disturbance within the kingdom, confrontation between claimants of the throne, confrontation of other Georgian kingdoms and principalities with the Abkhazian kingdom, the Abkhazian kingdom still did not give up its positions. The political group working here at that time also played an active role in the formation of a unified Georgian state. Since the beginning of the 9th century, the Kingdom of Abkhazia has been an active participant in the ongoing struggle between Georgian kingdom-principalities, the goal of which was to unify Georgian countries into one national state. The foundation was laid for the creation of a unified Georgian feudal state, and its first king was Bagrat Bagrationi, the legal heir of the Abkhazian kingdom. In the titulary of the kings of the united Georgia, the title of "King of Abkhazia" is on the first place, because Bagrat Bagration, the first king of united Georgia, received the title of "King of Abkhazia" first.

During the period of the Abkhazian kingdom, the meaning of the terms "Abkhaz" and "Abkhazia" expanded. Now the term "Abkhaz" meant Western Georgian, and "Abkhazia" meant the whole Western Georgia. Abkhazian kingdom was a Western-Georgian state. After the unification of the Georgian principalities, due to the primacy of the title of "King of Abkhazia" in the titulary of kings, the kings of united Georgia were often called "Kings of Abkhazia", and united Georgia – "Kingdom of Abkhazia".

## ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ / BIBLIOGRAPHY

*წყაროები:*

**ბასილი სოფენელი.** [ნოტიციები]. წგ.: გეორგიკა. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952;

**ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.

ექვთიმე **თაყაიშვილი.** რას შეიცავდა ე.წ. აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში. კრ. „ძველი საქართველო". საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. II. ტფ. 1913.

**იოანე საბანისძე.** წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა. წგ.: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. რედ. კ. კეკელიძე. ტფ. 1935.

**მატიანე ქართლისა.** წგ.: ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.

ვალერი **სილოგავა.** სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2004.

**სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბ. 1990.

**Darrouzès** J. Listes Épiscopales du Concile de Nicée (787). „Revue des Etudes Byzantines“”. 33. Paris. 1975.

*ლიტერატურა:*

შოთა **ბადრიძე.** აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. თსუ შრომები. 4 (143). თბ. 1972.

პავლე **ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954.

მარიამ **ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.). თბ. 1963.

დავით **მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრეაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ. 1980.

ზურაბ **პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. თბ. 1999.

Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми. 1959.

Джанашиа С. О времени и условиях возникновения Абхазского царства. Sromebi. II. Tb. 1952.

Лордкипанидзе М. Д. Абхазское царство. В кн.: Очерки истории Абхазской Асср. 1961.

Успенский Ф. История Византийской империи. II. Ленинград. 1927.

Major sources:

1. Basil of Sofena, Notitae. Ed.: Georgika. IV, part II. The Greek text translated into Georgian, and added explanations by Simon Kaukhchishvili. Tb. 1952;

2. Vakhushti Batonishvili. Description of the Kingdom of Georgia. Ed.: Life of Kartli. IV. The text is established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili. Tb. 1973.

3. Ekvtime Takaishvili. What did include the so-called “The history of Abkhazia” of King Bagrat, Which Was Used by Dositheus, Patriarch of Jerusalem, in His “History of the Patriarchs of Jerusalem”. “Old Georgia”. Collection of the Historical and Ethnographic Society of Georgia. II. Tf. 1913.

4. Ioane Sabanisdze, Martyrdom of the Holy and Blessed Martyr Abo, Who Was Tortured in Kartli, in the City of Tbilisi, By the Hands of the Saracens, Told by Ioane son of Sabani by the Order of Samoe, Catholicos of Kartli. Ed.: Early Feudal Georgian Literature. Ed. K. Kekelidze. Tf. 1935.

5. History of Kartli. Ed.: Life of Kartli. I. The text established by all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tb. 1955.

6. Valery Silogava. Georgian Epigraphy of Samegrelo-Abkhazia. Tb. 2004.

7. The Life and Tale of the Bagrationis, Kings of the Kartvels, from where they came to this land, and, from the time they possessed royal authority in Kartli, whose tale is described by Sumbat, Son of David. The text was prepared for publication, research, notes and searches were added by Gonel Arakhamia. Tb. 1990.

8. Darrouzès J. Listes Épiscopales du Concile de Nicee (787). “Revue des Etudes Byzantines”. 33. Paris. 1975.

*Scientific literature:*

1. Shota Badridze. About the Time and Conditions of the Origin of the Kingdom of Abkhazia. Works of the Tbilisi State University. 4 (143). Tb. 1972.

2. Pavle Ingoroqva. Giorgi Merchule. Georgian Writer of the $10^{th}$ Century. Essay on the History of Ancient Georgian Literature, Culture and State Life. Tb. 1954.

3. Mariam Lortkipanidze. Political Union of Feudal Georgia ($9^{th}$-$10^{th}$ centuries). Tb. 1963.

4. Davit Muskhelishvili. The Main Issues of the Historical Geography of Georgia. II. Tb. 1980.

5. Zurab Papaskiri. For Clarification of the Foreign Political Orientation of the “Abkhazian” Kingdom. Georgian diplomacy. Yearbook. Tb. 1999.

6. Anchabadze З. B., On the History of Medieval Abkhazia ($6^{th}$-$17^{th}$ cc.). Sukhumi. 1959.

7. Janashia C. About the Time and Conditions of the Emergence of the Abkhaz Kingdom. Works. II. Tb. 1952.

8. Lordkipanidze M. D. Kingdom of Abkhazia, in: Essays on the History of Autonomous Soviet Republic Abkhazia. 1961.

9. Uspenski, F., History of the Byzantine Empire. II. Leningrad. 1927.

**ბეჟან ხორავა**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# აფხაზთა საერისთავო და აფხაზთა სამთავრო

საქართველოს სამეფოს (XI-XV სს.) შემადგენლობაში აფხაზეთი საერისთავოს სახით შედიოდა, უფრო ზუსტად, წყაროებში იხსენიება აფხაზთა საერისთავო. საქართველოს შავიზღვისპირეთში შემდეგი საერისთავოები არსებობდა: აფხაზთა საერისთავო, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდ. ნიკოფსიიდან ანაკოფიის მდინარემდე და შავი ზღვიდან კავკასიონის ქედამდე; ცხუმის საერისთავო _ ანაკოფიის მდინარიდან მდ. კოდორამდე; ოდიშის საერისთავო _ მდ. კოდორიდან მდ. რიონამდე და შავი ზღვიდან მდ. ცხენისწყლამდე და კავკასიონის მთავარ ქედამდე.

საერისთავოებს საქართველოს მეფის დანიშნული მოხელეები, ერისთავები განაგებდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, იმავე საერისთავოს ერთიდაიგივე საგვარეულოდან ინიშნებოდნენ. აფხაზთა ერისთავები შარვაშიძეების საგვარეულოდან იყვნენ.

XIV საუკუნის დასაწყისში ოდიშის ერისთავმა ცხუმის საერისთავო შეიერთა. ამ დროიდან აფხაზთა საერისთავოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანაკოფიის მდინარეზე ოდიშის საერისთავო გაუმეზობლდა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო დაიშალა. ამ დროიდან, აფხაზთა საერისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მას სამხრეთ-აღმოსავლეთით კვლავინდებურად ოდიშის საერისთავო ესაზღვრებოდა. აფხაზთა საერისთავოს საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით გაგრის ვიწროებზე გადიოდა, სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა. ჯიქეთი, რომელიც ადრე აფხაზთა საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა, უკვე გამოსული იყო აფხაზთა ერისთავისა და, შესაბამისად, იმერეთის მეფის მორჩილებიდან. ასეთი პოლიტიკური ცვლილებების მიზეზი დასავლეთ კავკასიის მთის ტომების ჩამოსახლება გახდა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ეს პროცესი აფხაზეთში შორს იყო წასული, რისი აშკარა მოწმობაა ამ მხარეში ქრისტიანობის დაცემა და წარმართობის აღორძინება.

როდესაც დასავლეთ კავკასიის მთიელთა, ჯიქებისა და აფსუების, ჩამოსახლებამ აფხაზეთში ინტენსიური ხასიათი მიიღო, ამ მხარის მკვიდრმა მოსახლეობამ ვერ შეძლო მისი სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება.

ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა.

XVI საუკუნის შუა ხანებში ოდიშის საერისთავო გამოეყო იმერეთის სამეფოს და სამთავროდ ჩამოყალიბდა. აფხაზთა საერისთავო ოდიშის მთავრის ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროს რთული საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობით, გათავისუფლდნენ ვასალური დამოკიდებულებისაგან და აფხაზთა სამთავრო ჩამოაყალიბეს.

XVII საუკუნის 20-30-იან წლებში აფხაზებმა ოდიშის სამთავროზე თავდასხმები დაიწყეს. ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრა აფხაზეთში, მაგრამ მათი თავდასხმების აღკვეთას ვერ მიაღწია. 40-იან წლებში აფხაზთა სამთავროს საზღვარმა ოდიშთან მდ. კელასურზე გადმოინაცვლა. აფხაზთა თავდასხმების აღსაკვეთად ლევან II დადიანი იძულებული გახდა საზღვარზე საფორტიფიკაციო სისტემა აეგო და მკაცრად დაეცვა. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ოდიშზე აფხაზთა თავდასხმები დროებით შეწყდა.

1681 წელს აფხაზებმა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (ღალიძგა) მიიტაცეს. აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე შეუძლებელი შეიქნა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება, რის გამოც დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. მალე, აფხაზებმა, მდ. ეგრისწყლიდან მდ. ენგურამდე ტერიტორია მიიტაცეს. დაპყრობილი მხარის მოსახლეობის ნაწილი გადაიხვეწა, დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ; ვინც ადგილზე დარჩა, თანდათან გააფხაზდა.

აფხაზთა სამთავრო მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა და ცალკეულ მხარეებად იყოფოდა. აფხაზთა მთავარი ამ მხარეთა მფლობელების სიუზერენად ნომინალურად ითვლებოდა. 1810 წელს აფხაზთა სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა. რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით, აფხაზთა მთავარი, თანდათან მთელი აფხაზეთის მფლობელი რეალურად გახდა. რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით აფხაზთა სამთავრო აფხაზეთის სამთავროდ ჩამოყალიბდა.

***Bezhan Khorava***
*Sokhumi State University*

# THE PRINCEDOM OF ABKHAZIA AND THE PRINCIPALITY OF ABKHAZIA

Abkhazia was a part of the Kingdom of Georgia (11$^{th}$-14$^{th}$ cc.) as the Princedom of Abkhazia, or, more precisely, sources mention the Princedom of Abkhazia. There were the following princedomes in the Black Sea coast of Georgia: the Princedom of Abkhazia, which comprised the territory from the Nikopsia River to the Anakopia River and from the Black Sea to the Caucasian Range; the Princedom of Tskhumi – from the Anakopia River to the Kodori River; the Princedom of Odishi – from the Kodori River to the Rioni River and from the Black Sea to the Tskhenistskali River and the main Caucasus Range.

The princedomes were ruled by the officials – Princes (Mt'avari) – appointed by the king of Georgia. They were usually appointed from the same clans. The Mt'avari of Abkhazia were from the Sharvashidze clan.

At the beginning of the XIV century, the Mt'avari of Odishi annexed the Princedom of Tskhumi, and the Princedom of Odishi became a neighbor of the Princedom of Abkhazia from the southeast, on the Anakopia River.

In the second half of the 15$^{th}$ century, the Kingdom of Georgia disintegrated, and since then the Princedom of Abkhazia was a part of the Kingdom of Imereti. In the southeast, it still bordered on the Princedom of Odishi. Its northwestern border passed through the Gagra Gorge, where it bordered on Jiketi. Jiketi , which had previously been a part of the Princedom of Abkhazia, had no longer obeyed the duke of Abkhazia and, consequently, the king of Imereti. The reason of such political changes was the resettlement here of the mountain tribes of the West Caucasus. This process went far in Abkhazia in the second half of the 15$^{th}$ century, a clear confirmation of which is the decline of the Christianity and revival of paganism in this region.

When the resettlement of the West Caucasian mountaineers, Jiks and Apsuas, intensified, the local population of this region could not properly cope with it socially and religiously. As a result of the mixing of the resettled mountaineers with the local population, the modern Abkhaz (Apsua) ethnos was formed.

In the middle of the 16$^{th}$ century, the Princedom of Odishi seceded from the Kingdom of Imereti and formed the Principality. The Princedom of Abkhazia was in vassal dependence on the prince of Odishi. At the beginning of the 17$^{th}$ century, Abkhazians took advantage of the difficult foreign political position of the Odishi Principality, freed

themselves from their vassal dependence, and formed the Principality of Abkhazians.

In the 20-30ies of the 17th century, Abkhazians launched attacks on the Principality of Odishi. The Prince of Odishi Levan II Dadiani (1611- 1657) successfully invaded Abkhazia several times, but could not achieve the cessation of their attacks. In the 40s, the border of the Principality of Abkhazians with Odishi moved to the Kelasuri River. To stop the attacks of Abkhazians, Levan II Dadiani had to build a fortification system on the border and strictly protect it. Thanks to the measures taken, the attacks of Abkhazians temporarily ceased.

In 1681, Abkhazians captured the northwestern part of the Principality of Odishi from the Kelasuri River to the Egristskali (Ghalidzga) River. The functioning of the Christian church on the territory captured by Abkhazians became impossible, due to which the eparchies of Dranda and Mokvi were abolished. Soon afterwards, Abkhazians captured the territory from the Egristskali River to the Enguri River. The part of the population of the captured region moved, and the places they left were settled by Abkhazians; those who remained were gradually abkhazified.

The Principality of Abkhazians was not a single political unit and divided into separate parts. The Prince of Abkhazians was nominally considered an overlord of rulers of these parts. In 1810, the Principality of Abkhazians joined the Russian Empire as an autonomous principality. With the support of the Russian government, the Prince of Abkhazians gradually became a real ruler of all of Abkhazia and the Principality of Abkhazians turned into the Principality of Abkhazia.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი, _ ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970.

აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები (საკითხავი წიგნი), თბ., 2018.

**ილ. ანთელავა**, ლევან II დადიანი, თბ., 1990.

**გ. არახამია**, „ბიჭვინტის იადგარი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2009.

**ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.

**თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა**, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, თბ., 2013.

**ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

**კ. გრიგოლია**, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942.

**ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

**ს. კაკაბაძე**, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, „საისტორიო მოამბე“, წ. II, ტფ., 1925.

**კ. კვაშილავა**, სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან, თბ., 2012.

**დონ კრისტოფორო დე კასტელი**, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976.

**ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, მე-2 გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938.

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.

**პ. ცხადაია, ბ. ხორავა**, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.

**ფეშანგი**, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.

**ჟან შარდენის მოგზაურობა** სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

**ზ. პაპასქირი**, აფხაზეთი საქართველოა, თბ., 1998.

**ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბ., 2004.

**ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV- XVIII სს., თბ., 1996.

И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1951.

З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.

23. Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней, Тб., 2009.

Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960.

Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999.

Assays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days, Tb. 2011.

**Catholicate List of Abkhazia**, Monuments of Georgian Law. Texts, notes and indexes edited by Prof. I. Dolidze, vol. III, Tb., 1970.

**The Issues of the History of Abkhazia (Georgia)**, Tb., 2018.

**Il. Antelava**, Levan II Dadiani, Tb., 1990.

**G. Arakhamia**, „The Bichvinta Yadgar“ (Source-study research), Tb., 2009.

**Batonishvili Vakhushti,** Description of the Kingdom of Georgia, the text is established on the basis of all basic manuscripts by S. Kaukhchishvili, "The Georgian Chronicles", vol. IV, Tb., 1973.

**T. Beradze, K. Topuria, M. Sanadze, B. Khorava,** Historical Atlas of Georgia, I, Abkhazia, Tb., 2013.

**N. Berdzenishvili,** Issues of the History of Georgia, Tb., 1990.

**K. Grigolia,** Inscription of the St. George icon of Ilori, Bulletin of Institute of Language, History and Material Culture ("Enimki"), XIII, Tb., 1942.

**N. Dadiani**, Life of Georgians, text, preface, research, comments, indexes by Sh. Burjanadze, Tb., 1962.

**Don Cristoforo De Castelli**, Notes and Album about Georgia. text deciphered, translated, research and comments by Bezhan Giorgadze, Tb., 1976.

**Essays from the History of Georgia**. Abkhazia from ancient times till the present days, Tb. 2007, 2011.

**Jean Chardin's travels** into Persia and the East-Indies, translated from French, research and comments by Mzia Mgaloblishvili, Tb., 1975.

**S. Kakabadze**, The Great Yadgar of the Catholicate of Abkhazia, "Saostorio Moambe", b. II, Tf., 1925.

**B. Khorava,** Relations of Odishi-Abkhazia in the $15^{th}$-$18^{th}$ cc, Tb., 1996.

**K. Kvashilava**, From the Historical Past of Samurzakano, Tb., 2012.

**A. Lambert**, Description of Megrelia, translated from Italian by Al. Chkonia, second edition, preface, redaction and notes by L. Asatiani, Tb., 1938.

**Peshang**, Shahnavazian, redacted by G. Leonidze and Sol. Iordanishvili, Tb., 1935.

**Z. Papaskiri**, Abkhazia is Georgia, Tb., 1998.

**Z. Papaskiri**, Essays on the Historical Past of Modern Abkhazia, I, Tb., 2004.

**P. Tskhadaia, B. Khorava,** Geographic names of Abkhazia, Tb., 2016.

И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1951.

З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.

**Очерки из истории Грузии**. Абхазия с древнейших времен до наших дней, Тб., 2009.

**Очерки истории Абхазской АССР**, ч. I, Сухуми, 1960.

**Разыскания по истории Абхазии/Грузия,** Тб., 1999.

**ბეჟან ხორავა**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში XIX საუკუნეში

1810 წელს აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის დროისათვის აფხაზეთის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბზიფზე გადიოდა, სადაც მას ჯიქეთი ესაზღვრებოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთით, საზღვარი მდ. ღალიძგაზე გადიოდა, სადაც მას სამეგრელოს (ოდიშის) სამთავრო ესაზღვრებოდა; დასავლეთით – შავი ზღვა ეკვროდა, ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი კავკასიონის ქედს მიუყვებოდა.

აფხაზთა სამთავრო ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა, ის ცალკეულ მხარეებად იყოფოდა. აფხაზთა მთავრის ხელისუფლება მხოლოდ ბზიფის ოლქზე ვრცელდებოდა, გუმის და აბჟუას ოლქებს შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წევრები ფლობდნენ, ხოლო მთის თემებს – ფსხუს, წებელს და დალს მარშანიები განაგებდნენ. ისინი არ ცნობდნენ მთავრის ხელისუფლებას და არც რუსეთის მფარველობაში შესულან.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში სოხუმის ციხეს არ სცდებოდა, სადაც რუსების გარნიზონი იდგა. აფხაზები გამუდმებით თავს ესხმოდნენ რუსეთის ჯარის ნაწილებს. 1821 და 1824 წლებში აფხაზეთში ანტირუსული აჯანყებები მოხდა.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთის საბოლოოდ დამორჩილების მიზნით 1830 წელს შავი ზღვის მნიშვნელოვანი პუნქტები – გაგრა, ბიჭვინთა, ბამბორა დაიკავა. რუსებმა აქ ციხესიმაგრეები ააგეს და გარნიზონები ჩააყენეს. იმავე ხანებში, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის მთავარს აბჟუასა და გუმას მფლობელები დაუმორჩილა. ამდენად, აფხაზეთის სამთავრო მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის სამხედრო ძალით შეიქმნა. 1837 წელს რუსებმა იარაღის ძალით კოდორის ხეობის თემები წებელი და დალი დაიკავეს და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღეს. მიუხედავად ამისა, რუსული მმართველობა ამ მხარეში მტკიცე არ იყო. 1840-1841 წლებში წებელი და დალი ანტირუსულმა აჯანყებამ მოიცვა, რომელიც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო.

1864 წლის ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) რუსეთში გადაასახლეს, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. იმავე 1866 წელს აფხაზეთს სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა.

1866 წელს აფხაზეთი ანტირუსულმა აჯანყებამ მოიცვა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ 1867 წელს აფხაზთა ერთი ნაწილი ოსმალეთში იძულებით გაასახლა. ეს პროცესი ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. 1877 წელს აფხაზეთი ახალმა ანტირუსულმა აჯანყებამ მოიცვა. აჯანყების ჩახშობას მუჰაჯირობის ახალი ტალღა მოჰყვა. აფხაზთა მუჰაჯირობის შედეგად კოდორის ხეობა და აფხაზეთის სანაპირო ზოლი მოსახლეობისაგან მთლიანად დაიცალა.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზთა მუჰაჯირობის შედეგად რუსეთის ხელისუფლებამ საკოლონიზაციოდ ვრცელი ტერიტორია მიიღო. ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი უბოძა რუს ჩინოვნიკებს – სამხედრო და სამოქალაქო პირებს. იმავდროულად, 70-იანი წლებიდან აფხაზეთში მიმდინარეობდა „საკურორტო კოლონიზაცია“, მიწის ნაკვეთები სოხუმსა და მის შემოგარენში შეღავათიანი პირობებით გადაეცა რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს; იმავე ხანებიდან მიმდინარეობდა სამონასტრო კოლონიზაცია. ბიჭვინთაში და ფსირცხაში დაფუძნდა რუსული მონასტრები, რომელთაც ვრცელი მიწის ნაკვეთები გადაეცათ.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის ქართული სამყაროსაგან ჩამოშორებასა და რუსული აფხაზეთის შექმნას მიზანმიმართულად ცდილობდა.

***Bezhan Khorava***

*Sokhumi State University*

## RUSSIAN IMPERIAL POLICY IN ABKHAZIA IN THE XIX CENTURY

In 1810, Abkhazia joined the Russian Empire as an autonomous principality. By that time, the border of Abkhazia passed along the Bzipi River in the northwest, where it bordered on Jiketi, and along the Ghalidzga River in the southeast, where it bordered on the Principality of Samegrelo (Odishi); from the west it was surrounded by the sea, and in the north its border ran along the Caucasus Range.

The Principality of Abkhazians was not a single political unit and divided in separate parts. The authority of the Prince of Abkhazians extended only to the Bzipi

district, representatives of the princely house of Sharvashidze owned the Gumi and Abzhua districts, and the mountain communities – Pskhu, Tsebeli and Dali – were ruled by the Marshania. They did not recognize the rule of the Prince and did not come under the protection of Russia.

Russian rule did not go beyond the Sokhumi castle, where the Russian garrison was located. Abkhazians constantly attacked units of the Russian army. In 1821 and 1824 anti-Russian uprisings took place in Abkhazia.

In 1830, the Russian administration of the Caucasus occupied important points of the Black Sea – Gagra, Bitchvinta, Bambora – to finally subjugate Abkhazia. Russians built castles and placed garrisons there. At the same time, the Russian government subdued the rulers of Abzhua and Gumi to the Prince of Abkhazia. Thus, the Principality of Abkhazia was created only in the 30s of the XIX century by the Russian military force. In 1837, Russians by force of arms occupied the communities of the Kodori River – Tsebeli and Dali – and established direct Russian rule there. In spite of this, the Russian rule was not strong in this region. In 1840-41 years, an anti-Russian uprising swept over Tsebeli and Dali, which was brutally suppressed by the government.

In July 1864, the Russian government abolished the Principality of Abkhazia and imposed direct Russian rule. The last Prince of Abkhazia Mikheil Sharvashidze (1823-1864) was resettled in Russia, where he died in 1866. The same year, Abkhazia was renamed Sokhumi Military District.

In 1866, an anti-Russian uprising swept all over Abkhazia. After its suppression, the tsarist government expelled one part of Abkhazians to the Ottoman Empire. This process is known as Muhajirism. In 1877, another anti-Russian uprising broke out, the suppression of which was followed by a new wave of Muhajirism. As a result of the Muhajirism of Abkhazians, the Kodori Valley and Abkhazian coastline were completely emptied of population.

As a result of the abolition of the Principality of Abkhazia and the Muhajirism of Abkhazians, the Russian government received vast territory for colonization. It gave large lands to Russian officials – military and civilian. At the same time, the "resort colonization" began from the 70s; Russian officials and officers were granted land plots in Sokhumi and its environs on favorable terms; monastic colonization was underway as well; Russian monasteries were founded in Bitchvinta and Psirtskha, which were also given large land plots.

The Russian government deliberately tried to tear Abkhazia from the Georgian world and create Russian Abkhazia.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები (საკითხავი წიგნი), თბ., 2018.

**თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა**, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, თბ., 2013.

**ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

**კ. კვაშილავა**, სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან, თბ., 2012.

ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.

**პ. ცხადაია, ბ. ხორავა**, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.

**ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბ., 2004.

**ბ. ხორავა**, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, თბ., 2011.

**ბ. ხორავა**, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2014.

Г. А. Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.

Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, – Труды, I, Сухуми, 1988.

Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней, Тб., 2009.

Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960.

З. В. Папаскири, Абхазия. История без фальсификации, Тб., 2010.

Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999.

Б. К. Хорава, Мухаджирство абхазов 1867 года, Тб., 2013.

Assays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days, Tb. 2011.

**Essays from the History of Georgia**. Abkhazia from ancient times till the present days, Tb. 2007, 2011.

**T. Beradze, K. Topuria, M. Sanadze, B. Khorava,** Historical Atlas of Georgia, I, Abkhazia, Tb., 2013.

**N. Dadiani**, Life of Georgians, text, preface, research, comments, indexes by Sh. Burjanadze, Tb., 1962.

**The Issues of the History of Abkhazia (Georgia)**, Tb., 2018.

**B. Khorava,** Abolition of the Abkhazian Province and Mikheil Sharvashidze, Tb., 2011

**B. Khorava,** The Muhajirism of Abkhazians in 1867, Tb., 2014.

**K. Kvashilava**, From the Historical Past of Samurzakano, Tb., 2012.

**P. Tskhadaia, B. Khorava,** Geographic names of Abkhazia, Tb., 2016.

**Z. Papaskiri**, Essays on the Historical Past of Modern Abkhazia, I, Tb., 2004.

Г. А. Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.

Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, – Труды, I, Сухуми, 1988.

**Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней**, Тб., 2009.

**Очерки истории Абхазской АССР**, ч. I, Сухуми, 1960.

З. В. Папаскири, Абхазия. История без фальсификации, Тб., 2010.

**Разыскания по истории Абхазии/Грузия,** Тб., 1999.

Б. К. Хорава, Мухаджирство абхазов 1867 года, Тб., 2013.

**კახა კვაშილავა**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# სამურზაყანო XVIII-XIX საუკუნეებში

გვიან შუა საუკუნეებში, შინაომებითა და გარე აგრესიით დასუსტებული ოდიშის შეჭირვებული მდგომარეობით წარმატებით ისარგებლა აფხაზეთის სამთავრომ და შარვაშიძეებმა ყოფილ სიუზერენს მნიშვნელოვანი ტერიტორია ჩამოაჭრეს მდინარე ენგურამდე. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, აფხაზეთის სამთავროს ფარგლებში, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში, ჩამოყალიბდა სამურზაყანოს საუფლისწულო სამფლობელო, შარვაშიძეთა გვერდითი შტოს ხელმძღვანელობით. ამ პოლიტიკურმა ერთეულმა საკუთრივ აფხაზეთის სამთავროს საზღვრებში მხოლოდ რამოდენიმე წელი იარსება. მალე, 1702 წელს სამეგრელომ მდ. ღალიძგამდე ნაწილობრივ აღადგინა თავისი პოლიტიკური გავლენა და რეგიონი დადიანებისა და აფხაზეთის მთავრის ორმაგი გავლენის ქვეშ მოექცა. თუმცა, აქ ოდიშართა უპირატესობა აშკარა იყო, რადგან ადგილობრივ შარვაშიძეთა ხელისუფლება დადიანთა „მხლედ" ანუ ვასალად დადგა. მათ ევალებოდათ, სამეგრელოს მთავრის დაძახებაზე, ლაშქრად გამოსვლა და გარკვეული გადასახადები. მაგრამ დადიანის ხელისუფლება სამურზაყანოელ შარვაშიძეთა მიმართ, ერთგვარი „კონდომინიუმის" პრინციპიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო. მას არ შეეძლო სამურზაყანოს საშინაო საქმეებში ჩარევა, მათ შორის, ხელისუფლების შეცვლა. ამ ვითარებამ განაპირობა სამურზაყანოში გვიან შუა საუკუნეების აფხაზებისთვის დამახასიათებელი მიწათმფლობელობის სისტემისა და მასთან დაკავშირებული სოციალური წყობის დამკვიდრება, თუმცა, სამეგრელოს გავლენის გამო, აქ, აფხაზეთის სამთავროსაგან განსხვავებით, გარკვეული თავისებურებებიც შეინიშნებოდა.

ბუნებრივია, შარვაშიძეთა სახლი არ ურიგდებოდა სამურზაყანოში შექმნილ ორჭოფულ ვითარებას და მუდმივად ცდილობდნენ იქ ერთპიროვნულად გაბატონებას. ამ მისწრაფების ნაწილი იყო 1780 წლის რუხის ომიც, რომელმაც წერტილი დაუსვა აფხაზთა ექსპანსიას ენგურს გამოღმა. XVIIIს. მიწურულს სამეგრელოს სამთავროს შიდაარეულობებით ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ქელეშ-ბეიმ, რომელმაც შეძლო სამურზაყანოს გარკვეული ნაწილის მიმხრობა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ამ მხარეზე სამეგრელოს კონტროლის სრული დაკარგვა. ამ დროსაც სამურზაყანოელები მათზე და-

კისრებულ სადადიანო გადასახადს მაინც იხდიდნენ, რითაც სამეგრელოს მთავრის სიუზერენიტეტს აღიარებდნენ.

სამურზაყანოს ეს ორმაგი დამოკიდებულება 1805 წელს ფაქტობრივად მოიშალა, როდესაც მხარე რუსეთის „მფარველობის" ქვეშ შევიდა, ხოლო იმპერატორმა ოფიციალურად დაადასტურა ამ ერთეულის სამეგრელოს სამთავროსადმი კუთვნილება. ამ ფაქტის სამართლებრივი გაფორმება 1810 წელს შედგა, როცა დადიანებმა ისარგებლეს აფხაზეთის სამთავროში არეულობებით და სამურზაყანოს ხელისუფლად, მოურავის სტატუსით, ოფიციალურად დაამტკიცეს მანუჩარ შარვაშიძე, რომელიც მხარეს მართავდა 1790 წლიდან. მისთვის სამეგრელოს ადმინისტრაციული მოხელის თანამდებობის მიცემა ოდიშისადმი სამურზაყანოს მიერთებას ნიშნავდა.

სამურზაყანოს ადგილობრივი ელიტა ვერ ურიგდებოდა მხარის მმართველის სტატუსის დამცრობას. ისინი მუდმივად ეურჩებოდნენ სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებას, რომელიც მანუჩარ შარვაშიძის დაღუპვის შემდეგ, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთს ერთპიროვნულად მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ დადიანმა არაერთხელ დააფიცა სამურზაყანოელი დიდებულები მის ერთგულებაზე და აფხაზეთის მთავრებისგანაც არაერთხელ მიიღო ამ მხარეზე მისი მფლობელობის ოფიციალური დადასტურება, ვითარება მაინც უცვლელი იყო. სამურზაყანოს არისტოკრატია აფხაზეთის მთავრების ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით დადიანის ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა.

სწორედ ამ ვითარებაში, სამურზაყანოს დიდებულთა ერთ ნაწილში, რომელსაც თავადი თემურყვა ანჩაბაძე თავობდა, მომწიფდა აზრი სამურზაყანოზე რუსეთის იმპერატორის პირდაპირი ხელისუფლების დამყარების შესახებ. რუსეთის საოკუპაციო და კოლონიალური რეჟიმი, რომელიც სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროების ავტონომიურ არსებობას მხოლოდ დროებით მოვლენად განიხილავდა და პერსპექტივაში მათ გაუქმებას გეგმავდა, ბუნებრივია, იგივეს უპირებდა სამურზაყანოსაც, რომლის გარშემო დადიანებისა და შარვაშიძეების მუდმივი დავა ხელს უშლიდა დასავლეთ საქართველოში რუსეთის კოლონიალური სისტემის დამკვიდრებას. სანამ სანკტ-პეტერბურგის პოზიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მყიფე იყო, მას სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე დადიანის სახით, ამიტომ დროებით ადასტურებდა სამეგრელოს მთავრის იურისდიქციას სამურზაყანოზე. 1840 წლისთვის რუსეთმა საკმაოდ განიმტკიცა პოზიციები რეგიონში, საბაბად გამოიყენა სამურზაყანოზე აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროების დავა და ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთში თავისი პირდაპირი მმართველობა შემოიღო. ამასთან, რუსეთმა აქტიურად დაიწყო სამურზაყანოელთა წარმოშობის „მეცნიერული შესწავლა", რასაც მათი აფხაზობა უნდა დაემტკიცებინა. ეს იყო პირველი ნაბიჯი იმ გრძელვადიანი კოლონიური პოლიტიკისა, რომელსაც მომავალში

ქართველთა და აფხაზთა ისტორიული თანაცხოვრება უნდა მოეშალა, რათა ორი მოძმე ერი მოსისხლე მტრად ექცია. აღსანიშნავია, რომ უკვე 1843 წელს მთავარმმართებლის აპარატში ოფიციალურად აღიარეს ამ აქტის უკანონობა და მცდარობა, თუმცა იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ინტერესები ამ რეგიონში ამ შეცდომის გამოსწორებას უკვე აღარ ითვალისწინებდა.

ამასთანავე, საუბარი შეეხება სამურზაყანოს წარსულთან დაკავშირებულ იმ მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებს, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და, რომელიც ასევე, ჩვენს მიერ პირველად იქნა შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში.

***Kakha Kvashilava***
*Sokhumi State University*

## SAMURZAKANO IN THE 18TH-19TH CENTURIES

The lecture using special illustations will focus on the development and development of one of the historical-ethnographic provinces of Georgia – Samurzakano. Emphasis will be placed on the political face of the Samurzakano Sharvashidzes.

We have shown that the goal of Russian Tsarist colonial policy was split in centuries-long coexistence of Georgians and Abkhazians for separation these two fraternal peoples. First step in this way was a seizure Samurzakano from Samegrelo. In connection to this problem there are discovered some new archival documents in which is shown that by 1843 the apparatus of Governor admitted the illegality of seizure of Samurzakano.

In addition, we shall talk about the important historical documents relating to the past of Samurzakano, preserved at the Georgian National Center of Manuscripts and which were also first introduced into the scientific circulation by us.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**კ. კვაშილავა.** ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი. თბ., 2011;

**კ. კვაშილავა.** სამურზაყანოელ შარვაშიძეთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხისათვის, – *ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული.* ტ. II. ქუთაისი, 2010;

**კ. კვაშილავა.** სამურზაყანოელთა „ეთნიკური ვინაობის“ პრობლემა რუსულ ისტორიოგრაფიაში და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები, – *საერთაშორისო პერიოდული ჟურნალი „განათლება“*. #3, 2011;

**კ. კვაშილავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის (ერთი ახლადაღმოჩენილი საარქივო დოკუმენტის ანალიზი), – *„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“*. ტ. I. თბ., 2012;

**კ. კვაშილავა.** ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ – სამურზაყანოელ შარვაშიძეთა იდეა, – *„ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ტ. VI. თბ., 2015;

**კ. კვაშილავა.** გალის რაიონში ქართველთა დეეთნიზაციის პრობლემისათვის (2008-2018წწ.), – *„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“*. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2018;

**კ. კვაშილავა, თ. ქართველიშვილი.** ლევან შარვაშიძის ახლადმიკვლეული საბუთი, – *„ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები“*. ტ. XIX-XX. თბ., 2020;

**К. Квашилава.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой, – *„საისტორიო ძიებანი“*. ტ. 12. თბ., 2013-2015;

**K. Kvaşilava.** Kafkasya Arkeografık Cemiyeti Kayıtlarında Muhafaza Edilen Birkaç belgeye Göre 1806-1812 Osmanlı-Rus Savaşında Samurzakano-Abhazya Meselesi, – *Türk-Gürcü İlişkilerinin kaynakları.* Trabzon, 2018;

**K. Kvaşilava.** Abhazya Beyliği'nin Ruslar Tarafindan İlhaki Ve "Kafkasya Arkeografik Komisyon'un Akitlarina" Göre Osmanlı Devleti'nin Tutumu, – *Yeni ve Yakin Çağda Türk-Gürcü İlişkileri*. Trabzon, 2018.

**კ. კვაშილავა.** ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი. თბ., 2011;

**К. Квашилава.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой, – *საისტორიო ძიებანი.* ტ. 12. თბ., 2013-2015;

**K. Kvaşilava.** Kafkasya Arkeografık Cemiyeti Kayıtlarında Muhafaza Edilen Birkaç belgeye Göre 1806-1812 Osmanlı-Rus Savaşında Samurzakano-Abhazya Meselesi, – *Türk-Gürcü İlişkilerinin kaynakları.* Trabzon, 2018.

**ზურაბ პაპასქირი**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# რუსეთის იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XX საუკუნე)

XX ს. დამდეგიდან რუსეთის იმპერია თანმიმდევრულად აგრძელებდა აფხაზეთში რუსი კოლონისტების ჩასახლებისა და აქ ე.წ. „რუსული მოქალაქეობრივი შეგნების" დამკვიდრების კოლონიზატორულ პოლიტიკას. ამ მიმართულებით მთავარ სტრატეგიულ ამოცანად (ჯერ კიდევ მუჰაჯირობის შემდგომი პერიოდიდან) დასახულ იქნა დარჩენილი „აფხაზობის იმპერიის მოსახლეობასთან მთლიანად შერწყმა". ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი იყო მათი მოწყვეტა საერთო ქართული ისტორიულ-კულტურული ორგანიზმისაგან. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანის შექმნა, რომელიც იმპერიას სჭირდებოდა არა იმდენად საკუთრივ აფხაზთა განათლებისათვის, არამედ მათი ქართული კულტურული სამყაროსაგან ჩამოსაცილებლად და რუსულ წიგნიერებასთან ინტეგრირებისათვის.

ანალოგიური მიზნები ამოძრავებდა რუსეთის ხელისუფლებას საეკლესიო სფეროშიც. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (1898 წ. 3 სექტემბერს), რომლის თანახმადაც აფხაზებით დასახლებულ რაიონებში ღვთისმსახურება აღსრულებულიყო მხოლოდ ძველ სლავურ ენაზე. თუმცა ესეც არასაკმარისად იქნა მიჩნეული და ხელისუფლებამ აფხაზეთის საერთოდ ქართული ქრისტიანული ორგანიზმისაგან მოწყვეტისა და რეგიონის ეკლესიურად ყუბანის მხარესთან მიერთების საკითხი დასვა (1902 წ.). პარალელურად, იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ადმინისტრაციულად ჩამოცილების მცდელობაც. 1904 წელს პრინც ალექსანდრე ოლდენბურგის შუამდგომლობის საფუძველზე მთავრობამ გადაწყვიტა გაგრისა და მისი შემოგარენის შავიზღვისპირა გუბერნიისათვის მიერთება, ხოლო 1914 წელს — პირველი მსოფლიოს ომის დაწყების წინ კავკასიის მეფისნაცვალმა სოხუმის ოკრუგის დამოუკიდებელ გუბერნიად გარდაქმნის საკითხი დააყენა. ამ ღონიძიებებით იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას და რეგიონის ტიპიურ რუსულ პროვინციად გადაქცევის პროცესის დასრულებას.

რუსეთის ხელისუფლების მიერ ათეული წლების მანძილზე აფხაზეთში გატარებულმა თანმიმდევრულმა იმპერიულმა (თავისი არსით ანტიქართულ-მა) პოლიტიკამ ოდესღაც რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოძულე აფხა-ზობა იმპერიის ყველაზე ლოიალურ და ერთგულ ხალხად აქცია. ამიერიდან აფხაზობა, რომლის სათავეში რუსულ საგანმანათლებლო სივრცეში „და-ფრთიანებული" და ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი აფხაზური „სახალხო" ინტელიგენცია აღმოჩნდა, მთლიანად რუსული იმპერიული პოლი-ტიკის იარაღად იქცა.

სწორედ ამ ანტიქართულად განწყობილ აფხაზ ლიდერებს იყენებდნენ რუსეთის იმპერიული ძალები (ცალკე ბოლშევიკური რეჟიმი, ცალკე კი ე.წ. „თეთრი" გენერალიტეტი) 1917-1920 წლებში საქართველოს წინააღმდეგ და ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას დანარჩენი საქართველოსაგან. მა-გრამ იმ ეტაპზე რუსული იმპერიული ავანტიურა ჩაიფუშა და აფხაზური საზოგადოების პროგრესული ნაწილის ბრძნული სახელმწიფოებრივი პოზიცი-ის წყალობით ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობა შენარჩუნებულ იქნა – აფხაზეთი ოფიციალურად გახდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს (საქა-რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) ავტონომიური ნაწილი.

ასევე უშედეგოდ დამთავრდა რუსი, აგრეთვე რენეგატი ქართველი ბოლშევიკებისა და მათ მიერ დამუშავებული სეპარატისტულად განწყო-ბილი აფხაზი კომუნისტების მცდელობა აფხაზეთის დანარჩენი საქართვე-ლოსაგან ჩამოცილებისა 1921 წ. გაზაფხულზე. შედეგად, აფხაზეთი ჯერ ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის", ხოლო 1931 წლიდან უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით გახდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რე-სპუბლიკის ნაწილი.

XX ს. 50-იან წლებში საბჭოთა რეჟიმმა კვლავ გაააქტიურა ძირგა-მომთხრელი წამქეზებლური საქმიანობა აფხაზეთში, რომლის მიზანი იყო საქართველოს „მოთოკვა". უშუალოდ კრემლი იდგა 1957, 1967 და 1977-1978 წლებში აფხაზთა სეპარატისტული ამბოხებების უკან აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი სსრ კავშირის დამოუკიდებელ სუბიექტად გამოცხადების (ან რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანის) მოთხოვნით. მოსკოვი იყო მთავარი შემოქმედი 1989 წ. 18 მარტს ლიხნის თავყრილობისა, რომელმაც სათავე დაუდო უმწვავეს პოლიტიკურ კრიზისს აფხაზეთში და რომელიც 1992 წ. 14 აგვისტოს შეიარაღებულ და-პირისპირებაში გადაიზარდა.

*Zurab Papaskiri*
*Sokhumi State University*

# RUSSIAN IMPERIAL POLICY IN ABKHAZIA (20TH CENTURY)

From the beginning of the 20th century the Russian Empire has consistently continued the process of settlement of Russian colonists in Abkhazia, and the establishment there of the so-called ‘Russian citizenship consciousness’ as the means of its colonizing policy. The main strategic objective (from the post-Muhajir period) was “to fully merge Abkhazians with the population of the Empire.” To achieve this goal, it was necessary to cut them off from the common Georgian historical and cultural organism. Thus, the reason of creating the Abkhazian alphabet on the basis of the Cyrillic script was not as much the education of the Abkhazians themselves, but cutting them off the Georgian cultural world and integrating them with Russian literacy.

Similar goals were set by the Russian authorities in the clerical field. It was decided (3 September 1898) that only the old Slavonic language should be used for the liturgy in the areas inhabited by Abkhazians. However, this was considered insufficient, and the authorities raised the question of the separation of Abkhazia from the Georgian Christian organism and its ecclesiastical affiliation with Kuban (1902). At the same time there also was an attempt of cutting Abkhazia off administratively from the rest of Georgia. In 1904, at the request of Prince Alexander Oldenburg, the government decided to join Gagra and its environs with the Black Sea Governorate. In 1914, before the outbreak of World War I, the Vicegerent in Caucasia raised the issue of transforming the Sukhumi Okrug into an independent governorate. Thus, the authorities of the empire tried to break Abkhazia away from the rest of Georgia and complete the process of turning the region into a typical Russian province.

The consistent imperial (and at the same time anti-Georgian) policy pursued by the Russian authorities in Abkhazia for decades has turned Abkhazians, who once so much hated Russia and everything that was attached to it, into the most devoted and loyal people to the Empire. From now on, Abkhazians who were led by the representatives of Abkhazian intelligentsia. They had been raised in Russian educational space and inspired with anti-Georgian spirit, and thus became a weapon of Russian imperial politics.

These anti-Georgian Abkhaz leaders were used by the Russian imperial forces (both by Bolshevik regime and the so-called ‘white’ generals) against Georgia in 1917-1920. They tried to remove Abkhazia from the rest of Georgia. But at that moment, they failed to achieve its goals. Due to the wise position of the progressive

part of the Abkhaizian society the Georgian-Abkhazian historical unity was preserved and Abkhazia officially became an autonomous part of the united Georgian state (Democratic Republic of Georgia).

Also in vain ended the efforts of the Russian Bolsheviks (as well as the of the Georgian renegade Bolsheviks) and of the separatist Abkhazian communists to cut Abkhazia off from the rest of Georgia in the spring of 1921. As a result, Abkhazia became a part of the Soviet Socialist Republic of Georgia first as a so-called 'treaty republic' and from the year of 1931 as an autonomous republic.

In the 1950s Soviet regime again intensified its subversive activities in Abkhazia, aimed to restrain Georgia. The Kremlin stood behind the separatist riots in Abkhazia in 1957, 1967, and 1977-1978, demanding to remove Abkhazia from the Georgian SSR and to be either declared as an independent republic of the USSR or become a part of the RSFSR. Moscow was the main inspirator of the Likhny gathering on 18 March 1989, which led to the drastic political crisis in Abkhazia that has subsequently grown into the armed conflict on 14 August 1992.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


**მარიამ ლორთქიფანიძე**. აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი, 1990 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3489/1/AbxazetiDaAfxazebi.pdf).

*ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე.* მთავარი რედაქტორი: ***ჯემალ გამახარია***. გამომცემლობა *„ინტელექტი“*. თბილისი, 2007 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/292145/1/Narkvevebi_Saqartvelos_Istoriidan_Afxazeti.pdf).

**ზურაბ პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბილისი, 2004 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf); ნაკვ. II. 1917-1993. თბილისი, 2007 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29915/1/Nakveti_II.pdf).

**Avtandil Menteshashvili**. Trouble in the Caucasus. New York, 1995**.**

**Zurab Papaskiri**. Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 2, 2008, CA&CC Press®. Sweden; Part II. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 4, 2008, CA&CC Press®. Sweden.

*Дж.Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.*

*Зураб Папаскири*. ***Абхазия. История без фальсификации***. Издание второе, исправленное и дополненное. *Тбилиси, 2010.*

*Essays from the History of Georgia.* Abkhazia from ancient times till the present days. Chief editor: ***Jemal Gamakharia*** . Tbilisi, 2011 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10253/1/Abxazia.pdf).

**Mariam Lordkipanidze**. Essays on Georgian History. Tbilisi, 1994.

**Avtandil Menteshashvili**. Trouble in the Caucasus. New York, 1995**.**

**Zurab Papaskiri**. Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 2, 2008, CA&CC Press®. Sweden; Part II. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2. Issue 4, 2008, CA&CC Press®. Sweden.

*Дж.Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997.*

*Зураб Папаскири*. ***Абхазия. История без фальсификации***. Издание второе, исправленное и дополненное. *Тбилиси, 2010.*

**Dazmir Jojua**. Russia and the war of 1992-1993 in Abkhazia. Tbilisi, 2017 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/246800/1/RussiaAndTheWarOf1992-1993InAbkhazia.pdf).

**ტიმოთი ბლაუელტი**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

# „აფხაზეთი საბჭოთა პერიოდში: პატრონები და კლიენტები"

აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა, პატარა, სუბტროპიკული ზოლი შავი ზღვის სანაპიროსა და კავკასიის მთებს შორის, იქცა პარტიის ელიტის დასვენებისა და თამბაქოს მთავარ მწარმოებელ ადგილად, რის გამოც მას „საბჭოთა რივიერა" ეწოდა. ამ ეთნიკურად მრავალფეროვან და რთულ რეგიონში „აფხაზები" მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ იზოლირებულ სოფლებში და ჰქონდათ ურთიერთდახმარების, ჩვეული შურისძიებისა და გლეხთა თემის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძლიერი ტრადიციები. რეგიონის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ბუნებრივმა რესურსებმა, პოლიტიკურმა კაპიტალმა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა პარტიის ელიტებისთვის, ასევე საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის დადებითი ქმედების შესაძლებლობებმა, საშუალება მისცა აფხაზეთის ადგილობრივ ლიდერებს აეგოთ მძლავრი ადგილობრივი ეთნიკური „მანქანები", რომლებიც, თავის მხრივ, საბჭოთა პოლიტიკაში „კავკასიური" ქსელის გავლენიანი კომპონენტი გახდა, რამაც უბიძგა ხელისუფლების სათავეში ისეთი მსხვილი მოღვაწეების მოყვანას, როგორებიც არიან სტალინი, ორჯონიკიძე და ბერია. აფხაზეთის კონტროლი გახდა ჯილდო პატრონთა კონფლიქტებში, რომელმაც სტალინის პერიოდში და მას შემდეგ უფრო მაღალი პოლიტიკა განსაზღვრა.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთი სასარგებლო შემთხვევას წარმოადგენს სსრკ-ში პატრონ-კლიენტთა ურთიერთობისა და ნაციონალური პოლიტიკის გადაკვეთის გასაგებად, ასევე, ეთნიკური ნიშნის პოლიტიზირებამ საბოლოოდ როგორ განაპირობა და გააძლიერა ეროვნული მტრობა, რამაც გამოიწვია ეთნიკური და სეპარატისტული კონფლიქტი და არა მოსალოდნელი პოსტ-ნაციონალური სოციალისტური უტოპია. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება პატრონაჟის პოლიტიკის კონტურები და მათგან წარმოშობილი პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტები. ასევე, განვიხილავთ აღნიშნულ რეგიონში საარქივო კვლევის ჩატარების გამოწვევებს.

***Timothy Blauvelt***
*Ilia State University*

## "ABKHAZIA IN THE SOVIET PERIOD: PATRONS AND CLIENTS"

A tiny, subtropical strip between the Black Sea coast and the Caucasus mountains, the Soviet Republic of Abkhazia became a vacation retreat for the Party elite and a major producer of tobacco, earning it the moniker of the "Soviet Riviera." The "titular" Abkhaz were a minority of the population in this ethnically diverse and complex region, living in isolated rural communities with strong traditions of mutual assistance, customary vengeance, and decisions taken by peasant community gatherings. The region's geography and natural resources, the political capital that came with access to Party elites, and the affirmative action opportunities presented by Soviet nationality policy enabled the local leaders in Abkhazia to construct powerful local ethnic "machines" that in turn became an influential component of the "Caucasian" network in Soviet politics that propelled major figures like Stalin, Orjonikidze and Beria to power. Control of Abkhazia became a prize in the patronage conflicts that came to define higher politics in the Stalin period and beyond.

Abkhazia in the Soviet period presents a useful case in order to understand the intersection of patron-client relations and nationality policy in the USSR and the ways in which the politicization of ethnicity ultimately channeled and intensified national animosities, leading to ethnic and separatist conflict rather than to the anticipated post-national Socialist utopia. This talk will outline the contours of patronage policies and the resultant political and ethnic conflicts that emerged from them. We will also discuss the challenges of doing archival research on this region.

### ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

**აბას-ოლგი, ადილე, არ შემიძლია დავიწყება (მოსკოვი: ACT, 2005).**

ნესტორ ლაკობას მეუღლის რძლის მემუარები, რომელიც ლაკობებთან გადავიდა, როგორც ახალგაზრდა ქალი 1930-იან წლებში.

**ბლაუველტი, ტიმოთი, „აფხაზეთი: პატრონაჟი და ძალაუფლება სტალინის ეპოქაში", *Nationalities Papers*, ტ. 35, ნ. 2 (2007), გვ. 219-223.**

სტალინის პერიოდში 1953 წლამდე აფხაზეთის მიმოხილვა და რეგიონის თავისებურებები საბჭოთა უმაღლეს პოლიტიკაში.

**ბლაუელტი, ტიმოთი, „ბერიას საიდუმლო პოლიტიკის პატრონაჟის ქსელი და საბჭოთა კრიპტოპოლიტიკა“, *კომუნისტური და პოსტკომუნისტური კვლევები,* ტ. 44, ნ. 1 (2011), გვ. 73-88.**

პოლიტიკაში ბერიას პატრონაჟის გამოყენების შესწავლა ამიერკავკასიის საიდუმლო პოლიციაში ძლიერი ჯგუფის შექმნით, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე დომინანტი ამიერკავკასიის პარტიის ქსელი.

**ბლაუელტი, ტიმოთი, „წინააღმდეგობა და განსახლება სტალინურ პერიფერიაში: გლეხთა აჯანყება აფხაზეთში“, *Ab Imperio*, ნ. 3 (2012), გვ. 78-108.**

დაწვრილებითი საარქივო შესწავლა აფხაზეთში 1931 წლის გლეხთა აჯანყების ფონის, მიზეზების, რეზოლუციისა და მნიშვნელობის შესახებ, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

**კაპელო, ანა, ზურაბ ლაკირბაია და ომარ თუშურაშვილი, დიდი ტერორი აფხაზეთში (3 ტომი) (თბილისი: ევროპის საბჭო, 2017).**

ქართველი და აფხაზი მეცნიერების თანამშრომლობა (სამტომეული), განხორციელებული ევროსაბჭოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ადმინისტრაციის თანამშრომლობით, მათ შორის, გამოქვეყნებულია აფხაზეთში დიდი ტერორის შესახებ მრავალი საარქივო დოკუმენტი და რამდენიმე კომენტარი.

**კოპეტერსი, ბრუნო, „სამშობლოს დასაცავად: ინტელექტუალები და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, B. Coppeiters და M. Huysseune (გამომც.), *Secession, History and the Social Sciences* (ბრიუსელი: VUBPRESS, 2002), გვ. 89-116.**

1950-70-იანი წლებში წინააღმდეგობრივი ქართული და აფხაზური ნარატივების (და განსაკუთრებით ე.წ. „ინგოროყვას თეორიის“) გარშემო არსებული პოლიტიკის კვინტესენსიალური შესწავლა.

**დე ვაალი, თომას, *კავკასია: შესავალი, მე-2 გამოცემა* (ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2018), თავი 5.**

სამხრეთ კავკასიის სრულყოფილი შესავალი, მე-5 თავი კარგად ასახავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ისტორიულ მიმოხილვას.

**ჰიუიტი, ჯორჯ ბ. (გამომც.), *აფხაზები: სახელმძღვანელო* (ლონდონი: Routledge, 1998).**

კრებული სხვადასხვა საკითხებზე (ისტორია, დემოგრაფია, ენა და ა.შ.) სადავო ბრიტანელი მეცნიერის ჰიუიტის მიერ. განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ნაშრომი ფართო გაშუქებით, მაგრამ ხშირად აკრიტიკებენ პრო-აფხაზური მიკერძოების გამო.

**ლაკობა, სტანისლავ, *აფხაზეთის ისტორიის საკითხები* (სოხუმი: ალაშარა, 1990).**

სტანისლავ ლაკობა ალბათ ყველაზე ცნობილი ამჟამინდელი აფხაზი ისტორიკოსია და ეს მისი ყველაზე ხშირად ციტირებული ნაშრომია, კერძოდ, თავი “Ya-Koba; Ty – Lakoba” ლაკობას პერიოდისა და სტალინთან მისი ურთიერთობის

შესახებ, რომელიც მრავალჯერ იქნა დაბეჭდილი (სულ ბოლოს, კრებულში *დიდი ტერორი აფხაზეთში*, რომელიც ზემოთ არის მოხსენიებული).

**მარტინი, ტერი, „ნეო-ტრადიციონალიზმის მოდერნიზაცია?“ Sheila Fitzpatrick (გამომც.) *Stalinism: New Directions* (ლონდონი: Routledge, 2000), გვ. 348-367.**

უმნიშვნელოვანესი სტატია საბჭოთა ეროვნებების პოლიტიკის არსისა და იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცა ადრეული ბოლშევიკების მიერ შექმნილი კონცეფცია ეროვნული იდენტობის შესახებ პრიმორდიალისტად სტალინური პოლიტიკისა და დოკუმენტაციის შედეგად.

http://apsnyteka.org/ – **აფხაზური ინტერნეტ-ბიბლიოთეკა** – მასიური ონლაინ რესურსი, რომელიც შეიცავს თითქმის ყველა წიგნს, რომელიც რუსულად არის დაწერილი აფხაზეთის შესახებ, ასევე მრავალ რესურსს სხვა ენებზე.

**Abbas-olgy, Adile, *Ya ne mogu zabyt’* (Moscow: ACT, 2005).**

Memoirs of Nestor Lakoba’s wife’s sister-in-law, who moved in with the Lakobas as a young woman in the 1930s.

**Blauvelt, Timothy, ”Abkhazia: Patronage and Power in the Stalin Era,” *Nationalities Papers,* v. 35, *n. 2* (2007), pp. 219-223.**

Overview of Abkhazia during the Stalin period up to 1953 and the particularities of the region in Soviet higher politics.

**Blauvelt, Timothy, “Beria’s Secret Police Patronage Network and Soviet Crypto-Politics,” *Communist and Post-Communist Studies,* v. 44, *n. 1* (2011), pp. 73-88.**

A study of Beria’s use of patronage in his rise to political dominance, through creating a powerful cohort in the Transcaucasian secret police that replaced the previously dominant Transcaucasian Party network.

**Blauvelt, Timothy, “Resistance and Accommodation in the Stalinist Periphery: A Peasant Uprising in Abkhazia,” *Ab Imperio,* no. 3 (2012), pp. 78-108.**

A detailed archival study of the background, causes, resolution and significance of the 1931 peasant uprising in Abkhazia in protest against collectivization.

**Capello, Anna, Zurab Lakerbaya and Omar Tushurashvili, *Bolshoi Terror v Abkhazii* (3 volumes) (Tbilisi: Councils of Europe, 2017).**

A three volume collaboration of Georgian and Abkhazian scholars, done though the coordination of the Councils of Europe and with the cooperation of the Archival Administration of the Georgian Ministry of Internal Affairs, including the publishing of many archival documents related to the Great Terror in Abkhazia and some commentary.

**Coppeiters, Bruno, “In Defence of the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict,” in B. Coppeiters and M. Huysseune, eds. *Secession, History and the Social Sciences* (Brussels: VUBPRESS, 2002), pp. 89-116.**

The quintessential study of the politics surrounding the competing Georgian and Abkhazian narratives (and especially the so-called “Ingorokva theory”) during the 1950s-70s.

**de Waal, Thomas, *The Caucasus: An Introduction, 2nd ed.* (Oxford: Oxford University Press, 2018), Chapter 5.**

A thorough introduction to the South Caucasus, chapter 5 gives a good historical overview of the Georgian-Abkhazian conflict.

**Hewitt, George B. (ed)., *The Abkhazians: A Handbook* (London: Routledge, 1998).**

A collection of chapters on various elements (history, demographics, language, etc.) by the controversial British scholar Hewitt. Considered to be an important work with extensive coverage, yet often criticized for its pro-Abkhaz bias.

**Lakoba, Stanislav, *Ocherki istorii Abkhazii* (Sukhumi: Alashara, 1990).**

Stanislav Lakoba is probably the most well-known current Abkhaz historian, and this is his most often cited work, particular the chapter "Ya-Koba; Ty – Lakoba" about the Lakoba period and his relationship with Stalin, which has been reprinted many times (most recently in the *Bolshoi Terror v Abkhazii* collection referenced above.

**Martin, Terry, "Modernization of Neo-Traditionalism?" in Sheila Fitzpatrick, ed. *Stalinism: New Directions* (London: Routledge, 2000), pp. 348-367.**

A crucial article on the essence of Soviet nationalities policy, and the ways in which the early Bolsheviks' constructed conception of national identity became transformed into a primordialist one as the result of Stalinist policies and documentation.

http://apsnyteka.org/ – Абхазская интернет-библиотека – A massive online resource containing just about every book written in Russian about Abkhazia, as well as many resources in other languages.

# მოდული 3. საეკლესიო პროცესები აფხაზეთში

**თამარ ქორიძე**
*საქართველოს უნივერსიტეტი*

## აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო (IX-XVIII სს.)

აფხაზეთის საკათალიკოსო IX ს-ის 80-90-იან წლებში კონსტანტინოპოლის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ქართული – ღვთისმსახურების ენით, დამწერლობით, საეკლესიო ტრადიციით, არქიტექტურით, კედლის მხატვრობით, ჭედური ხელოვნების ნიმუშებით, ეპიგრაფიკული ძეგლებით და ა.შ.

საპატრიარქოს დაქვემდებარებისაგან გათავისუფლებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ფაზისის სამიტროპოლიტო (მასში შემავალი ოთხი ეპარქიით -როდოპოლისი//ვარციხე, ცაიში, ძიღანევი// გუდავა, პეტრა//ციხისძირი), აზაზგიის // სებასტოპოლისის და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები) გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა.

ახლადწარმოქმნილ აფხაზეთის საკათალიკოსოს პოლიტიკურ საფუძველს დასავლურ ქართული სახელმწიფო – „აფხაზთა" სამეფო წარმოადგენდა, რამაც განაპირობა სამეფოს ანალოგიით მისი სახელწოდების „აფხაზთა საკათალიკოსოდ" ფორმულირება.

აფხაზეთის საკათალიკოსოს კათედრალს ღვთისმშობლის სახელზე X საუკუნეში აგებული ბიჭვინთის ტაძარი წარმოადგენდა. ბიჭვინთის ღვთისმშობელი აფხაზეთის საკათალიკოსოს მთავარი მფარველი იყო.

აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნის შემდეგ საქართველოში ორი – ქართლისა (აღმ. საქართველოს) და აფხაზეთის (დას. საქართველოს) საკათალიკოსო აღმოჩნდა.

X საუკუნის ბოლოს, ჯერ აფხაზთა მეფეების, შემდეგ კი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მეთაურობით საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლის პარალელურად მიმდინარე ეკლესიური გაერთიანების პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა. შეიქმნა საქართველოს ერთიანი ეკლესია უშუალოდ იესო ქრისტეს კვართზე დაფუძნებული და უფრო ძვე-

ლი ავტოკეფალური ტრადიციის მქონე საეკლესიო ორგანიზაციის სათავეში მყოფი ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) კათოლიკოსის მეთაურობით, რის შემდეგაც ის „ყოვლისა საქართველოისა“ კათოლიკოსი გახდა და პატრიარქის პატივში იქნა აყვანილი.

აფხაზეთის საკათალიკოსო ქვეყნისა და ეკლესიის ერთიანობის ხანაში უწყვეტად არსებობდა, თუმცა მისი საჭეთმპყრობელი რეალურად ბიჭვინტის ეპისკოპოსს წარმოადგენდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა. XV ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პარალელურად მიმდინარე ეკლესიური დაშლის პროცესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ – დასავლეთ (აფხაზეთის//ლიხთ-იმერეთის) და აღმოსავლეთ (ქართლის) საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციებად გაყოფით დასრულდა, რაც ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატის ინიციატივით განხორციელდა და იმ ეტაპზე მისი სამეფოს – იმერეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

ჩრდილოეთ კავკასიის წარმართი ტომების ჩამოწოლას საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქრისტიანობის მოშლა-შევიწროვება მოჰყვა, რის გამოც XVI ს-ის 60-იან წლებში აფხაზეთის საკათალიკოსო რეზიდენციამ ბიჭვინტიდან გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაინაცვლა. XVII-XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეს პოლიტიკური პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. ჩამოსახლებულმა წარმართებმა, რომლებიც თავიანთ თავს „აფსუებს“, ხოლო მკვიდრი ქართული მოსახლეობა „აფხაზებს“ უწოდებდა, ოდიშის სამთავროს თანდათან ჩამოაცილეს მდ. ენგურს გაღმა მდებარე ტერიტორიები, რასაც შედგად მოჰყვა მკვიდრი ქართული მოსახლეობის იძულებითი აყრა–გაქცევა, საკათალიკოსო სოფლების მოშლა, ყმათა გაყიდვა, ეპარქიების რიცხვის შემცირება. XVIII ს-ის დასაწყისში, როდესაც საზღვარი აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს შორის მდ. ენგურზე დაფიქსირდა, აფხაზეთის კათოლიკოსი ყმა-მამულს უკვე აღარ ფლობდა ამ მდინარის გაღმა, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეთნიკურ-რელიგიური ცვლილებების გამო, აფხაზეთის კათოლიკოსები ველარც ახერხებდნენ აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე შესვლას, გზებზე უსაფრხოების გარანტიის არარსებობის გამო. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე კათოლიკოსები, ფაქტობრივად, ვეღარ ახორციელებდნენ თავიანთ იურისდიქციას საკუთრივ აფხაზთის ტერიტირიაზე, თუმცა ცდლობდნენ აფხაზეთის ხელახლა გაქრისტიანებასა და ბიჭვინტის დაცარიელებული ეკლესიის განახლებას.

რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ კი იმერეთის სამეფოების ანექსიის შემდეგ, მის მიერ გაუქმდა ჯერ აღმოსავლეთ (1811წ.) , შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს (1814 წ.) ეკლესიის ავტოკეფალია.

1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაცია, როგორც საქართველოს ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, შევიდა ერთიანი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შემადგენლობაში და დაექვემდებარა სრულიად საქარათველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციას.

***Tamar Koridze***
*University of Georgia*

## CATHOLICOSATE OF ABKHAZIA (WESTERN GEORGIA) (IX-XVIII CC)

The purpose of the report is to introduce the organization of the church of Western Georgia- – the history of the Catholicosate of Abkhazia from its foundation (IX cc. 80-90) until its abolition by the Russian Empire in 1814. It is emphasized that the Catholicosate of Abkhazia was a Georgian Orthodox church with the language of worship, tradition, architecture, etc.

The report covers the important issues of history of Catholicosate of Abkhazia such as its founding, the unification of Kartli (Eastern Georgia) to Catholicosate and the formation of the United Georgian Church, the status of Catholicos of Abkhazia in the United Kingdom of Georgia, division of the Church of Georgia into the West and East part and the political preconditions of this event, the lands and boundaries of the Catholicosate of Abkhazia in different eras.

The article focus on the processes regarding the deterioration of the religious faith and the decline of the Christianity in Abkhazia itself, transferring of the catholicosate residence from Bichvinta to Gelati, reducing the boundaries and the lands of the Catholic Church in the Northwest and Southwestern direction as a result of difficult political and migration processes (the explosion of the population of the North Caucasus in the Black Sea) existed in western Georgia in the late Middle ages.

The report discusses the history and iconography of Bichvint’s Virgin Mary, as the patron saint of the Catholicosate of Abkhazia, the titles of Abkhazian Catholics and the reasons for referring themselves in their titles of “Abkhaz”, “All North and

Abkhazia", "Abkhazian-Imeret", "Andrew the First", and "Ponto" , also the abolition of the Catholicosate of Abkhazia and its preconditions.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


არახამია გ., „ბიჭვინთის იადგარი", თბ. 2008

არქანჯელო ლამბერტი , სამეგრელოს აღწერა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1938

ახალაძე ლ. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, ტ. I, თბ. 2005

გეორგიკა, ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ. 1952

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, წ. I, ტფ., 1921; წ. II, ტფ., 1921

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. IV, თბ. 1973

ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1700 წწ.), წ. I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ. 1958

ლომინაძე ბ., ბიჭვინტის სენიორიის ისტორიიდან XVI-XVII სს., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), წ. I, თბ., 1966

საქართველოს სიძველენი. რედ.: ექ. თაყაიშვილი, ტ. I, ტფ. 1920; ტ. II, ტფ. 1909; ტ. III, თბ. 1913-1914.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ. 1955; ტ. II, თბ. 1959

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1970

ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. I. შემდგ.: ვ. სილოგავა, თბილისი, 1980

ქორიძე თ., ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის, არქეოლოგიის...სერია, #321, თბ. 1996

ქორიძე თ., აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს საზღვრები XVI-XVIII საუკუნეები, ჟურნ. „კლიო", #12, თბ., 2001

ქორიძე თ., XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსთა ქრონოლოგია, ჟურნ. „კლიო", #15, თბ., 2002

ქორიძე თ., აფხაზეთის კათოლიკოსთა ტიტულატურა, შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი, თბ. 2006

ქორიძე თ., „მცნებაი სარჯულო“ და საქართველოს საპატრიარქოს ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაყოფა (XV ს-ის 70-იანი წლები), კრებული: ვალერი სილოგავა , მოგონებები , სამეცნიერო სტატიები, თბ. 2011

ქორიძე თ., დამოკიდებულება „ყოვლისა საქართველოΩსა“ კათოლიკოს-პატრიარქსა და აფხაზეთის კათოლიკოსს შორის (XI-XVIII სს.), რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013

ქორიძე თ., ქართველიშვილი თ., ეთნიკური ცვლილებები აფხაზეთში და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები (XVII-XVIII სს.), საქართველოს უნივერსიტეტის IX ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, თბ. 2017

Notitiae Episcopatuum Ecclesiae Constantinopolitanae, Texte critique, introduction et notes par Jean Darrouzés, A. A. Paris, 1981

Бгажба Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967

Akhaladze, L., Abkhazian Epigraphic as a Historical Source, vol. I, Tb., 2005

Antiquities of Georgia. Edited by Ekvtime Takaishvili, vol. I, Tbilisi. 1920; vol. II, Tbilisi 1909; vol. III, Tb. 1913-1914.

Arakhamia, G., “Bichvintis Iadgari”, Tb. 2008

Arcangelo Lamberti, Description of Samegrelo, Tb. 1938

Batonishvili Vakhushti – Description of the Kingdom of Georgia, Book: Kartlis Tskhrovreba (Life of Kartli).. Edited by Kaukhchishvili, S., vol. IV, Tb. 1973

Bghazhba KH. C. From the History of Abkhazian Alphabet, Tb. 1967

Diplomacy of “Stolniki” – Tolochanov and “Diaki” Ievliev in Imereti in 1650-1652. Published and noted by Poliektov M., Tb. 1926

Georgian Legal Documents, vol. III, the text was published, notes and content by prof. Dolidze, I. Tb. 1970

Georgika, Byzantine Writers’ Acknowledgments on Georgia, IV, part II, translation and commentary by Kaukhchishvili, S., Tb.1952

Historical Documents of the Kingdom of Imereti and Guria-Odishi Principality (1466-1700), Book # 1, preamble and content by Burjanadze Sh., Tb. 1958

Kakabadze S. Church Documents of Western Georgia, Book # 1, Tb.1921

Kakabadze S. Church Documents of Western Georgia. Book # 2, Tb. 1921

Kartlis Tskhovreba (Life of Kartli), the text approved in accordance with the main manuscript. Kaukhchishvili, S., vol. 1. Tb. 1955

Kartlis Tskhovreba (Life of Kartli), the text approved in accordance with the main manuscript. Kaukhchishvili, S., vol. II. Tb. 1959

Koridze T., “Mcnebai Sarjulo“ and division of Georgian Patriarchy into Western and Eastern parts (70-yrs/XV c.), Valeri Silogava, Memories, Scientific Articles, Tb. 2011, p. 129-137

Koridze T., Bichvinta’s Virgin Mary Icon, The works of Tbilisi State University – History, Archaeology, Art studies, Ethnography #321, Tb. 1996, pp. 44-57

Koridze T., From the History of Diplomatic Activities of the Catholicoi of Abkhazia (Western Georgia) ( 16th- 18th cc.), Georgian Diplomacy, annual 15, Tb. 2011, p. 202- 214.

Koridze T., From the History of the Unification of the Georgian Church (X century), Mariam Lordkipanidze – 85, Tb. 2007 , pp. 183-190

Koridze T., Kartvelishvili T., Ethnic Changes in Abkhazia and Abkhazian (Western Georgia) Catholicoi (XVII-XVIII cc.), IX annual Conference on humanitarian science, published by The Univercity of Georgia, Tb. 2017, p. 182-192

Koridze T., The Catholicoi and catholicos-patriarchs of Abkhazia (Western Georgia), Book: Catholicos-patriarchs of Georgia, Tb. 2000, pp. 134-172

Koridze, T. The Borders of the Catholicate of Abkhazia in the XVI-XVII cc. Journal – Klio (Historical Almanac), Tb. 2001, pp. 52-63

Koridze, T., The Chronology of Chatolicoi of Abkhazia (Western Georgia) in the XI-XVI cc. Journal – Klio (Historical Almanac) #15, Tbilisi, 2002, pp. 3-26

Koridze, T., The Relation of the Autority of the catholicos-patriarch of all Georgia to the authority of the Abkhazian Catholicos (11th -18th centuries), Issues in the History of Religion II, Tb. 2013, , p. 151-188

Koridze, T., Titles of the Catholicoi of Abkhazeti (Western Georgia) (The 11th-18th cc.) , Shota Meskhia – 90, Jubiles Volume Dedicated to the 90-th anniversary of Shota Meskhia, Tb. 2006, pp. 180-200

Lominadze, B., From the History of Bitchvinta's Feudal Organization XVI-XVII cc. Book: From the History of Georgian Feudal Relations (Feudal Organizations), Book # 1, Tb., 1966

Notitiae Episcopatuum Ecclesiae Constantinopolitanae, Texte critique, introduction et notes par Jean Darrouzés, Paris. 1981

The Corpus of Georgian Alphabets, part II, The Inscriptions of Western Georgia, vol. I, editor – Silogava V., Tb., 1980

**თეა ქართველიშვილი**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# აფხაზეთის საკათალიკოსო XV საუკუნიდან 1814 წლამდე

XV საუკუნეში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოსგან დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზაციად ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურების ინიციატივით მოხდა და შესაბამისად, პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. საეკლესიო სეპარატიზმის გამღვივებლები პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ და არა სასულიერო პირები. ცხადია, მათ ეკლესიაში საკუთარი ინტერესები ჰქონდათ, რაც ნათლად გამოჩნდა საისტორიო დოკუმენტში „მცნებაი სასჯულოი". საბუთში ხაზგასმულია არა მხოლოდ აფხაზთა საკათალიკოსოს მცხეთის დაქვემდებარებიდან გასვლის იურიდიული საფუძლები, არამედ ნაჩვენებია იმერეთის მეფის – ბაგრატ VI-ის სწრაფვა აღმოსავლეთ საქართველოზე გავლენის დასამყარებლად. მეფე ბაგრატი და შამადავლე დადიან-გურიელის შერჩეული კანდიდატი, ცაიშელ-ბედიელი ეპისკოპოსი იოვაკიმე, აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა. დოკუმენტის შემდგენლებმა პატრიარქი მიქაელი საგანგებოდ, შეცდომით გამოაცხადეს იერუსალიმის მღვდელმთავრადაც, რათა იგი უფლებამოსილი ყოფილიყო კათალიკოს იოაკიმესთვის ,,იერუსალიმის მარჯვენის", ასევე ,,ახალი იერუსალიმისა და ქრისტეს საფლავის მამაგრებლის" წოდება მიენიჭებინა, რასაც აფხაზთა კათალიკოსისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთასთან, როგორც ,,მეორე იერუსალიმთან" გათანაბრების თვალსაზრისით.

გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის საკათალიკოსოზე პირდაპირ აისახებოდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ლიდერი, იმერეთის მეფე ან ოდიშის მთავარი, საკათალიკოსო ტახტზე სვამდა თავისთვის მისაღებ კანდიდატს, რათა ეკლესიის საშუალებით საკუთარი კურსი გაეტარებინა. იმერეთის მეფეების მიზანი, უმთავრესად, ხელისუფლების ცენტრლაზიაცია იყო, ხოლო ოდიშის მთავრების — დასავლეთ საქართველოზე ჰეგემონიის მოპოვება. მიზნის მისაღწევად ეკლესია წარმოადგენდა ერთა-

დერთ საშუალებას, ვინაიდან საკათალიკოსო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და აერთიანებდა პოლიტიკური სეპარატიზმის ნიადაგზე აღმოცენებულ, ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ სამეფო-სამთავროებს.

მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ ამინდს ოდიშის მთავარი ქმნიდა, კათალიკოსის კანდიდატის შერჩევისას ის ნებართვას იმერეთის მეფისგან იღებდა.

აფხაზეთის კათალიკოსები აქტიურად მოღვაწეობდნენ საეკლესიო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ და კულტურულ ასპარეზზე. ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ქვეყანაში შემოჭრილ მტერთან და მონაწილეობენ ელჩობებში საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისა და კავშირების დასამყარებლად. ხელს უწყობდნენ ქრისტიანული კერების გაძლიერებას, რითიც, ოსმალური გარემოცვის პირობებში, ახერხებდნენ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას.

აფხაზეთის კათალიკოსებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ კათოლიკე მისიონერებთან, რომლებიც XVII საუკუნიდან აქტიურად აარსებდნენ სამისიონერო ცენტრებს დასავლეთ საქართველოში. მათი საშუალებით ცდილობდნენ ისლამური რკალის გარღვევას და ევროპულ სიახლეებთან ზიარებას.

აფხაზეთისა და მცხეთის კათალიკოსები, მიუხედავად ერთმანეთისაგან გამიჯვნისა, ურთიერთთანამშრომლობდნენ და ერთობლივად მოღვაწეობდნენ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოსაგვარებლად. მათი ერთიანობის დასტურია იერუსალიმის პატრიარქების საერთო პოლიტიკა ქართული ეკლესიისადმი. ისინი ორივე საკათალიკოსოს ერთ საეკლესიო სივრცედ აღიქვამდნენ და იერუსალიმის საპატრიარქოს კუთვნილი ყმა-მამულის გამგებლად, როგორც ქართლის, ისე აფხაზეთის საკათალიკოსოში, ერთსადაიმავე პირს ნიშნავდნენ.

აფხაზეთის საკათალიკოსოს კათედრა ბიჭვინთაში იყო, ხოლო XVI საუკუნიდან ცენტრმა გელათის წმ. გიორგის მონასტერში გადაინაცვლა. კათალიკოსს რეზიდენციები ჰქონდა მთელ დასავლეთ საქართველოში.

საკათალიკოსო სენიორია ორგანიზებული იყო საქართველოს სამეფო კარის მოდელის საფუძველზე. საკათალიკოსო იმართებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების საშუალებით. კათოლიკოსის მოხელეთა შორის იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

საკათალიკოსო ყმა-მამულს ფლობდა მთელ დასავლეთ საქართველოში. საისტორიო დოკუმენტების მონაცემების მიხედვით დგინდება საკათალიკოსოს მიწისმფლობელობის გეოგრაფია.

აფხაზთა კათალიკოსი აქტიურად ერეოდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებში და ინდივიდუალურ ძალაუფლებას-

თან ერთად საეკლესიო კრებათა დადგენილების საფუძველზე მართავდა მოვლენებს.

აფხაზეთის საკათალიკოსო 1814 წლამდე არსებობდა, ვიდრე არ გააუქმა რუსეთის იმპერიამ.

***Tea Kartvelishvili***

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## CATHOLICOSATE OF ABKHAZIA FROM THE XV CENTURY TO 1814

Split between the Catholicosate of Abkhazia (West Georgia) and Catholicosate of Mtskheta (East Georgia) and the emergence of the former as an autonomous entity in the XV century bore political clout since the idea of secession was promoted by the political leadership of Western Georgia.

The Catholicosate of Abkhazia continued to function until eliminated by the Tsarist Russia in 1814. The Catholicosate encompassed the Western Georgian territory in its entirety and brought together principalities otherwise divided by political separatism and mutual feud. Catholicoses of Abkhazia actively engaged different arena of public life be that religious, political, diplomatic or cultural.

Center of the Catholicosate was, first, in Bichvinta, then, since the XVI century in the St. George monastery in Gelati. The residences of Catholicos' were located all over the Western Georgia. Catholicosate seigneurial estate was managed after Georgia's royal house model, through central and local officialdom that varied with individuals from clergy as well as laity.

Catholicosate had its share of ownership of land and liege throughout the entire West Georgia. Historical documents help define its landownership geography.

The Catholicos of Abkhazia had influential say in the ongoing affairs of Western Georgia; based on his personal authority but more importantly, through decrees adopted by the regularly held Church councils he influenced the flow of events that were to take place in his domain.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

წყაროები:

არახამია გ. „ბიჭვინტის იადგარი“, თბ. 2009

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, წ. I, ტფ., 1921; წ. II, ტფ., 1921

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. IV, თბ. 1973

ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1700 წწ.), წ. I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ. 1958

ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970.

ლიტერატურა:

ლომინაძე ბ. ქართული ფოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1956

ქორიძე თ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები, წგ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000.

გამახარია ჯ. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005.

ქართველიშვილი თ. ქორიძე თ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეოთხე ყოველწლიური კონფერენციის შრომები. თბ. 2012.

ქართველიშვილი თ. ქორიძე თ. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) საკათალიკოსოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XVII საუკუნეებში (დიპლომატიკური წყაროების მიხედვით), ჩვენი სულიერების ბალავარი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VII, თბ. 2015.

პაპასქირი ზ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსო და მისი ისტორიულ-სამართლებრივი სტატუსი, კრ.: ენათა ისტორიული საფუძვლები და მათი კულტურული უწყვეტობა, თბ., 2017.

ჯოჯუა თ. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven 4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე, საქართველოს სიძველენი, ტ. I, 2002.

ჯოჯუა თ. აფხაზეთის კათოლიკოსი ილარიონი (1657-1658, 1669/1672-1673 წწ.). კრებ.: `ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები~. X-XI. თსუ გამომცემლობის სტამბა. თბილისი. 2010/2011

ჯოჯუა თ. აფხაზეთის კათოლიკოსის სტეფანეს (1490-1516 წწ.) საკითხისათვის. კრებ.: გივი წულაია _ 80. თბილისი. 2014

Arakhamia, G. „The Bichvinta Yadgar“ (Source-study research), Tb., 2009.

Vakhushti Batonishvili, Description of the Kingdom of Georgia, the text is established on the basis of all basic manuscripts by S. Kaukhchishvili, “The Georgian Chronicles”, vol. IV, Tb., 1973.

Kakabadze S. Church Documents of Western Georgia, Book # 1, Tb.1921

Kakabadze S. Church Documents of Western Georgia. Book # 2, Tb. 1921

Historical Documents of the Kingdom of Imereti and Guria-Odishi Principality (1466-1700), Book # 1, preamble and content by Burjanadze Sh., Tb. 1958

Monuments of Georgian Law. Texts, notes and indexes edited by Prof. I. Dolidze, vol. III, Tb., 1970.

Lominadze, B., From the History of Bitchvinta’s Feudal Organization XVI-XVII cc. Book: From the History of Georgian Feudal Relations (Feudal Organizations), Book # 1, Tb., 1966

Koridze T., The Catholicoi and catholicos-patriarchs of Abkhazia (Western Georgia), Book: Catholicos-patriarchs of Georgia, Tb. 2000.

Gamaxaria J. Orthodoxy and Abkhazia, Tb. 2005.

Kartvelishvili T. Koridze T. From the History of the Relations of the Abkhazian (West Georgia) Catolicate with the Patriarchy of Jerusalim (15-18 centuries), The University of Georgia, 4 yearly conference school of Humanities, Tb. 2012.

Kartvelishvili T. Koridze T. Central and Local Administration in Abhkazia (Western Georgia) Catholicate in 16 th- 18 th Centuries (Based on Diplomatic Sources). The Fundamentals of our spirituality, proceedings of the International Scientifuc Conference VII, 2015.

Kartvelishvili T. Mtsnebai sasjuloi – Indicator of Policy bagrat VI, Studies in Christian Archeology, IX, 2017.

Kartvelishvili Tea, Koridze Tamar, Catholicoi of Kartli (East Georgia) and Apkhazeti (West Georgia) and Their Titles in the 15th-18th Centuries, Historical Collections 7, Tb. 2019.

Papaskiri Z. Catolicosat of Abkhazia and ist historical-legal status, Fondements historiques et ancrages culturels des lengues, Tb. 2017.

JoJua T. One colophon from the $12^{th}$ century Gareji collection (Ven 4) and unknown Catholic Bartholome oh Abhkazia, Georgian Antiquities, I, 2002.

JoJua T. Illarion, the Catholicos oh Abkhazia (1657-1658, 1672-1673), THE PROCEEDINGS OF THE INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY, X=XI, Tb., 2010/2011.

JoJua T. The question concerning the reality of catholicos Stepane of Apkhazeti (1490-1516), GIVI TSULAIA-80, Tb. 2014.

**თემო ჯოჯუა**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირების ურთიერთობა საქართველოსა და უცხოეთის საეკლესიო ცენტრებთან

XI-XVI საუკუნეების აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირებს, პირველ რიგში კი, მაღალი რანგის საეკლესიო იერარქებს – აფხაზეთის კათოლიკოსებს, ბედიელ, მოქველ და დრანდელ ეპისკოპოსებს, ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში მოქმედ ეკლესია-მონასტრებსა და უცხოეთის ქართულ საეკლესიო ცენტრებთან.

ამ ხანგრძლივი და მრავალმხრივი ურთიერთობიდან განსახილველად გამოვყოფ ორ კონკრეტულ საკითხს:

1. XI-XVI საუკუნეების აფხაზეთში მოღვაწე საეკლესიო იერარქების კუთხური წარმომავლობა, საგვარეულო კუთვნილება და კულტურული იდენტობა.

2. XI-XVI საუკუნეების აფხაზეთში მოღვაწე საეკლესიო იერარქების მომლოცველობითი მოგზაურობა საქართველოსა და უცხოეთის ქართულ საეკლესიო ცენტრებში.

განსახილველი საკითხების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები – ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, ალაპ-მოსახსენებლები და ეპიგრაფიკული ნიმუშები.

მაგალითისათვის მოვიტან რამდენიმე ასეთ ცნობას:

• გოსტიბეს კაბერის ეკლესიის 1014-1027 წლების ლაპიდარული წარწერა მოგვითხრობს, რომ ბედიელი ეპისკოპოსი სოფრონი წარმომავლობით ქართლიდან იყო და ადგილობრივი ფეოდალების – სანივაჯისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

• ფოთოლეთის მონასტრის XI საუკუნის წარწერა გადმოგვცემს, რომ ბედიელმა ეპისკოპოსმა დამიანემ ისტორიულ თორში იმოგზაურა, ფოთოლეთის მონასტერი მოილოცა და აქ, ეკლესიის კანკელზე, სავედრებელი წარწერა ამოკაწრა.

• გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის 1363 წლის მინაწერები და ვანის ქვაბების მონასტრის წარწერა გვაუწყებს, რომ მოქველი ეპისკოპოსი ლუკა

წარმომავლობით სამცხიდან იყო და აფხაზეთში დამკვიდრებამდე ჯავახეთში მომლოცველობდა.

• იმავე გარეჯული ხელნაწერის XVI საუკუნის დასაწყისის მინაწერი გვამცნობს, რომ აფხაზეთის კათოლიკოსმა ბართლომემ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მოილოცა და აქ დაცულ ხელნაწერზე სავედრებელი მინაწერი შეასრულა.

სანიმუშოდ მოტანილი და ჩვენამდე მოღწეული სხვა ცნობების შესწავლა აჩვენებს, რომ XI-XVI საუკუნეებში აფხაზეთი ერთიანი ქართული საეკლესიო-კულტურული სივრცის ორგანული ნაწილი იყო და ადგილობრივ სავანეებში მოღვაწე სასულიერო პირები ამ ერთიან სივრცეში სრულად იყვნენ ინტეგრირებული.

***Temo Jojua***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## RELATIONS OF THE CLERGY(MEN) OF ABKHAZIA WITH THE ECCLESIASTICAL CENTERS IN GEORGIA AND ABROAD

Clergymen of Abkhazia in the $11^{th}$-$16^{th}$ centuries, and first of all, high-ranking ecclesiastical hierarchs – Catholicoi of Abkhazia, Bishops of Bedia, Mokvi and Dranda – had intensive relations with churches and monasteries in various provinces of Georgia and Georgian ecclesiastical centers abroad.

I will distinguish two specific issues from this long and multifaceted relationship:

1. Provincial origin, ancestral affiliation and cultural identity of ecclesiastical hierarchies in Abkhazia in the $11^{th}$-$16^{th}$ centuries.

2. Pilgrimage of ecclesiastical hierarchs of Abkhazia in the $11^{th}$-$16^{th}$ centuries in ecclesiastical centers within Georgia and abroad/ in various provinces of Georgia and Georgian ecclesiastical centers abroad.

Interesting information about the issues under consideration is provided by medieval Georgian written monuments – colophons and testaments of various manuscripts and epigraphic sources.

Below some notes for illustration:

• The Lapidary inscription of the Gostibe Caber Church (1014-1027) tells us that Bishop Sophron of Bedia was originally from Kartli and belonged to the family of local feudal Lords – the Sanivajisdzes.

• An 11$^{th}$-century inscription at the Potoleti Monastery suggests that Bishop Damiane of Bedia traveled to historic Tori, visited the Potoleti Monastery, and engraved a prayer/begging inscription on the church's iconostasis.

• The 1363 inscriptions of the manuscript copied in Gareji and the inscription of the Monastery of the Vani Caves tell us that Bishop Luke of Mokvi was originally from Samtskhe and used to pilgrimage in Javakheti before settling in Abkhazia.

• An inscription from the same 16$^{th}$ century manuscript from Gareji witnesses that the Catholicos of Abkhazia, Barthlome, visited the Monastery of the Cross in Jerusalem and made a prayer/begging inscription on the manuscript preserved here.

The study of the illustrated and other notes shows that Abkhazia was an organic part of the united Georgian ecclesiastical-cultural space in the 11$^{th}$-16$^{th}$ centuries and the clergymen of the local settlements were fully integrated in this unified space.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ელენე მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII საუკუნეები). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. 1962 წ.

Русудан Меписашвили. Памятники архитектури X-XI веков в селах Кабери и Гостибе. ჟურნ.: ქართული ხელოვნება. სერია A – ძველი ხელოვნება. ტომი 8. გამომცემლობა „მეცნიერება". თბილისი. 1979 წ. გვ. 47-57.

თემო ჯოჯუა. XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.). ჟურნ.: „საქართველოს სიძველენი". 1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი. თბილისი. 2002 წ. გვ. 117-132.

თემო ჯოჯუა. მოქვის უცნობი ეპისკოპოსი ლუკა ოძრხელი (1360-იანი წწ.) და მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) აშიებიდან. კრებ.: „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები". VI. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე". თბილისი. 2003 წ. გვ. 33-52.

თამაზ გოგოლაძე. თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი. 2019 წ.

Elene Metreveli. Materials for the history of the Georgian colony in Jerusalem (11$^{th}$-17$^{th}$ cc). Georgian National Academy of Science. Tbilisi. 1962.

Русудан Меписашвили. Памятники архитектури X-XI веков в селах Кабери и Гостибе. In: Georgian art. Series A – Ancient art. Volume 8. "Metsniereba". Tbilisi. 1979, pp. 47-57.

Temo Jojua. One inscription from the 12th century Gareji collection (Ven.4) and the unknown Catholicos of Abkhazia Barthlome (ca. 1488-1519). In: “Antiquity of Georgia”. 1. Georgian Cultural Heritage Information Center. Tbilisi. 2002, pp. 117-132.

Temo Jojua. The unknown Bishop of Mokvi Luka Odzrkheli (1360s) and his five inscriptions from the margins of the 12th century Gareji collection (Ven.4). In: “Historical-Ethnographic Studies”. VI. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology Publishing House “Mematiane”. Tbilisi. 2003, pp. 33-52.

Tamaz Gogoladze. The epigraphic corpus of the Tori Gorge as a historical source. Tbilisi, 2019.



სურ. 1. მოქვის ოთხთავი, Q-902. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 1. Mokvi Four Gospels, Q-902. Kept at Korneli Kekelidze Geogian National Centre of Manuscripts

# მოდული 4. აფხაზეთი: კულტურული მემკვიდრეობა

**ლია ახალაძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## „აფხაზთა სამეფოს“ კულტურა და წერილობითი ძეგლები

„აფხაზეთა სამეფო“, რომელიც ისტორიოგრაფიაში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელითაც გვხვდება, თავდაპირველად მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს და ჯავახეთსაც მოიცავდა. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც „აფხაზთა სამეფოს“ ძირითად საისტორიო წყაროს წარმოადგენს, ამ სამეფოს ისტორიას VIII – X საუკუნეებით ათარიღებს.

როდესაც ვსაუბრობთ „აფხაზთა სამეფოს“ კულტურაზე მხედველობაში გვაქვს ამ პერიოდის არქიტექტურული და წერილობითი ძეგლები. არქიტექტურული ძეგლები წარმოდგენილია საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრებით, ხოლო წერილობითი ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია, საეკლესიო ლიტერატურამ და ისტორიული შინაარსის წარწერებმა.

აფხაზთა სამეფოს საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს მიეკუთვნება დრანდის ტაძარი, მსიგხვას მთის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია, მოქვის ღმრთისმშობლის ტაძარი, ხუაფის წმ. ნიკოლოზის ტაძარი, ამბარისა და მუგუძირხვას ეკლესიები, ოთხარას კლდოვანი კელიები და ა. შ. აფხაზთა სამეფოს ეპოქის საეკლესიო არქიტექტურა გვხვდება თანამედროვე იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, ქართლისა და ჯავახეთის ტერიტორიებზე და მათ მნიშვნელოვან ნაწილზე დაცულია ისტორიული შინაარსის მრავალრიცხოვანი წარწერები.

„აფხაზთა სამეფოს“ წერილობითი კულტურის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს საეკლესიო ლიტერატურა და აფხაზთა მეფეთა ეპიგრაფიკული ძეგლები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ „აფხაზთა“ სამეფოში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები, საეკლესიო და საერო პირები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით უკვდავყვეს საკუთარი სახელები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფისა

და მთარგმნელის, სტეფანე სანანოჲსძის სამწერლო მოღვაწეობა მარტვი-ლის ტაძარში, რომელიც გიორგი II-ის დროს გადაიქცა ქართული კულტურ-ის მნიშვნელოვან კერად. იმავე გიორგი II-ის მფარველობით სარგებლობდა დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი, შესანიშნავი „აღდგომის საგალობლების" ავტორი იოანე მინჩხი. „აფხაზთა" სამეფოს მკვიდრი იყო მიქაელ საბაწმინ-დელის მარტვილობის „აბუკურას" ავტორი. კონსტანტინე „აფხაზთა" მეფის დაკვეთით ქართულ ენაზე დაიწერა „აფხაზთა" მეფეთა დივანი", რომელიც წარმოადგენს ეგრის-აფხაზეთის მეფეთა VIII-X საუკუნეების მატიანეს.

„აფხაზთა სამეფოს" ისტორიისა და „აფხაზთა მეფეთა" ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტიფიკაციის პრობლემების შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით აფხაზთა მეფეთა სახელით ჩვენამდე მოღწეულ წერილობით ძეგლებს. მათ შორისაა ზემოთ დასახელებული ერთი ისტორიული თხზუ-ლება და ქართული ასომთავრულით შესრულებული ოცამდე ეპიგრაფიკული ძეგლი.

რეგიონის წერილობითი კულტურის შესწავლის, ისტორიულ-წყაროთმ-ცოდნეობითი და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე აშკარად გამოი-კვეთა „აფხაზთა სამეფოში" მიმდინარე მოწინავე კულტურულ-ისტორიული ტენდენციები. მაგალითად, იგი ერთ-ერთი პირველი ეხმაურება ქართულ ასომთავრულში მიმდინარე ცვლილებებს. ამის დასტურია დასავლეთ საქა-რთველოში ყველაზე ადრეული ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუშების აფხაზეთის, კერძოდ, გუდაუთის მუნიციპალიტეტის მსიგხვას მთის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენა. უფრო მეტიც, ამ მხარეში საფუძ-ველი ჩაეყარა ქართული სადამწერლობო კულტურის ერთ-ერთ შესანიშნავ კიდურწაისრული დამწერლობის ქვის კალიგრაფიულ სკოლას, რომელიც აფხაზეთიდან გავრცელდა დანარჩენ საქართველოში.

აფხაზთასამეფოს დროინდელი ხუროთმოძღვრება და წერილობითი კულ-ტურის ძეგლები თავისი მხატვრული ფორმებით, შინაარსითა და თავისე-ბურებებით ადრეშუასაუკუნეების საქართველოს კულტურულ ფენომენს ქმნიდა.

*Lia Akhaladze*
*Sokhumi State University*

## CULTURE AND LITERARY WORKS OF THE "KINGDOM OF ABKHAZIA" ABSTRACT

The "Kingdom of Abkhazia" commonly also known in the historiography by the name of the kingdom of Egris-Abkhazia originally encompassed the whole territory of West Georgia. During the later stages it increasingly expanded and embraced vast part of the Kartli region as well as the Javakheti region. According to the old Georgian historical tradition, which heretofore is the key historical source for studying the "Kingdom of Abkhazia", the age of the kingdom of Abkhazia extended throughout VIII-X centuries.

While giving an account of culture of the "Kingdom of Abkhazia" we focus on the architecture and the literary works of the period identified above. Its vibrant architecture is vividly represented through the clerical architectural monuments and the secular architectural monuments, whereas the extant literary works include clerical literature and the inscriptions that bear historical significance.

To the heart of what is meant by the clerical architecture of the "Kingdom of Abkhazia" belong the Dranda Cathedral, the Church of the Holy Archangels Michael and Gabriel on the mount Msigkhva, the Mokvi Cathedral of the Holy Virgin, the Khuafi Saint Nikoloz Cathedral, the Ambary and the Mugudzirkhva Churches, the Otkhara rocky monastery, etc.

The clerical architecture coming from the age of the Kingdom of Abkhazia is reminiscent of the Georgian culture as it is scattered throughout the territory of the present day Georgia proper in Imereti, Samegrelo, Guria, Svaneti, Kartli and Javakheti and great many of them have inscriptions with historical content.

The literary heritage of the age of the "Kingdom of Abkhazia" became replenished through works that belonged to the realms of clerical literature as well as epigraphy of the "Kings of Abkhazia".

It is noteworthy, that the "Kingdom of Abkhazia" gave prominence to the most well-known representatives of the Georgian cultural locus at time and gave rise to its potential; these were clergymen as well as people of secular descent who made their names immortal through their extraordinary activity. Literary work carried out by Stephane Sasanoisdze the Georgian hymnographer and translator in the Martvili Monastery is truly brilliant, the latter formed as center, where during the reign of George II *"King of Abkhazia"* (923-957 AD) the Georgian culture thrived. Through the charity of George II patronage was furthermore bestowed to Ioane Minchkhi the

great Georgian hymnographer, author of the wonderful “Lenten Triodion”; not least, author of the Martyrdom of Michael Sabatsmindeli, called “Abukura” was inhabitant of the “Kingdom of Abkhazia”. The chronicle of the Kings of Egris-Abkhazia as of the VIII-X cc. titled, the “Divan of the Abkhazian Kings” was written in Georgian at the orders of Konstantin the “King of Abkhazia”.

Extant literary works devised in the name of the “Kings of Abkhazia” provide vital information for understanding historical roots of the “Kingdom of Abkhazia” as well as origins of national identity and of statehood of the “Kings of Abkhazia”. The historical composition mentioned above along with twenty different epigraphic works executed in the Georgian Asomtavruli script stand for their distinctive features among those.

Based on its literary culture, historical study, source criticism and paleographic analysis the region provides further grounds for understanding advanced cultural-historical tendencies in the “Kingdom of Abkhazia”; its early reaction to the transformation introduced to the Georgian ‘Asomtavruli’ script works as a solid evidence for actualizing the abovementioned. Hence, the discovery of the earliest samples of the Georgian ‘Asomtavruli’ script in the ruins of the church on the Msgikhva mountain, located in the Gudauta municipality in the modern day Abkhazia. Furthermore, this is the region where the cradle of the Georgian literary culture gave birth to the splendid stone engraving type of “arrow-edged” (“Kidurtsaisruli”) script and its calligraphy school so as to promote its dissemination from Abkhazia throughout the entire Georgia proper.

Through its art forms, content and basic cultural essentials architecture as well as literary culture of the age of the “Kingdom of Abkhazia” was cultural phenomenon entrenched in the early middle age Georgian cultural realm.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა, თბ., 1980.

ვალერი სილოგავა. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994.

სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. შრომები. ტ. VI. თბ., 1988.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, სალთისმეტყველო -ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს

ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა. თბ., 2012.

ლია ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“ )მეფეთა წარწერები, საინ-ფორმაციო -ანალიტიკური ჟურნალი – აფხაზეთი, თბ., 2004. გვ. 56-64.

ლია ახალაძე. „აფხაზთა“ (ეგრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლე-ბი, ჟურნალი, რიწა, N3. გვ. 100- 109.

ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), თბ., 2005.

ლია ახალაძე. აფხაზეთი „აფხაზთა სამეფოს“ შემადგენლობაში, VIII ს. მეორე ნახევარი – X ს. წიგნში: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007. გვ. 91-110.

З. В. Анчабадзе. История И культура древней Абхазии. М. 1964.

З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1964.

Искусство абхазского царства , VIII-XI веков. Христианские памятники Анакопийсккой крепости /А.С. Агумаа, Д. В. Белецкий, А. Ю. Виноградов , Е. Ю. Ендолцева; Автор предисл. О. Х. Бгажба. Санкт – Петербург. 2011.

Corpus of Georgian Inscriptions, vol. I. Lapidary inscriptions, Eastern and Southern Georgia (V-X centuries) compiled and prepared for publication by Nodar Shoshiashvili, Tb., 1980 (In Georgian).

Valery Silogava. Kumurdo. Epigraphy of the temple, Tb., 1994. (In Georgian, In-scription texts in English, pp.116-125).

Simon Janashia. Giorgi Sharvashidze. Cultural-historical essay. Works. T. VI. Tb., 1988. (In Georgian).

The Corpus of Javakheti Epigrafhic Monuments. Lapidary inscriptions. Prepared for publica-tion by Valery Silogava, Lia Akhaladze, Merab Beridze, Nestan Sulava and Roin Kavrelishvili. Tb., 2012.

Lia Akhaladze. Inscriptions of Egrisi-Abkhazia (“Abkhazia”) kings, informational-an-alytical magazine – Abkhazia, Tb., 2004. p. 56-64.

Lia Akhaladze. Written Monuments of “Abkhazian” (Egris-Abkhazian) kings, Ritsa, N3. p. 100-109.

Lia Akhaladze. Epigraphic Monuments of Abkhazia as a Historical Source. I. (Lapi-dary and fresco inscriptions), Tb., 2005, (in Georgian with an English summary). https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/afkhazetis-epigrafika-rogorts-saistorio-tskaro/907

Lia Akhaladze. Abkhazia within the Abkhazian Kingdom in the Second

Half of the 8-10th Centuries. In the book: Essays from the History of Georgia-ABKHAZIA from ancient times till the present days, Tbilisi 2009, cc. 110-130. (in English). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/10253/1/Abxazia.pdf

Z. V. Anchabadze. History and culture of ancient Abkhazia. M. 1964 (In Russian).

Z. V. Anchabadze. From the history of medieval Abkhazia (VI-XVII centuries). Sukhumi, 1964. 1964 (In Russian).

The Art of the Abkhazian Kingdom from the VIIIth to the XIth Centuries. The Christian Monuments of Anakopia Fortress / A.S. Agumaa, D. V. Beletsky, A. Yu. Vinogradov, E. Yu. Endoltseva; Author of preface O. Kh. Bgazhba. St. Petersburg. 2011. (In Russian, with an English summary)



სურ. 2. ბედიის გულანი, A-187a. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 2. Gulani of Bedia, A-187a. Kept at Korneli Kekelidze Geogian National Centre of Manuscripts

**ლია ახალაძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები

საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების მრავალრიცხოვან ფონდს ქმნის ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, ჯავახეთის, სამცხის, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიებზე დაცული ისტორიული მნიშვნელობის წარწერები. მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შუა საუკუნეების აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ჩვენამდე მოღწეულია ლაპიდარული (ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული), ჭედური (ხატებზე, ჯვრებზე, საეკლესიო ნივთებზე ამოკვეთილი) და ფრესკული (საღებავით შესრულებული) წარწერები.

ლაპიდარული წარწერები გვხვდება ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ოსმალურ (არაბული დამწერლობით) ენებზე. ხოლო ფრესკული წარწერები მხოლოდ ქართულ და ბერძნულ ენებზეა დაცული. მათ შორის ქართული წარწერების რაოდენობა ასამდე აღწევს და მათი ქრონოლოგია VIII-XIX საუკუნეებს მოიცავს. ბერძნული წარწერები ძირითადად IX საუკუნემდელია, თუმცა გვხვდება XI საუკუნის ბერძნული გრაფიტოებიც. შემორჩენილია რამდენიმე ოსმალური და ლათინური წარწერა.

ქართული ლაპიდარული და ფრესკული წარწერების უმრავლესობა შინაარსობრივად საამშენებლო ხასიათისაა და ამოკვეთილია საეკლესიო და საერო დანიშნულების ძეგლებზე. გარდა ამისა, გვაქვს მემორიალური და იურიდიული შინაარსის წარწერები. ქართული წარწერების უმრავლესობა ასომთავრული ანბანითაა შესრულებული, თუმცა გვაქვს ნუსხა-ხუცური და მხედრული წარწერებიც.

ფასდაუდებელი წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს ისტორიული შინაარსის წარწერებს მსიგხვას, ხუაფის, ბედიის, ილორის ლიხნის, მოქვის, ღუმურიშის, წკელიკარის, დიხაზურგას, ჭალის, გუდაყვის, წებელდის, წარჩეს და სხვა სამონასტრო კომპლექსებიდან და ტაძრებიდან. სოხუმის თაღოვანი ხიდის წარწერას, სხვადასხვა სოფლებში გაფანტულ საფლავის ქვის ეპიტაფიებსა და ანტეფიქსებს.

მრავალფეროვანია აფხაზეთის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასახელებულ ისტორიულ პირთა სოციალური სპექტრი. წარწერებში ვხვდებით მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას: მეფეების, მხარის გამგებლების, მაღალი საეკლესიო იერარქიის, მღვდლების, ოსტატ-მშენებლების და უბრალო მლოცველების სახელებს. წარწერებში დასახელებულია: ,,აფხაზთა" სამეფოსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეები: გიორგი II (922-957), ბაგრატ III (978-1014), ბაგრატ IV (1027-1072), გიორგი II კურაპალატი (1072-1089), კონსტანტინე მეფეთა მეფე (დავით ნარინის ძე) (1293-1227); მსხვილი სამეფო მოხელეები, მხარის გამგებლები და ადგილობრივი მსხვილი ფეოდალები: ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი აბულასან იობის ძე, მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი, ვაჩე პროტოსპათარი და იპატოსი, გიორგი ბასილის ძე, გიორგი გურგენიძე, ,,დეოფალთ დეოფალი" საგდუხტი, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი, ,,დეოფალთ დეოფალი" მარიხი, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ოზბეგ დადიანი, ლევან I დადიანი, ,,ანაკოსიის" მთავარი რაბია; საეკლესიო პირები: ხოფის (ხუაფის) ტაძრის მაშენებელი უცნობი ,,მამადმთავარი", მთავარეპისკოპოსი გიორგი, აფხაზეთის კათალიკოსი ნიკოლოზ გონგლიბაისძე, სოფრონ ბედიელი, მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ანტონ ჟუანისძე, კირილე ჟუანისძე, გერმანე ჩხეტიძე, გრიგოლ მოქველი. ილორის საყდრის მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, წკელიკარის ტაძრის ხუცესი მერკილი, გუდავის ეკლესიის დეკანოზი და ა.შ. ტაძრის მაშენებლები: სვიმონ გალატოზთუხუცესი, გრიგოლ გალატოზთუხუცესი, გიორგი გალატოზი, მიქაელ გალატოზი, ლუკა მარტინავა, საბა მლელის ძე. წარწერებში დასახელებულია უბრალო მლოცველები, ადგილობრივი მოსახლეობა მიქაელი, გიორგი, ფაშაძე, როშა, ნუგამწირა და ა.შ. ეს არის იმ ისტორიულ პირთა არასრული ნუსხა, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მატერიალურ და სულიერ კულტურას ჰქმნიდნენ.

***Lia Akhaladze***
*Sokhumi State University*

# EPIGRAPHIC MONUMENTS OF ABKHAZIA

Inscriptions of historical significance preserved in Kartli, Kakheti, Imereti, Samegrelo, Abkhazia, Adjara, Racha-Lechkhumi, Svaneti, Javakheti, Samtskhe, Tao-Klarjeti represent numerous fund of epigraphic monuments of Georgia. Most of them are located in the northwestern part of Georgia, in the territory of the present-day Autonomous Republic of Abkhazia.

From the epigraphic monuments of medieval Abkhazia *lapidary* (incised on stone), *metalwork* (engraved on icons, crosses, church items), and *fresco* (painted) inscriptions have come down to us.

Lapidary inscriptions are found in Georgian, Greek, Latin, and Ottoman (in Arabic script) languages. The fresco inscriptions are preserved only in Georgian and Greek languages. Among them, the number of Georgian inscriptions reaches one hundred and their chronology covers 8th-19th centuries. Greek inscriptions are mostly dated before the 9th century, although Greek graffitos of the 11th century can also be found. Several Ottoman and Latin inscriptions have survived as well.

Most of the Georgian lapidary and fresco inscriptions are of building/construction nature by content and are carved on ecclesiastical and secular monuments. In addition, there are inscriptions of memorial and legal content. Most of the Georgian inscriptions are written in Asomtavruli script, but there are inscriptions in Nuskha-Khutsuri and Mkhedruli scripts as well.

The inscriptions of historical content from Msigkhva, Khuapi, Bedia, Ilori, Likhni, Mokvi, Ghumurishi, Tskelikari, Dikhazurga, Chala, Gudakvi, Tsebelda, Tsarche and other monasctic complexes and churches, inscription of Sukhumi arch bridge, tombstones and antefixes scattered in various villages are beyond price in terms of source study and paleography.

The social spectrum of historical figures witnessed in the Georgian epigraphic monuments of Abkhazia is multifarious. In the inscriptions the names of almost all strata of the population are presented: of Kings, district governors, high ecclesiastical hierarchy, priests, masters-builders and ordinary worshipers. In the inscriptions are named the Kings of the Kingdom of „Abkhazia“ and United Georgia: Giorgi II (922-957), Bagrat III (978-1014, Bagrat IV (1027-1072), Giorgi II Kurapalat (1072-1089), Konstantine King of Kings (son of David Narin) (1293-1227); Major royal officials, district governors, and local feudal lords: grand duke and royal treasurer Abulasan son

of Job, royal chancellor and of Chkondidi (court minister?), Vache Protospatar and Ipatos, Giorgi son of Basil, Giorgi Gurgenidze, “Queen of Queens” Sagdukht, grand duke and minister of interior affairs Giorgi Dadiani, “Queen of Queens” Marikhi, grand duke and minister of interior affairs Ozbeg Dadiani, Levan I Dadiani, Rabia prince of “Anakosi”; ecclesiastical figures: unknown builder of Khopi (Khuapi) “Mamadmtavari”, Archbishop Giorgi, Catholicos of Abkhazia Nikoloz Gonglibaisdze, Sopron of Bedia, Archbishops and Metropolitan bishops Anton Zhuanisdze, Kirile Zhuanisdze, Germane Chkhetidze, Grigol of Mokvi, priest of Ilori Church Giorgi Kocholava, priest Merkili of Tskelikari Church, deacon of Gudavi Church, etc. Church builders: Svimon elder bricklayer (გალატოზთუხუცესი), Grigol Svimon elder bricklayer (გალატოზთუხუცესი), Giorgi bricklayer (გალატოზი), Mikael bricklayer (გალატოზი), Luka Martinava, Saba son of Mleli. In the inscriptions are mentioned as well ordinary worshipers, locals: Mikael, Giorgi, Pashadze, Rosha, Nugamtsira, etc. This is an incomplete list of historical figures who created material and spiritual culture on the territory of modern Abkhazia throughout the Middle Ages.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II. ლაპიდარული წარწერები, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX – X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980.

ვალერი სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2005 //

ლია ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), თბ., 2005.

ლია ახალაძე. წერილობითი კულტურა შუა საუკუნეების აფხაზეთში, „სპეკალი“ N1, რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური ჟურნალი, http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/5

Corpus of Georgian Inscriptions, vol. II. Lapidary inscriptions, Inscriptions of Western Georgia. Part I (IX-X centuries) was compiled and prepared for publication by Valery Silogava, Tb., 1980 (In Georgian).

Valery Silogava. Epigraphy of Samegrelo-Abkhazia, Tb., 2005 (In Georgian).

Lia Akhaladze. Epigraphic Monuments of Abkhazia as a Historical Source. I. (Lapidary and fresco inscriptions), Tb., 2005, (in Georgian with an English summary). https://elibrary.sou.edu.ge/ge/books/afkhazetis-epigrafika-rogorts-saistorio-tskaro/907

Lia Akhaladze. The Culture of Writing in Medieval Abkhazia, ‚Electronic Bilingual scholary peer – reviewed journal, “Spekali” #1, 2010. http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/text/index/1

**ლია ახალაძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# მულტიკულტურული აფხაზეთი

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც მოიცავს ძველი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს – აფხაზეთს და ნაწილობრივ სამეგრელოს/ოდიშის ტერიტორიას. მისი დედაქალაქია სოხუმი, ისტორიული წყაროების თანახმად იგივე ცხუმი.

წერილობითი ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ აფხაზეთის ეთნიკური რუკა, საუკუნეების მანძილზე მრავალფეროვანი და ცვალებადი იყო – განსაკუთრებით ზღვის ზოლის დასახლებები. ამას განაპირობებდა ტრადიციული საზღვაო – სავაჭრო ურთიერთობები და დიდი აბრეშუმის გზის მარშრუტი, რომელიც თანამედროვე აფხაზეთზე გავლით ევროპისა და აზიის ძირითადი ბაზრებისკენ მიემართებოდა. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო აფხაზეთის სანაპირო ზოლის ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას, კერძოდ, ცხუმში ქალაქური ცხოვრების სტილისთვის დამახასიათებელ კულტურული სიმბიოზის გავლენას. ეს სიმბიოზი განსაკუთრებით იგრძნობა ძველი ბერძნების, რომაელების, გენუელებისა და ოსმალთა გავლენის დროს. მიუხედავად აფხაზეთის ზღვის ზოლში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნებისა, ამ ურთიერთობებმა თვალსაჩინო გავლენა ვერ დატოვა შუა საუკუნეების აფხაზეთის ყოფით ცხოვრებასა და მატერიალურ კულტურაზე, თუმცა ტრადიციად აქცია მულტიკულტურული ცხოვრების წესები.

შუა საუკუნეების აფხაზეთში საზოგადოებრივ ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ნათესაობა, ძუძუმტეობა, ძმადნაფიცობა, სტუმარმასპინძლობა, სუფრის ტრადიცია და ა. შ. იდენტური ვითარება გვაქვს საქართველოს სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებშიც, განსაკუთრებით მთის ზონის სოციუმში. მიუხედავად, ეთნიკური მრავალფეროვნებისა, საერთო კულტურულ ღირებულებათა ერთობლიობა ქმნიდა საქართველოს ერთიან კულტურულ-ისტორიულ სივრცეს და მულტიკულტურულ ურთიერთობათა ასპექტში, ამ სივრცისგან მოწყვეტით არც აფხაზეთი განიხილება.

შუა საუკუნეებისაგან განსახვავებით, მოსახლეობის აღწერის დავთრებით, მეტი სიზუსტით შეგვიძლია ვისაუბროთ XIX, XX და XXI საუკუ-

ნეების აფხაზეთის ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებაზე. ამ პერიოდის აფხაზეთი ძირითადად ქართველებით, აფხაზებით, ბერძნებითა და ებრაელებით იყო დასახლებული, მაგრამ რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის წყალობით ეთნიკური რუკა ნელ-ნელა შეიცვალა. XIX საუკუნის აფხაზეთში გვხვდება ქართული, აფხაზური, ბერძნული, რუსული და სომხური დასახლებები. XX საუკუნეში აფხაზეთის ეთნიკური სპექტრი გაფართოვდა, მოსახლეობის აღწერის დავთრებით ჩანს, რომ არსებულ მულტიეთნიკურ სპექტრს დაემატნენ უკრაინელები, ბელორუსები, ოსები, აზერბაიჯანელები, ასირიელები, ქურთები და სხვა. ბუნებრივია, მოსახლეობის ეს ფენები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რაც მრავალფეროვან მულტიკულტურულ სურათს ქმნიდა. აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა კულტურულ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული მულტიკულტურული ურთიერთობები საუკუნეების მანძილზე უცხო ეთნოსებთან და კულტურებთან კავშირების ტრადიციულ ფორმებს და გამოცდილებას ეყრდნობოდა. პირველ რიგში, ეს იყო ქართველთა და აფხაზთა ტრადიციული ურთიერთობები, რომელსაც ნაციონალური იდენტობის საერთო სიმბოლოები და მენტალობა ედო საფუძვლად.

XX საუკუნის 80-იან წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დაწყებულმა პროცესებმა და საბჭოთა იმპერიის გადარჩენის პოლიტიკურმა ავანტიურამ შეიწირა საუკუნოვან ტრადიციებზე დამყარებული მულტიკულტურული მშვიდობა.

პოსტსაბჭოთა, ოკუპირებულ აფხაზეთში გაწყდა კავშირი წარსულსა და თანამედროვეობას შორის, დარღვეულია კულტურისა და იდენტობის სიმბოლოების ერთობლიობა: საერთო ენა, მატერიალური კულტურა, წეს-ჩვეულებები. ბუნებრივია, დევალვაციას განიცდის ტრადიციული მულტიკულტურული ურთიერთობები, რომელიც იკარგება და არ ხდება კოლექტიური მეხსიერების ნაწილი. თანამედროვე აფხაზეთში კულტურისა და იდენტობის კორელაციის შედეგად დარღვეულია სხვადასხვა ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული ტრადიციული ურთიერთობების ისტორიული კანონზომიერება.

ამ ფონზე მრავლისმეტყველია ის სევდა, რომელსაც ტრადიციული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართ იჩენს ქართული და აფხაზური კულტურული სკოლები. ნიმუშად და მომავლის იმედად მოგვყავს აფხაზი პოეტის შამილ ფილიას ლექსი:

„ვხედავ ჩვენს შორის ჩამდგარა ტყვია, ერთურთს ამაგი ვერ დავუფასეთ,

მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რომელიც ვერ დაივიწყებს ნოდარ დუმბაძეს“.

***Lia Akhaladze***
*Sokhumi State University*

# MULTICULTURAL ABKHAZIA

The autonomous republic of Abkhazia is located in the north-western part of Georgia, which includes the historical geographical provinces of old Georgia – Abkhazia and partly the territory of Samegrelo/Odishi. Its capital is Sukhumi, according to historical sources, the same Tskhumi.

Written historical sources testify that the ethnic map of Abkhazia has been multifarious and variable over the centuries – especially the settlements along the coast. This was due to the traditional maritime-trade relations and the route of the Great Silk Road, which ran through modern Abkhazia to the main markets of Europe and Asia. These factors contributed to the development of economic and cultural relations in the urban settlements of the Abkhazian coastline, in particular, the influence of the cultural symbiosis characteristic of the urban lifestyle in Tskhumi. This symbiosis is especially felt under the influence of the ancient Greeks, Romans, Genoese, and Ottomans. Despite the ethnic diversity in the Abkhazian coastline, these relations have not had a significant impact on the life-style and material culture of medieval Abkhazia, although multicultural life-style has become a tradition.

Relatives, breastfeeding, relationship of sworn brothers, hospitality, table tradition, etc. played a crucial role in public relations in medieval Abkhazia. There is an identical situation in other historical-geographical regions of Georgia, especially in the mountain zone society. Despite the ethnic diversity, the combination of common cultural values created a unified cultural-historical space of Georgia and in terms of multicultural relations, neither is Abkhazia considered to be separated from this space.

Unlike the Middle Ages, according to the population registers, we can speak more accurately about the ethnic and cultural diversity of Abkhazia in the 19th, 20th and 21th centuries. During this period, Abkhazia was largely inhabited by Georgians, Abkhazians, Greeks, and Jews, but thanks to the demographic policy of the Russian Empire, the ethnic map gradually changed. In the 19th century Abkhazia Georgian, Abkhazian, Greek, Russian and Armenian settlements are found. In the 20th century, the ethnic spectrum of Abkhazia expanded, the population registers show that Ukrainians, Belarusians, Ossetians, Azerbaijanis, Assyrians, Kurds, and others were added to the existing multiethnic spectrum. Naturally, these strata of the population were actively represented in various spheres of public life, creating a diverse multicultural picture.

In Abkhazia, as well as in other parts of Georgia, the multicultural relations between different cultural and ethnic groups during the Soviet period was based on traditional forms and experiences of centuries of relations with foreign ethnic groups and cultures. First of all, it was the traditional relations between Georgians and Abkhazians, which was based on the common symbols and mentality of the national identity.

The processes that began in the public and political life of the Soviet Union in the second half of the 1980s, and the political venture of the Soviet Empire's survival, sacrificed multicultural peace based on centuries-old traditions.

In post-Soviet, occupied Abkhazia, the connection between the past and the present has been severed, the combination of cultural and identity symbols has been broken: common language, material culture, customs. Naturally, traditional multicultural relationships are devalued, which is being lost and which is not part of the collective memory. As a result of the correlation of culture and identity in modern Abkhazia, the historical regularity of the traditional relations between different ethnic and cultural groups has been violated.

Against this background, the melancholy of Georgian and Abkhazian cultural schools towards traditional Georgian-Abkhazian relations is eloquent. Below the poem of the Abkhazian poet Shamil Filia as a model and hope for the future:

"I see a bullet stuck between us, we couldn't evaluate each other's care,
But what can I do with this heart that cannot forget Nodar Dumbadze[1]."

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

საქართველოს მრავალეთნიკური და მრავალკულტურული რეგიონი აფხაზეთი. საკითხავი სალექციო კურსი: მრავალეთნიკური და მრავალკულტუტული საქართველო. კურსის შედგენაზე მუშაობდნენ: ნინო ჩიქოვანი, ლია ახალაძე, დავით მალაზონია, ქეთევან კაკიტელაშვილი, თამარ შინჯიაშვილი და სხვები... თბ., 2015.

ლია ახალაძე, თამარ შინჯიაშვილი. კულტურისა და იდენტობის კორელაციის საკითხისათვის აფხაზეთში. საერთაშორისო კონფერენცია „ენა და ტერიტორია 2", თეზისები, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2015. საერთაშორისო პერიოდული გამოცემა „განათლება". თბილისი. 2014

სალომე ბახია – ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2010.

[1] Nodar Dumbadze (1928-1984) – a popular Georgian writer.

Abkhazia, a multiethnic and multicultural region of Georgia. Reader in multiethnic and multicultural Georgia,  The course was compiled by: Nino Chikovani, Lia Akhaladze, Davit Malazonia, Ketevan Kakitelashvili, Tamar Shinjiashvili and others... Tbilisi, 2015.

Lia Akhaladze, Tamar Shinjiashvili. For the correlation of culture and identity in Abkhazia. International Periodical  Journal, N8, 2016.

Salome Bakhia – Okruashvili, problems of ethnic history of Abkhazians.Tbilisi, 2010.



სურ. 3. ბიჭვინთის ოთხთავი, H-2120. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 3. Bitchvinta Four Gospels, H-2120.  Kept at Korneli Kekelidze Geogian National Centre of Manuscripts

**თეა ქართველიშვილი**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# სამწიგნობრო კულტურა აფხაზეთში

აფხაზეთი (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია), ქართული სამწიგნობრო კულტურის ორგანული ნაწილი იყო. ამ რეგიონში საკათალიკოსო ცენტრისა (XVI საუკუნის შუა ხანებამდე) და საეპისკოპოსო კათედრების არსებობამ ხელი შეუწყო სამწიგნობრო საქმიანობის ინტენსიურ განვითარებას. შემორჩენილი ხელნაწერი მემკვიდრეობა მოწმობს, რომ აფხაზეთში კულტურის ეს დარგი მაღალ დონეზე იდგა. აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა, პირობითად, შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ:

1. ხელნაწერები, რომლებიც გადაიწერა ან განახლდა აფხაზეთში არსებულ სამწიგნობრო კერებში.

2. ხელნაწერები, რომლებიც, მართალია, არ შექმნილა აფხაზეთში, მაგრამ ხელნაწერი წარმოადგენდა აფხაზეთის რომელიმე სამწიგნობრო ცენტრის კუთვნილებას.

3. აფხაზეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული ხელნაწერები, რომელთა უმრავლესობა XIX საუკუნიდან შემოგვრჩა.

ხელნაწერი წიგნების გარდა, მნიშვნელოვანია, როგორც აფხაზეთის რეგიონში შექმნილი საისტორიო დოკუმენტები, ასევე აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის შემცველი საბუთები. აფხაზეთის ხელნაწერ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია აფხაზეთის საკათალიკოსო საბუთებს (XVI-XVII სს.). მართალია, ეს დოკუმენტები დიდწილად მთელ დასავლეთ საქართველოს ეხება, მაგრამ მათში სხვა სამეფო-სამთავროებთან ერთად, აფხაზეთის რეგიონზეც, როგორც საკათალიკოსოს შემადგენელ ნაწილზე არის საუბარი. საბუთები ძირითადად, საკათალიკოსოს გამოსავლის დავთრებია, რომლებშიც განსაზღვრულია აფხაზეთში მოსახლე საკათალიკოსოს კუთვნილი ყმა-მამული. აღნიშნული აქტები მდიდარ მასალას იძლევა სხვადასხვა საუკუნეში აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიულ ვითარებაზე, ონომასტიკონსა და ტოპონიმიკაზე, ამასთან, სამართლებრივ ნორმებსა და ფინანსურ ურთიერთობებზე.

მნიშვნელოვანია აფხაზთა მთავრების სიგელები კათალიკოსებისადმი, რომლებიც პირობის წიგნებს წარმოადგენენ და საკათალიკოსო ყმების დაცვასა და გაუყიდველობას ეხება.

XIX საუკუნის საბუთებიდან, ძირითადად, გვაქვს აფხაზთა მთავრებისა თუ თავადების პირადი წერილები.

აფხაზეთის საისტორიო საბუთები, გარდა იმისა, რომ იწერებოდა ქართულად, მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით, სტრუქტურულად გამართულია ქართულ დიპლომატიკაში მიღებული სტანდარტის მიხედვით. აქტებში ასახულია ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საქართველოს სამეფო-სამთავროებში მოქმედებდა. აფხაზეთში მოსახლე საკათალიკოსო ყმების ვალდებულება სიუზერენის მიმართ იგივე იყო, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში მოსახლე ყმებისა. მოქმედებდა ერთიანი საგადასახადო სისტემა, რომელიც აფხაზეთის მთავრებსაც და გლეხებსაც ერთნაირად ეხებოდა.

აფხაზთა მთავრების მხრიდან იურიდიული შინაარსის დოკუმენტებისა და პირადი წერილების ქართულ ენაზე შედგენა ნათლად მეტყველებს, რომ მათი საკანცელარიო და საკომუნიკაციო ენა იყო ქართული. (ენაც და დამწერლობაც ქართულია) ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შარვაშიძეთა პირად ბეჭედზე ამოტვიფრული ლეგენდა ქართულად იყო შესრულებული. მთავრის მიერ გაცემული დოკუმენტის  ლეგალიზაცია მხოლოდ მისი პირადი ბეჭდით ხდებოდა.

მთავრის ძალაუფლების სიმბოლოს — ბეჭდის ქართულ ენაზე არსებობა, აფხაზეთის მთავრებისა და თავადების კანცელარიის ქართულ ენაზე არსებობა, საეკლესიო თუ საერო შინაარსის ხელნაწერი წიგნების ქართულ ენაზე არსებობა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზეთი კულტურულად და პოლიტიკურად ქართული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო.

***Tea Kartvelishvili***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## LITERARY CULTURE IN ABKHAZIA

Abkhazia (territory of the Autonomous Republic of Abkhazia) has always been indispensable part of the cultural environment of Georgia.

Catholicosate center (until the middle of XVI century) and various Bishoprics here encouraged literary activities to extend wide and far. The extant manuscript heritage witnesses the high levels this field of culture accounted for. Generally, we can split the manuscript heritage of Abkhazia into three parts:

1. Manuscripts that were copied or restored in the literary centres in Abkhazia.

2. Manuscripts that were not originally composed here nonetheless they belonged to one of the literary centers in Abkhazia.

3. Manuscripts that had to do with Abkhazia content wise, vast majority of those date back to the XIX century.

Apart from the manuscript books historical documents that find their origin in this region (Abkhazia) as well as documents that reveal different kind of information on Abkhazia are key. The material that came down to us once again sheds light that the royal office (chancellary) of princes of Abkhazia and its nobility held official correspondence in Georgian. This is, yet, another piece of evidence that Abkhazia was integral part of Georgia both cultural and political wise.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


ქართველიშვილი თ. აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მიხედვით), გივი წულაია-80, თბ., 2014.

ქართველიშვილი თ. აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა (კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საისტორიო დოკუმენტების მიხედვით), კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კონფერენციის მასალები, თბ., 2021.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი, ალბომი, ტ. I, თბ., 2007; გ. არახამია, აფხაზეთის ხელნაწერები, კრ: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთი, თბ., 2012.

ხელნაწერთა აღწერილობა, (H კოლექცია), ტ. V. რედ. ალ. ბარამიძე, თბ., 1949

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტ. VI. რედ. ალ. ბარამიძე. თბ., 1953.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1957.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1958.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. $I_1$, რედ. ე. მეტრეველი, თბ. 1973.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტ. $II_1$, რედ. ე. მეტრეველი, თბ., 1986.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. III, რედ. ე. მეტრეველი, თბ., 1963.

Kartvelishvili T. Handwritten Heritage of Abkhazia (based on Collection Manitained at the National Center of Manuscripts). Handwritten Heritage of Abkhazia (based on Collection Manitained at the National Center of Manuscripts), GIVI TSULAIA-80, Tb. 2014.

Kartvelishvili T. MANUSCRIPT HERITAGE OF ABKHAZIA (ACCORDING TO THE HISTORICAL DOCUMENTS PRESERVED IN THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS), PROTECTION OF CULTURAL HERITAGE ON OCCUPIED TERRITORIES: GEORGIA AND INTERNATIONAL EXPERIENCE. Conference Proceedings, Tb. 2021.

Cultural heritage of Georgia Abkhazia, album, I, Tb., 2007, G. Arakhamia, Manuscrpts of Abkhazia, CULTURAL HERITAGE ON OCCUPIED TERRITORIES, Abkhazia, Tb. 2007.

Description of Georgian Manuscripts of tre state museum of Georgia (H collection), t. V, ed. A. Baramidze, Tb. 1949

Description of Georgian Manuscripts of tre state museum of Georgia (H collection), t. VI, ed. A. Baramidze, Tb. 1953.

Description of Georgian Manuscripts (Q collection), prepared by E. Metreveli and K. Sharashidze, ed. I. Abuladze, Tb. 1957

Description of Georgian Manuscripts (Q collection), ed. II. Abuladze, Tb. 1957

Description of Georgian Manuscripts (A collection), t. $I_{I,}$ ed. E. Metreveli, Tb. 1973

Description of Georgian Manuscripts (A collection), t. $II_{I,}$ ed. E. Metreveli, Tb. 1986

Description of Georgian Manuscripts (S collection), t. $III_{,}$ ed. E. Metreveli, Tb. 1963

**ნინო ქავთარია**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# ხელოვნება შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზეთის რეგიონის არტეფაქტების ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი)

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონი – აფხაზეთი – ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული აქტიური კულტურული ცხოვრებით გამოირჩეოდა. უძველესი სამაროვნები, ძველი ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ხიდები თუ ეკლესია-მონასტრები ამის ნათელი დადასტურებაა. უძველესი მეგალითური ნაგებობების, დოლმენების გვერდით აქ უძველეს ქრისტიანულ ტაძრებსაც ვხვდებით.

შუა საუკუნეების აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა, იქ შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლები, რელიეფები, ფერწერული ხელოვნების ნიმუშები თუ მხატვრულად გაფორმებლი ხელნაწერი წიგნები ე.წ. „შავიზღვისპირეთისათვის" სახასიათო მხატვრული თავისებურებების ანარეკლსაც შეიცავს. თავდაპირველად ეს იყო ბერძნული, შემდეგ ელინისტურ-რომაული და ბოლოს ბიზანტიის კულტურული მემკვიდრეობის გავლენა და ამ ტრადიციების შერწყმა ადგილობრივ მხატვრულ კულტურასთან.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრექრისტიანული ტაძრები ბიჭვინთის (ბერძნულად პიტიუნტი) ნაქალაქარზეა აღმოჩენილი და IV საუკუნით თარიღდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებაში მონაწილეობას ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეც იღებდა. აქ ორი უძველესი, სამნავიანი ბაზილიკის არსებობაც ბიჭვინთაში დასტურდება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთ-ერთ ბაზილიკაში აღმოჩენილი მოზაიკური მხატვრობის ნიმუშები, ქრისტიანული სიმბოლოებით. როდესაც ბიჭვინთის მოზაიკებზე ვსაუბრობთ არ უნდა გამოგვრჩეს აქვე ნაპოვნი ორი საერო მოზაიკის ფრაგმენტი: ტრიტონითა (III სს) და სპილოებით (V-VI სს). მოზაიაკური მხატვრობის ეს ნიმუშები გვიანანტიკური და ადრექრისტიანული ხელოვნების მხატვრული ტრადიციების ამსახველია და ნათლად მიგვანიშნებენ მეზობელი ქრისტიანული აღმოსავლეთის მხატვრული ტრადიციების გავლენაზე.

ამ ადრეულ ხანას განეკუთვნება VII საუკუნით დათარიღებული წებელდის კანკელის ორი ფილა სახარებისეული სიუჟეტებით.

გამორჩეული მხატვრული ნიშნებით ხასიათდება თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩენილი ძველი გაგრის ტაძარი (VI ს), რომელსაც გ.ჩუბინაშვილმა ,,სამეკლესიანი ბაზილიკა‘‘ უწოდა. ასევე დრანდის ეკლესია (VIII ს) ადრებიზანტიური არქიტექტურის კვალდაკვალ მცხეთის ჯვრისათვის სახასიათო ნიშნებსაც შეიცავს. სახასიათოა განთიადის ბაზილიკა, რომლის მშენებლობაც ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს სახელს უკავშირდება.

აფხაზეთის VIII-X სს არქიტექტურა ე.წ.‘‘ჩაწერილი ჯვრის‘‘ ტიპისაა და ერთი სტილისტური მიმართულების სხვადასხვა ფაზას წარმოადგენს: ბზიფის (IX ს), ანაკოფიის წმ.სიმონ კანანელის ეკლესია (X ს), ლიხნის ტაძარი (IX-X სს), მოქვისა (X ს) და ბედიის (X ს) ეკლესიები. ამ ტაძრების განხილვისას თვალნათელია ძლიერი ბიზანტიური გავლენა; სავარაუდოა, რომ აქ ბიზანტიაში განსწავლული მშენებლები ან მშენებლობაში ბერძენი ოსტატები მონაწილეობდნენ. ასევე შეინიშნება კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებთან.

შუა საუკუნეების აფხაზეთის მოზაიკური და მონუმენტური მხატვრობისათვის თვალის გადევნება გვიჩვენებს, რომ ის მისდევს ქართული კედლის მხატვრობის განვითარების ზოგად მიმართულებას.

გამორჩეული მოხატულობები გვხვდება ბედიის ტაძარში (XIIIს-ის ბოლო -XIV დასაწყისი), ლიხნეში (XIVს), ბიჭვინთის გუმბათოვან ეკლესიაში (XVI ს), ცხელკარში (XVI-XVII სს) და სხვ.

ლიხნეს მოხატულობის განხილვისას თვალშისაცემია ბიზანტიური გავლენა, თუმცა ზოგიერთ იკონოგრაფიულ დეტალს ანალოგი არ ეძებნება (მაგ. აბრაამის მსვლელობის კომპოზიციას).

სავარაუდოდ, ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებთანაა დაკავშირებული მაშაპ-ოხუამეს მხატვრობა (XVს).

ამდენად, მოზაიკურ და კედლის მხატვრობაში მეტ-ნაკლებად ჩანს გავლენები: ერთ შემთხვევაში (ბიჭვინთის მოზაიკებში) ელინისტური და ადრექრისტიანული, მეორე შემთხვევაში (ლიხნე) -პალეოლოგოსური, ბიზანტიის დედაქალაქური სკოლის გავლენა და მესამე შემთხვევაში კი თვალნათელია ათონის მთის მხატვრულ ტრადიციებთან სიახლოვე (ბიჭვინთის გუმბათიანი ტაძრის საძვალე).

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა არამხოლოდ არქიტექტურული ძეგლებითა და კედლის მხატვრობის ნიმუშებითაა გამორჩეული, არამედ იქვე გადაწერილი და შექმნილი ხელნაწერი მემკვიდრეობითაც. როგორც ცნობილია, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა ქართული კულტურის

უმნიშვნელოვანესი კერები: მოქვი, ბედია, ილორი, ლიხნი, წებელდა, წარჩე და სხვა.

ხელნაწერი წიგნები აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებიდან არ არის მრავალრიცხოვანი, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, თუმცა მათი მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება, მათი ადგილი  ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში განუსაზღვრელია.

ბიჭვინთის ოთხთავი (H-2120) მისი ბოლოდროინდელი დაცულობის ადგილის მიხედვითაა სახელდებული. ხელნაწერი XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ეკლესიის საკუთრება იყო, საიდანაც იგი სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიტანეს. ერთადერთი წარწერა, რომელიც ხელნაწერს ახლავს ვერცხლით მოჭედილი ყდის ზედა არეზე, ჯვარცმის სცენის თავზე იკითხება. წარწერის თანახმად, ხელნაწერის ყდა სოლომონ შერვაშიძეს და მის ვაჟს, აზრაყანს გურიელსა და ლიპარ დადიანზე გამარჯვების ნიშნად მოუჭედავთ და ბიჭვინთის ღვმთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავთ. ბიჭვინთის ოთხთავის ძუნწად შემორჩენილი მოხატულობა ადგილობრივ ტრადიციებს აგრძელებს და გარკვეულწილად აჩენს ქართული მინიატურული მხატვრობის თვითმყოფად ხასიათს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მოქვის სახარება (Q-902), XIII-XIV საუკუნეების მიჯნის ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა და მინიატურული მხატვრობის გამორჩეული ნიმუშია. ხელნაწერი 1300 წელს, სავარაუდოდ, მოქვის მონასტრის სკრიპტორიუმში, მოქველი მთავარეპისკოპოსის, დანიელის, დაკვეთით ბერ ეფრემს გადაუნუსხავს. ხელნაწერი XIII-XIV საუკუნეებისათვის უჩვეულო მინიატურების სიუხვითაც გამოირჩევა; მის განსაკუთრებულ მხატვრულ თავისებურებას კი ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატურები წარმოადგენს; ხელნაწერის მხატვრული სახე ტექსტში ჩართული მინიატიურებითა და  გაფორმების სახასიათო დეტალებით განისაზღვრება; ხელნაწერის მხატვრული ანსამბლი ადრეპალეოლოგოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია ქართულ და ზოგადად, ქრისტიანულ კულტურულ ტრადიციაში მათში გამჟღავნებული სიახლეებისაკენ სწრაფვა და ეპოქის მოწინავე მხატვრული ტენდენციების ასახვა მოქვის სახარების საეტაპო მნიშვნელობას განაპირობებს, ხოლო მინიატურათა შესრულების უნიკალური ტექნიკა (ფურცლოვან ოქროზე დადებული ფერადოვანი ლაქები) კი მას მსოფლიო კულტურის უბრწყინვალეს ძეგლთა ნუსხაში  აქცევს.

XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერია  ბედიის გულანი, რომელშიც თავმოყრილია შემდეგი წიგნები: სახარება, სამოციქულო, ფსალმუნი, 12-ვე თვის საგალობლები, მარხვანი, ზატიკი,  სვინაქსარი და სხვ. ბედიელ გერმანეს გულანის გადასაწერად შავშეთიდან მოუწვევია კალიგრაფი გაბრიელ ლომ-

სანიძე, გადაწერაში მონაწილეობდნენ სხვა კალიგრაფებიც: ამბროსე კარგარეთელი და სვიმეონ ევფრატელი, იგივე სვიმეონ გიორგის ძე. ეს სამივე ხელნაწერი დღესდღეობით ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლითონმქანდაკებლობის ნიმუშებიდან ყურადღება გამახვილდება ბედიის ბარძიმსა და ბიჭვინთის ჭედურ ხატზე.

ბედიის ბარძიმზე ნათლად ჩანს X-XI საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები — პლასტიკური სკულპტურული გამოსახულების ძიება. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა:  აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე ახლად აშენებულ ბედიის ეკლესიას.


*Nino Kavtaria*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*


## ART IN MEDIEVAL ABKHAZIA
## (The art history perspective on the analysis of the artifacts found in the Abkhazian region)

One of the oldest regions of Georgia – Abkhazia – stands out for its active cultural life since the Bronze Age. Ancient tombs, old towns, castles, bridges, churches and monasteries are clear proofs of this. Along with the ancient megalithic buildings, dolmens, one also finds ancient Christian temples here.

The cultural heritage of medieval Abkhazia, the survived architectural monuments, reliefs, metal works, mural paintings and lavishly illustrated manuscripts also reflect the features of theso-called “Black Sea” artistic stream. In the beginning it was Greek, then Hellenistic-Roman, and finally Byzantine cultural influence, and the fusion of these traditions with local artistic culture.

Early Christian churches on the territory of Georgia have been discovered in the settlement of Bichvinta (Greek: Πιτυοῦς, Πιτυοῦντος, Πιτιόντι) and dates back to the 4$^{th}$ century. It also should be noted that Bishop Stratophilus from Bichvint participated in the Council of Nicaea of 325.The existence of two ancient, three-nave basilicas is also confirmed in Bichvinta. Of particular note are mosaic paintings found in one of the basilicas, with Christian symbols. When we talk about Bichvinta mosaics, we should not miss the fragments of two secular mosaicpanels found here: with Triton (3rd century) and elephants (5$^{th}$-6$^{th}$ centuries). These examples of mosaic painting

reflect the artistic traditions of the Late Antique and Early Christian art and clearly indicate on the influence of the artistic traditions of the neighboring Christian East countries.

Two slabs of Tsebelda iconostasis with spot scenes from Gospel story belong to this early period,dating back to the 7thcentury. The old Gagra church (6thc.), which was almost preserved in its original form, is characterized by distinctive artistic features. G. Chubinashvili called it – the "three-churched basilica". Also, the church of Dranda (8thc.) contains characteristic signs of the Mtskheta Holly Cross church, as well as features of early Byzantine architecture. Basilica of Gantiadi, construction of which is associated with the name of the Byzantine Emperor Justinian, is also characteristic.

The architecture of Abkhazia of 8th-10thcc is of so-called the "written cross" type and represents different phases of one stylistic direction: Bzipi (8th c.), St. Simon the Canaanite Church of Anakophia (10th c.) Likhne (9th-10th c.), Mokvi 10th c.) Bedia (10thc.) churches.Immense Byzantine influence on these temples is obvious; presumablythe local builders trained in Byzantium or Greek masters were involved in the construction process. One canalso observe a connection with the monuments of Eastern Georgia.

A look at the mosaic and monumental paintings of medieval Abkhazia shows that it follows the general direction of the development of Georgian mural painting.

Distinctive paintings can be found in Bedia church (late 13th – I half of 14th cc.), Likhne (14th c.), Bichvinta domed church (16th c.), Tskhelkari (16th-17th c.) and others.

Discussing Likhne murals, byzantine influencies evident, rare iconographic details did not find its analogies (e.g., the composition of Abraham's procession).

Presumably, Mashap-Okhuame's painting (15thcentury) is connected with local artistic traditions. Thus, the different influences of mosaic and wall painting in Medieval Abkhazia are more or less visible: in one case (in Bichvinta mosaics) Hellenistic and early-Christian, in the second case (Likhne) – the influence of the Palaeological, metropolian artistic school, and in the third case the proximity to the artistic traditions of the Mount Athos.

The cultural heritage of Abkhazia is not only distinguished by its architectural monuments and wall paintings, but also by the manuscripts copied and created there. As it is known, the most important centers of Georgian culture operated on the territory of Abkhazia were: Mokvi, Bedia, Ilori, Likhni, Tsebelda, Tsarche and others.

There are not many manuscript books from churches and monasteries of Abkhazia preserved until now, but their significance and artistic value, their place in the study of Georgian manuscript heritage are indefinite.

The Bichvinta Gospels (H-2120), named after its recent place of protection, was owned by the Bichvinta Church of the Virgin before the 1870s, from where it was

transferred to the St. Petersburg Public Library. On the upper part of the silver-clad book-cover, the single inscription preserved. According to the inscription, the cover of the manuscript was created to celebrate the victory of Solomon Shervashidze and his son, Azraqan Gurieli on Lipar Dadiani, and manuscript was donated to the Bichvinta Church of the Mother of God. Bichvinta Gospel miniatures continue the local traditions and to some extent show the original character of Georgian miniature painting.

The Mokvi Gospels (Q-902), preserved at the National Center of Manuscripts, is an outstanding specimen of Georgian calligraphic art and miniature painting of the turn of the 13th-$14^{th}$ centuries. The Manuscript was copied – conjecturally in the Mokvi monastery scriptorium – in 1300 by the monk Eprem on the order of Daniel, the Archbishop of Mokvi.

The artistic image of the Manuscript is determined by the miniatures inserted in the text and characteristic details of the decoration. The manuscript stands out with abundance of miniatures – unusual for the $13^{th}$-14th centuries: its especial artistic peculiarity lies in the miniatures done on sheet gold.The art ensemble of the manuscript is the best specimen of Early Palaeologian art in Georgian and generally, Christian cultural tradition.The striving towards novelties, manifested in them, and the reflection of the advanced artistic trends of the period impart landmark significance to the Mokvi Gospel, while the unique technique of execution of the miniatures (color stains laid on leaf gold) places it along with the most brilliant monuments of the world culture.

The Bedia Gulani is the manuscript of the $17^{th}$-$18^{th}$ centuries, which contains the following books: the Gospels, the Apostles, the Psalms, the hymns of the 12 months, synaxarion, etc. Calligrapher Gabriel Lomsanidze was invited from Shavsheti to transcribe Gulani by Germane from Bedia. Other calligraphers also took part in the coping: Ambrose Kargareteli and Svimeon of Euphrates, also known as Svimeon, the son of Giorgi. All three of these manuscripts are currently kept at the KorneliKekelidze Georgian National Center for Manuscripts.

From the metal work samples, the chalice of Bedia and Holy Virgin's silver icon from Bichvinta will be focused on.

The chalice of Bediaclearly shows the signs characteristic for Georgian goldsmithing of the $10^{th}$-$11^{th}$centuries – the search for a plastic sculptural appearanceof the image. A liturgical vessel is made of ducat gold and richly decorated. Dated back to c. 999, the chalice was commissioned by King Bagrat III for the Bedia Monastery in Abkhazia.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, $I_{2,}$ თბილისი, 1962;

დიდი პიტიუნტი, ტ.1-2-3, თბ., 1975-77-78.

ი. ჭიჭინაძე, მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები, თბილისი, 2004;

დ. თუმანიშვილი, ქრისტიანული ხელოვნება აფხაზეთში, კრებულში „გზა-ვარედინზე,“ თბ., 2008;

ნ. ქავთარია, მოქვის ოთხთავი, თბილისი, 2012;

კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში, თბ., 2015.

R. Mepisashvili, W.Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977;

A. Alpago-Novello, V.Beridze, J. Lafontaine – Dosogne, E. Hybsch, G. Ieni G, N. Kauchtschishvili N, Art and Architecture in Medieval Georgia, Louvaine-la-Neuve, 1980;

W. Beridze, E. Neubauer, Die Baukunst des Mittelalters in Georgien, Berlin, 1980;

M. Didiebulidze, Cultural Heritage of Abkhazia (Apkhazeti), 2009, https://www.gac-cgeorgia.org/Symposium/NY2009/Papers/Didebulidze.pdf

Л. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980;

Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988;

**სალომე ოქრუაშვილი-ბახია**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# კულტურა აფხაზეთში (ეთნოლოგიური მასალის მიხედვით)

აფხაზთა ეთნიკური კულტურის კვლევა აფხაზების ისტორიის საკითხებთან არის დაკავშირებული. ხალხს, რომლებსაც ქართველებმა აფხაზები უწოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან, ახ.წ. II-V საუკუნეებში და შემდეგ XV საუკუნის 70-იანი წლებიდან თარეშით განაგრძობდნენ XV- XVIII საუკუნეებში შემოსვლას. ადრეულ ტალღასა და გვიან შემოსახლებულს შორის საკმაოდ დიდი განსხვავება იყო. ადრეული ჯგუფები დისკრეტული ტალღა იყო ე.ი. ეთნოგრაფიულ ჯგუფებად ჩამოუყალიბებელი. გვიანი ტალღა კი პირიქით, უკვე ეთნიკური სახელითა და ენითაც გამოირჩეოდნენ. მეორე გვიან ტალღაში აბაზები, ჯიქები, ყაბარდოელები გამოირჩეოდნენ.ადრეული ტალღა, თავისთავად, გვიან ჩამოსახლებულის წინაპრად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მათ შორის საკმაოდ დიდი დაშორება იყო, როგორც დროის თვალსაზრისით, ისე განვითარების თვალსაზრისითაც. მეორე ტალღის მიერ ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ თანამედროვე აფხაზები ჩამოაყალიბა. რაც შეეხება ადრეულ ტალღას, იგი როგორც ჩანს, ქართველებში უნდა გათქვეფილიყო და ასიმილირება განეცადა.

ბერძნული წყაროების მიხედვით, II საუკუნეში ჩამოსახლებული მოსახლეობა V საუკუნიდან ჩამოსახლებულისგანაც კი ცალკე სახლდება დაბლობში. პროკოფი კესარიელის ცნობით, მათ დასახლების მომთაბარული ფორმა ჰქონიათ და გვაროვნულ ჯგუფებად იყოფოდნენ. ისინი თაყვანს სცემდნენ: მთებს, მდინარეებს, ტყეებსა და ხეებს.

VIII-XV საუკუნეებში ქართულ და უცხოურ წყაროებში არ ფიქსირდება ცნობა II-V საუკუნეებში ჩამოსახლებული მოსახლეობის გამორჩეულობის შესახებ.

XV საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ახალი ტალღა ჩამოწვა და ქართველებმა მათაც აფხაზები უწოდეს. მათ თავისებური დასახლების ფორმა – წოწოლა ფაცხები ჩამოიტანეს. სხვა მატერიალური ნაგებობები (საცხოვრებელი და სამეურნეოც) მთლიანად მეგრელებისგან ჰქონდათ გათავისუბელი. უცხოელი ავტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აფხაზების

და ჩერქეზების ცხოვრების წესი ერთნაირია. ეს ავტორები მათ „აბაზებს" უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტალღა ქართველების გავლენას განიცდიდა, რადგან დამხვდური საზოგადოება კულტურულად, სოციალურ-ეკონომიკურად უფრო და პოლიტიკურადაც უფრო მაღალ დონეზე იდგა, მათი გათქვეფა უკვე აღარ მოხდებოდა ქართველ ხალხში, რადგან მათ გამოკვეთილი ეთნიკური ჯგუფი, საკუთარი წეს-ჩვეულებები, რელიგია და ენაც მოჰყვებოდა.

თანამედროვე აფხაზებმა ჩრდილო კავკასიიდან კულტურის ისეთი ელემენტი ჩამოიტანეს, რომელიც მანამდე საქართველოში ქრისტიანული რელიგიისთვის მიუღებელი იყო — „ჰაერზე დაკრძალვის წესი". მათ წარმართული რელიგიის აღორძინება მოახერხეს. თანამედროვე აფხაზების რწმენა-წარმოდგენებით ბუნების მოვლენებს, სამეურნეო საქმიანობას, მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, მონადირეობას, მეფუტკრეობას, სამჭედლო სალოცავს, ყველა წმინდა ჭალას თუ ხეს საკუთარი ღვთაება უდგას სათავეში. საკულტო ცენტრად მათ არასოდეს ჰქონიათ რაიმე მატერიალური ნაგებობა, მათი წმინდა ადგილები არის მთა, ტყის პირები, ცალკეული ჭალები და რჩეული ხეები.

აფხაზთა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში ყველაზე მყარი საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოჩნდა. თავდაპირველად, მათ ურვადის ე.ი. ქალის მსყიდველობითი ფორმა ჩამოიტანეს. აფხაზები ეგზოგამიას ქორწინების დროს მკაცრად იცავდნენ, მაგრამ ჩამოსახლების დროისათვის მათ დიდ ოჯახში ლევირატული ფორმა იყო გავრცელებული ე.ი. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში დაქვრივებული ქალის უცოლო მაზლთან ქორწინება იყო გათვალისწინებული. ეს სწორედ ურვადთან და ეკონომიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული. ჩამოსახლების დროისათვის აფხაზური ოჯახი პოლიგამიური იყო ე.ი. მამაკაცს შეეძლო 2-3 ცოლი ჰყოლოდა. ეს იყო მუსლიმური გავლენა, რომელიც გამოიწვია XVII ს.-ში თურქების შეჭრამ ჩრდილო კავკასიაში. XIX ს-ში, თითქმის მთლიანად შეიცვალა ქორწინების წესები. ურვადი მზითვის ინსტიტუტმა ჩაანაცვლა, როგორც ქართველებში და მრავალცოლიანობაც გაუქმდა. ასევე გაუქმდა ლევირატული ქორწინების ფორმა.

აფხაზთა ზეპირი თქმულებები მათი ისტორიის პირველწყაროს წარმოადგენენ, რადგან 1954 წ.-მდე დამწერლობა არ ჰქონიათ და შესაბამისად წერილობითი წყაროები ვერ ექნებოდათ, „ნართული ეპოსი" ეთნოგენეტიკური და გენეალოგიური თქმულებების კრებულია, რომელშიც მათ კულტურის, ვინაობის, წარმოშობის და მიგრაციული პროცესების ამსახველი გადმოცემებია ასახული. „ნართული ეპოსი" ინტერნაციონალური წარმოშობისაა. იგი ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოიშვა და მის შექმნაში სხვადასხვა ტომებმა

მიიღეს მონაწილეობა. აფხაზური „ნართული ეპოსი“ ვერ გახდებოდა სხვა კავკასიელი ტომების ეპიკური ციკლისათვის ამოსავალი, რადგან იგი ადიღეური ეპოსის არქაული თქმულებების ნაწილობრივ კი ოსური თქმულებების გავლენით ყალიბდებოდა. „აფხაზი“ ნართები ერთი დედის, ერთი ოჯახის, ერთი გვარის შვილები არიან. მათი დედა „სათანეი გვაშა“ თავის ნართ შვილებთან და ახლობლებთან ერთად მდ. ყუბანის ხეობაში ცხოვრობენ. მათ ჰყავთ მეზობელი გოლიათები (ხალხი), რომელთა ქვეყანაშიც სითბოა, ხარობს ვაზი და მწვანე ბალახია. ისინი მშვიდობიან გოლიათებს ტერიტორიის ნაწილს ათმობინებენ. ნართებს, გოლიათების ქვეყანასა და მდ. ყუბანის ველს შორის მოძრაობის წესი უყალიბდებათ. „ნართული ეპოსის“ გარდა სხვა თქმულებეშიც არის ასახული ეთნოგენეტიკური პროცესები, სადაც ხშირად არის ნახსენები უღელტეხილები – მარუხი, სანჩარი, ხიმსა, ძინა, მდ. ბზიფსა და მდ. ზელენჩუკის სათავეები. მთებსა და გადასასვლელების სულს მოსახლეობა რაიმე ნივთს სწირავდა. ასეთი ღვთაებები აფხაზთათვის საკრალურ მნიშვნელობას იძენდა. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე მნიშნელოვანი სალოცავი და ღვთაება არის მთა ფსჰუზე დაფუძნებული. ამ მთის გადმოლახვის შემდეგ მათ პირველი სოფელი სწორედ ამ მთის ველზე, ქვაბულში „ფსჰუ“ დააფუძნეს, ეს ტერიტორია სამოსახლოდ ვარგისია, მიგრირებული მოსახლეობა აქ სამ სოფელში სახლობდა და თანდათანობით მთიდან, გამრავლების შემდეგ აფხაზეთში ჩადიოდა დასასახლებლად, თუმცა ჩასახლებამდე ისინი საკმაოდ დიდხანს თარეშობდნენ. ფსჰუში დასახლებული მომთაბარული მოსახლეობა ჯერ ნახევრად ბინადარ და შემდეგ ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ.

***Salome Okruashvili-Bakhia***

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## CULTURE IN ABKHAZETI (ACCORDING TO ETHNOLOGICAL MATERIAL)

The study of Abkhazian ethnic culture is related to issues of Abkhazian history. The people, whom the Georgians called Abkhazians, came from the north-western Caucasus, raiding the country first in the $1^{st}$-$2^{nd}$ A.D. centuries and then from the 70s of the $15^{th}$ century to the $18^{th}$ century. There was quite a big difference between the early wave and the late settler. The early groups were a discrete wave, in other words they were not formed into ethnographic groups. The late wave, on the contrary,

was already distinguished by its ethnic name and language. In the second late wave Abazes, Jiks, Kabardians were distinguished. The tribes of the early wave should be considered the ancestor of the late settlers, but there was a considerable distance between them, both in terms of time and the level of development. The population settled by the second wave formed modern Abkhazians. As for the tribes of the early wave, it seems that they had been mixed and into the Georgians.

According to Greek sources, in the lowlands the population which came in the 2nd century, settled apart from those who came in the 5th century. According to Procopius of Caesarea, they had a nomadic form of settlement and were divided into tribal groups. They worshiped mountains, rivers, forests and trees.

In the 8th – 15th cc Georgian and foreign sources there is no information preserved on the distinction of the population settled in the II-V centuries.

In the 15th century when a new wave of tribes came down from the North-West Caucasus, Georgians called them Abkhazians. They brought a peculiar settlement form – torn roof hut. Other buildings (both residential and agricultural) they completely adopted from the Megrels. Foreign authors unanimously point out that the way of life of Abkhazians and Circassians is the same. These authors call them “Abazes”.

Although the new wave was influenced by Georgians, as the level of the cultural, socio-economical and even political development of the host society was higher, they were no longer assimilated into the Georgian people, as the settlers of the new wave were formed into a distinct ethnic group, with their own customs, religion and language.

Contemporary Abkhazians have brought an element of culture from the North Caucasus that was previously unacceptable to the Christian religion in Georgia – the “sky burial”. They managed to revive a pagan religion. According to the beliefs of the contemporary Abkhazians, natural events, agricultural activities, cattle breeding, farming, hunting, beekeeping, blacksmithing, every sacred swamp or tree is headed by its own deity. They have never had any building as a place of worship, their sacred places were mountains, forest edges, separate groves and selected trees.

The wedding customs appeared to be the most solid in the traditional customs of the Abkhazians. Initially they brought down so-called “Urvad”, the bride-buying custom. Abkhazians strictly observed exogamy at the time of marriage, but at the time of settlement a levirate form of marriage was prevalent in their large family. In the event of the husband’s death, the unmarried brother of a deceased man was obliged to marry his brother’s widow. This was related to “Urvad” and the economic situation. At the time of settlement, the Abkhazian family was polygamous, a man could have 2-3 wives. It was the Muslim influence which was caused by the Turkish invasion of the North Caucasus in the 17th century. In the 19th century the rules of

marriage were almost completely changed. “Urvadi” was replaced by the institute of “dowry”, practiced by Georgians, and polygamy was abolished. The form of levirate marriage was also abolished.

The oral traditions of the Abkhazians are the first source of their history, as they had no alphabet until 1954 and therefore could not have written sources. “Nart Saga” is a collection of ethnogenetic and genealogical legends, which reflect their culture, identity, origin and migration processes. “Nart Saga” is of international origin. It originated in the North Caucasus and was created by various tribes. The Abkhazian “Nart Saga” could not be the starting point for the epic cycle of other Caucasian tribes, as it was formed partly under the influence of the archaic legends of the Adyghe and Ossetian legends. “Abkhazian nart legends” are the children of one mother, one family, one surname. Their mother “Satanei Gvasha” with her children and relatives live in the gorge of the river Kuban. They have neighboring Goliaths (people) whose country is warm, with vine yards and green grass. They forced peaceful Goliaths to cede part of their territory. Narts establish rules of movement between the country of the Goliaths and the Kuban Valley. In addition to the “Nart Epic”, other legends also reflect ethnogenetic processes, where passes are often mentioned – Marukhi, Sanchari, Khimsa, Dzina, the headwaters of the rivers Bzipa and Zelenchuk. The people sacrificed something to the souls of the mountains and passages. Such deities acquired sacral significance for Abkhazians. One of the most important such shrines and deities is based on Mount Pshu. After crossing this mountain, they established their first village on this mountain plain, in the cave “Fshu”, this area was suitable for settlement, the migrant population lived here in three villages and gradually came to Abkhazia from the mountain, after multiplying, but before settlement they raided for a long time. The nomadic population in Pshu was first semi-flat and then moved to residential life.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


გეორგიკა, I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.

გეორგიკა, II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.

ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, I, თბ., 1971.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, კრ. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ანჩაბაძე ზ. ბოცვაძე თ. თოგოშვილი გ. ცინცაძე მ. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკ. I, თბ., 1954.

აფხაზავა ნ. ადრეული ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია, თბ., 2010.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2020.

ზუხბა ს. აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.

ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.

ინაძე მ. ძველი კოლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009.

Georgika, I, Translated to Georgian and commentaries attached by S. Kaukhchishvili, Tbilisi, 1961.

Georgika, II, Translated to Georgian and commentaries attached by S. Kaukhchishvili, Tbilisi, 1965.

Evlia Chelebi's Travel Book, I, Tbilisi, 1971.

Vakhushti Batonishvili, Description of the Kingdom of Georgia, Collection "The Chronicle of Kartli", IV, The edited by S. Kaukhchishvili, Tbilisi, 1973.

Anchabadze Z., Botsvadze T., Togoshvili G. Tsintsadze M.. Essays on the History of the Peoples of the North Caucasus, vol. I, Tbilisi, 1954.

Abkhazava N., Ethnic Situation of Abkhazia of Early Period, Tbilisi, 2010.

Berdzenishvili N., Issues of Georgian History, Tbilisi, 1990.

Bakhia-Okruashvili S., Problems of Ethnic History of Abkhazians, Tbilisi, 2010.

Bakhia-Okruashvili S., Ethnology of Abkhazians, Tbilisi, 2011.

Bakhia-Okruashvili S., Explanatory Dictionary of Aphasian-Georgian Ethnographic Terms, Tbilisi, 2020.

Zukhba S. Abkhazian Oral Traditions, Tbilisi, 1988.

Inadze M. Old Kolkheti Society, Tbilisi, 1994.

Inadze M. Issues of the History of Old Koleti, Tbilisi, 2009.

# V მოდული: აფხაზეთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში

**თამარ აბულაძე**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

## კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციები

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოადგენს საქართველოს უმდიდრეს სიძველეთსაცავს, რომლის კოლექციებში თავმოყრილია 10000-მდე ქრთული და 5000-მდე უცხოენოვანი ხელნაწერი (V-XIX ს.), 40000 ქართული და უცხოენოვანი ისტორიული საბუთი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა 188 არქივი.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდგომში, ცენტრი) შეიქმნა 1958 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე. ცენტრში გაერთიანდა ის კოლექიები, რომლებსაც თავი მოუყარეს საეკლესიო მუზეუმის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მესვეურებმა მე-19 – მე-20 სუკუნეებში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველი საზოგადო მოღვაწეების, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა ინიციატივით დაარსდა 1879 წელს, თბილისში. დღეს ეს კოლექცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, S ფონდშია გაერთიანებული.

A ფონდი შეიცავს იმ ხელნაწერებს, რომლებიც გაუქმებამდე თბილისის საეკლესიო მუზეუმის კოლექციას შეადგენდა. საეკლესიო მუზეუმი დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით 1889 წელს დაარსდა თბილისში. 1921 წელს საეკლესიო მუზეუმი გაუქმდა და მისი ხელნაწერთა კოლექცია გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 1930 წელს — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, მოგვიანებით კი, ხელნაწერთა ეროვნული

ცენტრის დაარსების შემდეგ, ეს ხელნაწერები A ფონდის შემადგენლობაში ცენტრის კოლექციაში გაერთიანდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 1907 წელს, თბილისში ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით დაარსდა. 1922 წ. საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილი. საზოგადოების კუთვნილი ხელნაწერები ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში.

Q ფონდი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალი და დღემდე მზარდი ერთადერთი ფონდია. ფონდი 1919 წელს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფარგლებში შეიქმნა.

ცენტრის ფონდებში დაცულია უცხოენოვან ხელნაწერთა მდიდარი კოლექციები: ბერძნული, ებრაული, სირიული, სომხური, ლათინური, ეთიოპური და სხვ.

არაბული, სპარსული და თურქულენოვანი ხელნაწერები თავმოყრილია ცენტრის ყაჯართა, შუააზიურ და ადგილობრივ კოლექციებში; ქვეკოლექციადაა გამოყოფილი დაღესტნური წარმოშობის ხელნაწერები და ფრაგმენტები.

ისტორიული დოკუმენტები: ქართული დოკუმენტების ფონდში თავმოყრილია 30 000-ზე მეტი საბუთი. დოკუმენტები თარიღდება IX-XIX საუკუნეებით. ფონდში წარმოდგენილია როგორც საერო, ისე საეკლესიო ხასიათის დოკუმენტები, ასევე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები; მათგან, დედნების სახით მოღწეული XI-XIII საუკუნის საბუთები. ქართული დოკუმენტების ფონდი დაყოფილია ოთხ Ad, Sd, Hd და Qd ფონდად.

კოლექციაში თავმოყრილია 500-მდე სპარსული დოკუმენტი (XVI-XIX):: ფირმანები, ჰოქმები, ნასყიდობის საბუთები, არზები ირანის შაჰების, ქართველი მეფეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების რეზოლუციებით. ასევე, სხვადასხვა ფორმულარის 300-მდე ოსმალური დოკუმენტი (ძირითადად, დედნები).

ცენტრის საარქივო ფონდი აერთიანებს ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების, მხატვრების, პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების, ემიგრაციის მოღვაწეების, სასულიერო პირების, აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და სინოდის კანცელარიის არქივებს. არქივში დაცული მასალიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი პაპიროლოგის გრიგოლ წერეთლის კუთვნილი კოლექცია, რომელშიც წარმოდგენილია ძვ.წ. II – XV საუკუნეებით დათარიღებული 170-მდე პაპირუსი.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ქართული კულტურის ისტორიულ კერებში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, შე-

ქმნილი ხელნაწერები: მოქვის ოთხთავი (1300 წ..), ბიჭვინთის ოთხთავი (მე-12 ს.) ლარგვისის ზატიკი (მე-15 ს.) და სხვ.

ცენტრის მრავალფეროვანი კოლექციების გამორჩეული ხელნაწერების შესახებ ლექცია-გამოფენის ფარგლებში საუბარი იქნება შემდეგ ნუსხებზე:

ქართული – სასულიერო (ალავერდის ოთხთავი-A-484,1054 წ.; პალიმფსესტი H-999, მე-5-მე-6, მე-13-მე-14 სს.; იოანე სინელის "კლემაქსი" –H- 1669, მე-12-მე-13 სს. ფსალმუნი -H-1665, მე-17 ს.), საერო („ვეფხისტყაოსანი"-H-999, 1646 წ, ასტრონომიული ტრაქტატი – A-65. მე-12 ს., „ქიმია" – S-3721 , მე-18 ს.; ვახუშტის რუკა A-717,1752 წ.)

უცხოენოვანი – სპარსული („შაჰ-ნამე"-PL-620, 1590 წ., ), არაბული (ავიცენას ტრაქტატი – ArK-9, მე -14ს.), თურქული („გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი", TurL-1, 1595 წ.), ბერძნული (ბასილი დიდის თხზულებათა კრებული, Gr.-48, მე-11 ს.), სომხური (ბიბლიის ფრაგმენტები, Arm.-102, მე-9-მე-10 სს.), ებრაული თორა, სირიული (ავგაროზი, Syr -2), მანჯურიული, ლათინური ხელნაწერები, პაპირუსი.

ისტორიული დოკუმენტები – ქართული (სოლომონ მეორის სიგელი, Hd-1529, 1804 წ., მეფე ერეკლე მეორის მიერ გაცემული სიგელი, Hd-8607, 1774 წ.), სპარსული (შაჰ-სულთან ჰუსეინის ჰოქმი, Pd-47, 1708წ.), ოსმალური (სულთან მუსტაფა მესამის ბერათი, Turd-270, 1758 წ.).

საარქივო მასალა: ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის", ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის ამსახველი ერთეულები და დიდი ქართველო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკი.

***Tamar Abuladze***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

## COLLECTIONS OF MANUSCRIPTS OF THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts is the richest depository of Georgia. The collections of the Centre include up to 10,000 Georgian and 5,000 foreign language manuscripts (V-XIX centuries), 40,000 Georgian and foreign language historical documents, 188 archives of writers and public figures.

Korneli Kekelidze Institute of Manuscripts (hereinafter, the Centre) was established in 1958 on the basis of the Manuscripts Department of the Georgian State Museum. The center united the collections gathered by the leaders of the Ecclesiastical Museum, the Literacy Society and the Historical-Ethnographic Society in the 19th and 20th centuries.

The Society for the Promotion of Literacy among Georgians was founded in 1879 in Tbilisi on the initiative of Georgian public figures Ilia Chavchavadze, Dimitri Kipiani, Iakob Gogebashvili and others. Today this collection is united in the National Center for Manuscripts, the S Collection.

Fund A contains the manuscripts that were part of the collection of the Tbilisi Ecclesiastical Museum before its abolition; established in 1889 in Tbilisi on the initiative of Dimitri Bakradze. In 1921 the Ecclesiastical Museum was abolished and its collection of manuscripts was transferred to Tbilisi State University, in 1930 to the Manuscripts Department of the Georgian State Museum, and later, after the establishment of the National Center for Manuscripts, these manuscripts were merged into the Center's collection.

Georgian Historical and Ethnographic Society was founded in 1907 in Tbilisi on the initiative of Ekvtime Takaishvili. 1922 The society was headed by Iv. Javakhishvili. The manuscripts belonging to the community are currently preserved in the H Fund of the National Center for Manuscripts.

The Q Collection is the only new and growing foundation of the National Center for Manuscripts. The fund was established in 1919 in Tbilisi within the framework of the Georgian State Museum.

The center's funds contain a rich collection of foreign language manuscripts: Greek, Hebrew, Syriac, Armenian, Latin, Ethiopian, etc.

Arabic, Persian, and Turkish manuscripts are collected in the Kajarian (K), Central (PAC) and Local (L) collections of the Center; Manuscripts and fragments of Dagestani origin are separated as a sub-collection.

Historical documents: The Georgian Documents collection has about 40 000 documents. The documents date back to IX-XIX centuries. The fund presents both secular and ecclesiastical documents, as well as Georgian-Persian historical documents.

The collection contains about 500 Persian documents (XVI-XIX): firmans, hokms, purchase documents with resolutions of the Shahs of Iran, Georgian kings and other state officials. Also, up to 300 Ottoman documents (mostly originals).

The archive fund of the center unites the archives of Georgian and foreign scientists, writers, poets and public figures, artists, political, state and military figures, emigration figures, clergy, as well as the Georgian Historical and Ethnographic Society

and the Synod Chancellery. The collection belonging to the Georgian papyrologist Grigol Tsereteli.

The following written monumnts should be especially noted – Georgian, foreign language manuscripts, historical documents, archival material, which are distinguished by their antiquity, artistic value, completeness and reflect the tradition of manuscript creation, historical contacts, the place of Georgian manuscript heritage in the cultural area of the Middle East:

Georgin manuscripts: Alaverdi Four Gospels (A-484, 1054), Gelati Four Gospels (Q-908, 12th c.), palimpsest (H-999, 5th-6th cc.13th-14th cc.), Psalms (A-38, 10th -11th cc.), Astronomical treatise (A-65, 12th c.), Shota Rustaveli, "The Man in the Panther's Skin" (H-599, 1646), Vakhtang VI, "Book of Chemistry" (S-3721, 1740) etc.

The foreign language manuscripts: Arabian – Ibn–Sina, "Kanun", Persian – Nizami Ganjevi, "Khamse", Hebrew – Lailashi Bible, Syriac – Amulet, Manjurian – Life of the Buddhist Monk; Georgian, Persian, Georgian-Persian, Ottoman historical documents (16th-18th cc.).

Archive materials – folios from archive collection of the great Georgian scientist Ivane Javakhishvili, fragments of the poems of the Georgian classic poet Vaja-Pshavela, papyrus from the collection of Grigol Tsereteli (3rd c.BC).

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A, H, S, Q კოლექციები), 23 ტომი, 1946-1977

https://manuscript.ge/manuscript/

ქართული ხელნაწერი წიგნი V-XIX სს. შეადგინეს: მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, თამარ აბულაძემ; ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით; (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, 2012; განმეორებითი გამოცემა – თბილისი, 2018; http://geomanuscript.ge/

ქართული ხელნაწერი, on-line ენციკლოპედია, http://ka.georgica.ac.ge/

მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან; ავტორები: დარეჯან კლდიაშვილი, ცისანა აბულაძე, თამარ აბულაძე, ირინა კოშორიძე, ზაზა სხირტლაძე, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით; თბილისი, 2011; http://illuminateddocument.ge/

ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში , ავტორები: †ლამარა ქაჯაია, ხათუნა გაფრინდაშვილი, ციცინო გულედანი, ნათია

მიროტაძე, დალი ჩიტუნაშვილი, ირმა ხოსიტაშვილი; რედაქტორები: ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი, ISBN: 978-9941-9515-9-6 , თბილისი, 2017

ხელნაწერი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერია, I, ავტორები: მზია სურგულაძე, ელენე მაჭავარიანი, მაია კარანაძე, თამარ დვალიშვილი; ზაზა აბაშიძის რედაქციით, თბილისი, 2017

არაბულ, სპარსულ და თურქულ ხელნაწერთა კატალოგი, K კოლექცია, შემდგენლები: რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი, ც.აბულაძე, თბილისი, 1969

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, AC კოლექცია, შემდგენელი მ. მამაცაშვილი, თბილისი, 1977

სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, შემდგენლები: სეიფულა მოდებბერი, მაია მამაცაშვილი, 3 ტომი, თეირანი, 2005 – 2008, (სპარსულ ენაზე)

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის/ეროვნული ცენტრის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L. AC კოლექციები), 3 ტომი, ქართულ და რუსულ ენებზე, შემდგენლები: რ. გვარამია, ნ. ყანჩაველი, ლ. მამულია, ლ. სამყურაშვილი, თბილისი, 1978-2002 წწ.

ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში, ელექტრონული წიგნი, ავტორები: ირაკლი სიმონია, თამარ აბულაძე, ლიანა სამყურაშვილი, ნესტან ჩხიკვაძე, ციცინო სიმონია, ქეთევან პატარიძე, გიორგი მელაძე; ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 1915

ვებ-გვერდი: http://astronomicalmanuscripts.ge/

ანდრეა შმიდტი, სირიულ ხელნაწერთა მიმოხილვა, მრავალთავი, 25, თბილისი, 2017, გვ. 211-227

ძველი ქართული სამწიგნობრო კერები: ორენოვანი მონაცემთა ბაზა და ელექტრონული რუკა.

შემდგენლები: სალომე ბუჩუკური, რუსუდან გოგინაშვილი, ნინო კობაური, თამაზ კოჭლამაზიშვილი, ეკატერინე ჟვანია; რედაქტორი: თამაზ კოჭლამაზაშვილი; ISBN: 978-9941-9637-0-4,თბილისი, 2019

http://scriptoriums.manuscript.ge/

არქივების ელექტრონული აღწერილობები, http://archive.manuscript.ge/

Description of Georgian Manuscripts (A, H, S, Q collections), 23 volumes; Tbilisi, 1946-1977; https://manuscript.ge/manuscript/ (in Georgian)

Georgian Manuscript Book, 5th-19th centuries, prepared by Maia Karanadze, Lela Shatirishvili, Nestan Chkhikvadze, with participation of Tamar Abuladze; editor Nestan Chkhikvadze, Tbilisi, 2018, second edition (in Georgian and English); http://geomanuscript.ge/

Georgian Manuscript, on-line Encyclopedia, http://ka.georgica.ac.ge/

Illuminated Historical Documents in the Depositories of Georgia, prepared by Darejan Kldiashvili, Tamar Abuladze, Tsisana Abuladze, Irina Koshoridze, Zaza Skhirtladze;

edited by Darejan Kldiashvili, Tbilisi, 2011; (in Georgian, introduction in English), http://illuminateddocument.ge/

Georgian Palimpsests in the National Center of Manuscripts; authors: Lamara Kajaia, Khatuna Gaprindashvili, Cicino Guledani, Natia Mirotadze, Dali Chitunashvili, Irma xositashvili; edited by Zaza Aleksidze and Dali chtunashvili, Tbilisi, 2017 (in Georgian and English)

Mnuscript, A series of popular science books, I. Authors: Mzia Surguladze, Elene Machavariani, Maia Karanadze, Tamar Dvalishvili, edited by Zaal Abashidze, Tbilisi, 2017(in Georgian)

Catalog of Arabic, Persian and Turkish manuscripts of the Korneli Kekelidze Institute of Manuscripts, K collection; compiled by R. Gvaramia, M. Mamatsashvili, Ts. Abuladze, Tbilisi, 1969

**ესმა მანია**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

**ირინა გოგონაია**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# აფხაზეთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდებში (ინტერაქტიული პროგრამა)

საარქივო მასალა, ერთი მხრივ, არტეფაქტის ღირებულების, ხოლო, მეორე მხრივ, რეტროსპექტიული კვლევითი საჭიროებისთვის სისტემატიზებულ გარკვეულ საბუთთა კრებული, შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ნაწილად: ოფიციალურ დოკუმენტაციად და პერსონიფიცირებულ სეგმენტად.

ოფიციალური დოკუმენტაცია – აქტები, ოქმები, ანგარიშები, საქმიანი მიმოწერა, როგორც ისტორიული წყარო, ობიექტური რეალობის მხოლოდ რეგლამენტირებულ ფორმატს ასახავს, რადგან ამ სახის საბუთები ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ქვეყანაში ექცევა სოციალური და პოლიტიკური დირექტივების თუ ბიუროკრატიული ეტიკეტის ჩარჩოებში. ასეთ ვითარებაში კიდევ უდრო საინტერესოა, რამდენად ადეკვატურია ამ სახის საარქივო ინფორმაციის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ხარისხი მრავალკულტურული საზოგადოებებით დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც ფასეულობრივი სისტემები ინტენსიურად განიცდის მარგინალიზაციას.

საარქივო მასალის პერსონიფიცირებულ სეგმენტს – მოგონებებს, დღიურებს, პირად მიმოწერას, ჩანაწერებს, როგორც სრულიად განსხვავებული ტიპის საისტორიო წყაროს, უნიკალური მახასიათებლები აქვს. ის ხშირ შემთხვევაში ავსებს და აზუსტებს, ზოგჯერ კი საკმაოდ ლეგიტიმური კითხვის ნიშნების ქვეშ აყენებს ოფიციალურად აღიარებულ ისტორიულ მონაცემებს.

საზოგადო მოღვაწეთა (გაბრიელ ქიქოძე, ამბროსი ხელაია, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, თედო სახოკია, იაკობ გოგებაშვილი...) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირად საარქივო ფონდებში დაცული აფხ-

აზეთის ისტორია პერსონიფიცირებულია. აქ ფაქტები, მოვლენები, პროცესები ე. წ. „ფსიქოლოგიური გახსნილობის“, ავტობიოგრაფიული პრიზმიდან განიხილება, რადგან საარქივო საბუთები ასახავს მოვლენების უშუალო მონაწილეების პირად შეხედულებებსა და განცდებს.

ჩვენი საკვლევი საარქივო მასალის თემატური კონფიგურაცია არცთუ მწირია, თუმცა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო სკოლის პროგრამის მოდულების თემატიკიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ ენობრივი, საგანმანათლებლო, სახელმძღვანელოების, სამონასტრო ინფრასტუქტურისა და მათ მომიჯნავე პრობლემატიკაზე.

ამ საარქივო დოკუმენტების საფუძველზე მომზადებულ ინტერაქტიულ პროგრამაში ყურადღებას ვამახვილებთ ამ დოკუმენტების, როგორც ისტორიული წყაროს, აქტუალიზაციაზე, მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანის საჭიროება-მიზანშეწონილობაზე; პერსონიფიცირებულ წყაროში ობიექტური ინფორმაციის ხარისხის კოეფიციენტებზე, რეალური ფაქტისა და ცნობიერების ფაქტის ერთმანეთისგან გამიჯვნაზე, ამ მასალის ფუნქციურ ტიპოლოგიაზე; კვლევის ფოკუსს მივმართავთ არა იმდენად ისტორიული მოვლენების (ისტორიულ ხდომილებათა) ასახვაზე, არამედ თანამედროვეთა მიერ ამ მოვლენების პერცეფციებზე, რაც განაპირობებს ალტერნატიული ისტორიული ინტერპრეტაციების დაშვებას, შესაბამისად, ბევრად უფრო ლიბერალურ სამეცნიერო გარემოს, რაც აუცილებელი პირობაა კონსტრუქციული ნაბიჯების გადასადგმელად როგორც აქტიური, ისე ე. წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

ინტერაქტიულ პროგრამაში აქცენტირებულია საარქივო მასალა, როგორც თავისთავად ფორმირებული საკვლევი სივრცე, შესაბამისად, როგორც ტენდენციებისა და ვითარებების ავთენტური ინდიკატორი. ხაზგასმულია კერძო ინიციატივა, როგორც მაღალი სამოქალაქო მნიშვნელობის აქტი განსაკუთრებით რეგიონისა და ცენტრის ურთიერთმიმართების კონტექსტში.

***Esma Mania***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

***Irina Gogonaia***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

# ABKHAZIA IN THE ARCHIVES OF THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS (INTERACTIVE PROGRAM)

Archival material, a collection of systematized documents, has artefact value and is applicable for retrospective research criteria. It can be divided in two parts: official documentation and personified segment.Official documentation – acts, protocols, reports, official correspondence, as a historical source, only portrays upon the reglamented form of objective reality since documents of this kind impose the burden of social and political directives as well as bureaucratic etiquette any time and in any country.

In such a situation it is even more interesting, how impartial is the archival information within the frontier regions populated by multicultural societies, where the values are increasingly put under the pressure of marginalization.

The personalized segment of archival material – memoirs, diaries, personal correspondence, records, as a completely different type of historical source, has unique characteristics. It often complements and clarifies, and sometimes quite legitimately puts under question officially recognized historical data.

The history of Abkhazia preserved in the personal archival funds of the National Center of Manuscripts of public figures (Gabriel Kikodze, Ambrosi Khelaia, Kirion Sadzaglishvili, Petre Konchoshvili, Tedo Sakhokia, Iakob Gogebashvili...) is personified. Here, facts, events, processes  are considered from the so-called „psychological openness“, autobiographical prism, because archival documents reflect the personal views and feelings of the direct participants of the events.

The thematic configuration of the archival material of our research is not small, however, due to the thematic modules of the curriculum of the International School of the National Centre of Manuscripts, we will focus on linguistic, educational, textbooks, monastic infrastructure and related issues.

In the interactive program prepared on the basis of these archival documents, we focus on the actualization of these documents as a historical source, on the

need for their inclusion in scientific circulation; on the coefficients of the quality of objective information in a personified source, on the separation of real fact and conscious fact, on the functional typology of this material. The focus of the research is not so much on the reflection of historical events (historical outcomes), but on the perceptions of these events by contemporaries, which leads to the acceptance of alternative historical interpretations, hence much more liberal scientific environment, which is a necessary condition for taking constructive steps, as well as in resolving so-called frozen conflicts.

The interactive program focuses on archival material as a self-formed research space, respectively, as an authentic indicator of trends and situations. Private initiative is highlighted as an act of high civic importance, especially in the context of the relationship between the region and the center.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

ირინა გოგონაია. სიმულაციური თამაშის გამოყენება საარქივო მასალის საფუძველზე შემუშავებულ სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამებში (სიმულაციური თამაში „არქივისტი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში). საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“ მასალები. – თბილისი, 2016

ირინა გოგონაია, ვლადიმერ კეკელია, შორენა მურუსიძე, ესმა მანია. ზეპირი ისტორიები როგორც საგანმანათლებლო რესურსი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის „მშვიდობის მშენებლობა კულტურის განათლების გზით – ახალგაზრდული ბანაკი აფხაზეთიდან დევნილი მოსწქავლეებისათვის). ICOM-ICLM 2015 წლის კონფერენციის მასალები. – ICOM. პარიზი. – 2016 (ინგლისურ ენაზე).

ესმა მანია, ეთერ ქავთარაძე, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საარქივო მასალები აფხაზეთის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მემკვიდრეობა“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, კონფერენციის მასალები – www.fsac.net;

მარიამ ჩხარტიშვილი - ისტორიული მეცნიერების შესავალი: სალექციო კურსის კონსპექტური გადმოცემა, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2009 წ., 134 გვ.

**გამოყენებული წყაროები:**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იაკობ გოგებაშვილის არქივი, №329

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იაკობ გოგებაშვილის არქივი, №455

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, №93

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი, №1085

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივი, №1109

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის არქივი, № 285

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის არქივი, № 287

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის არქივი, № 289

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, № 223

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, № 227

Irina Gogonaia, Using Simulation Games in the Museum Educational Programs Based on the Archival Documents (Simulation Game "Archivist" within the Educational Programs of the National Centre of Manuscripts). Archival, Source and Antiquity Studies – Trends and Modern Challenges – International Conference Materials. – Tbilisi, 2016.

Irina Gogonaia, Vladimer Kekelia, Shorena Murusidze, Esma Mania. Narrated Stories as an Educational Resource (The Project of the National Centre of Manuscripts "Piece Building Through Cultural Education – Youth Camp for IDP-students from Abkhazia"). Proceedings of ICLM Annual Conference 2015. – ICOM, Paris – 2016

Esma Mania, Ether Kavtaradze, Archival materials of Georgian writers and public figures about Abkhazia, International Scientific Conference "Heritage", Batumi State University, 2013, Conference materials – www.fsac.net;

Mariam Chkhartishvili, Introduction to Historical Science: Lecture Course Outline, "Universali", Tbilisi, 2009, p. 134.

Making History: An introduction to the history and practices of a discipline. Edited by Peter Lambert and Phillipp Schofield (translated in Georgian). – Tbilisi, TSU, 2017.

Sources:

National Center of Manuscripts, Iakob Gogebashvili Archive, #329

National Center of Manuscripts, Iakob Gogebashvili Archive, #455

National Center of Manuscripts, Aleksandre Okropiridze Archive, #93

National Center of Manuscripts, Archive of the Historical-Ethnographic Society of Georgia, #1085

National Center of Manuscripts, Archive of the Historical-Ethnographic Society of Georgia, #1109

National Center of Manuscripts, Kirion Sadzaglishvili Archive, #285

National Center of Manuscripts, Kirion Sadzaglishvili Archive, #287

National Center of Manuscripts, Kirion Sadzaglishvili Archive, #289

National Center of Manuscripts, Ambrosi Khelaia Archive, #223

National Center of Manuscripts, Ambrosi Khelaia Archive, #227

**ნანული თარგამაძე**
*კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები და ორი აფხაზურენოვანი გამოცემა

1629 წელს რომში დაიბეჭდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები: ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ.

ხსენებული წიგნები გამოცემულია კათოლიკური „სარწმუნოების პროპაგანდის" მიერ. ამ პერიოდში (XVII ს. დასაწყისი) რომის კათოლიკე მისიონერები ქართული ენის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი. ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორად იტალიურად დაბეჭდილ თავფურცელზე სტეფანე პაოლინის გვერდით ნიკიფორე ირბახი, იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იხსენიება.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილი – თეიმურაზ I-ის ელჩი ევროპაში, განათლებული, ენების მცოდნე, „ქართული ანბანისა და ლოცვების", „ქართულ-იტალიური ლექსიკონის" შემდგენელი, პირველი ქართული მხედრული შრიფტის ჩამოსხმის მონაწილე.

რომში ქართულად დაბეჭდილი წიგნებიდან იშვიათობაა მაჯოს ქართული გრამატიკის პირველი, 1643 წლის გამოცემა. საქართველოში მისი არცერთი ეგზემპლარი არ არის აღრიცხული. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 1670 წლის, მეორე გამოცემის, ერთი ეგზემპლარია დაცული.

1741 წელს რომში მღვდელ ივანე ჯიგანანთის დამსახურებით დაიბეჭდა ტულუკაანთ დავითის მიერ შედგენილი „საქრისტიანო მოძღვრება გინა წვრთვნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა". გორელ ტულუკაანთ დავითს წიგნი იტალიურად შეუდგენია, შემდეგ თვითონვე თარგმნა ქართულ ენაზე.

ამ გამოცემებით შემოიფარგლა რომში „კათოლიკური სარწმუნოების" გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა „პოლიგლოტაში" დაბეჭდილი ქართული წიგნები.

1709 წელს თბილისში დაარსდა ვახტანგ VI სტამბა, რომელიც პირველი იყო კავკასიაში. სტამბის დაარსებამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში.

ვახტანგის სტამბამ 13 წელი იარსება (1709-1722 წწ.) ეს იყო წარმატებული საქმიანობა, რაც მრავალმა ფაქტორმა განაპირობა: მიხეილ ისტვანოვიჩის (მესტამბე ოსტატის) პროფესიონალიზმმა, ქართველი სტამბის მუშაკების (ნიკოლოზ ორბელიანის, მიქელ დეკანოზის შვილის, გიორგი მხატვრის, გაბრიელ მღვდლის, იოსებ სამებელის) თავდადებულმა, გონივრულმა საქმიანობამ, ტექნიკურად ტექსტის გამართვის დიდმა ოსტატობამ, ჩართული გრავიურების, შრიფტის და საბეჭდი ქაღალდის მაღალმა ხარისხმა.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგ გამოცემებს: სახარება, სამოციქულო, კონდაკი, გერმანე, სწავლა ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა; ვეფხისტყაოსანი.

ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ოცი გამოცემა. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგის სტამბის გამოცემებს ჩვენამდე სრულად არ მოუღწევია. 1722 წელს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებამ ვახტანგ VI აიძულა რუსეთში გახიზნულიყო.

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ გადაინაცვლა მოსკოვში. საქართველოში მეოთხედი საუკუნის მანძილზე წიგნის ბეჭდვა შეფერხდა, მაგრამ განაგრძობს განვითარებას მოსკოვში. ვახტანგ VI და ბაქარ ბატონიშვილის ინიციატივით, იოსებ სამებელის, ქრისტეფორე გურამიშვილის და სხვათა დახმარებით მოსკოვში გაიმართა ქართული სტამბა. 1737 წელს გამოდის პირველი წიგნი „დავითნი“. შვიდი წლის მანძილზე ქართველი ემიგრანტები ახერხებენ თერთმეტი დიდტანიანი წიგნის გამოცემას, მათ შორის, 1741 წელს „მარხვანს“ (დიდმარხვის საგალობლები), 1743 წელს ბიბლიის და სხვა თხზულებების დაბეჭდვას.

იოსებ სამებელის სტამბის გაჩერების შემდეგ მოსკოვში კვლავ აღდგა ქართული წიგნების გამოცემა 1761 წელს რუსეთის სინოდის ნებართვით, თავისი წარსაგებელით, ნება დართეს თბილისის მიტროპოლიტს ათანასე ამილახვარს მოსკოვში სტამბის დაარსებისა. ჯვართამაღლების ეკლესიასთან არსებულმა სტამბამ იარსება 1768 წლამდე და დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის წინაშე: საღვთისმეტყველო ლიტერატურით ამარაგებდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს. სტამბა გაუქმდა 1768 წელს.

მოსკოვის სტამბის წიგნები განიცდიან რუსული გამოცემების გავლენას. ორიგინალობა მხოლოდ ბაგრატიონთა ღერბის გაფორმებას შერჩა. მოსკოვის სტამბა მხოლოდ ნუსხურ შრიფტს ხმარობს.

1749 წელს ერეკლე II მეფობისას შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სტამბის აღდგენისათვის. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ანტონ პირველმა.

1751 წელს დაიბეჭდა წიგნი – ანტონ I კათალიკოსის „ქადაგება“ და „კონდაკი“. ამის შემდეგ, მთელი თორმეტი წლის მანძილზე წიგნი არ გა-

მოცემულა. სტამბის დახურვის მიზეზი კათალიკოს ანტონ I -ის საქართველოდან განდევნა იყო. 1763 წელს სტამბა განახლდა. 1781-1782 წწ. სტამბამ საფუძვლიანი რეკონსტრუქცია განიცადა. 1795 წელს ერეკლე II -ის სტამბას ქრისტეფორე კეჟერაშვილი ჩაუდგა სათავეში. აღა-მაჰმად ხანის შემოსევამ სტამბაც გაანადგურა. ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა 40 დასახელების წიგნი.

ერეკლეს სტამბის მესამედ აღდგენა მისმა შვილმა, გიორგი XIII იტვირთა. მისი ბრძანებით, კეჟერაშვილმა „გარჯითა დიდითა“ გამართა სტამბა. მესამედ აღდგენილ სტამბაში მხოლოდ ორი წიგნი გამოვიდა.

ერეკლე II-ის სტამბის დახურვის შემდეგ, ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის ცენტრმა იმერეთში გადაინაცვლა. 1799 წელს სოლომონ II სპეციალურად გზავნის მოსკოვს მესტამბე გიორგი პაიჭაძეს, სტამბის საჭირო მოწყობილობის ჩამოსატანად. 1800 წელს ქუთაისში დაიბეჭდა პირველი წიგნი – „დავითნი“.

1803 წელს ქუთაისში იწყებს მოღვაწეობას რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი. ამავე წელს იმერეთის სტამბა სოლომონ II-მ ზურაბ წერეთელს იჯარით გადასცა. ზურაბ წერეთელმა სტამბა რაჭაში სოფელ წესში გადაიტანა, სადაც დაუბეჭდავთ „ღვთისმშობლის საველდრებელი“ „გამოკრებული სადღესასწაულო“. წესში სულ ორი წიგნი დაიბეჭდა. 1810 წელს იმერეთის სამეფო გაუქმდა. სტამბაც დაიხურა.

ზურაბ წერეთლის მცდელობა სტამბის აღდგენის თაობაზე უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომ სტამბა საგვარეულო მამულში, საჩხერეში მოაწყო. 1815-1817 წწ. საჩხერეში, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კარზე ბეჭდავენ წიგნებს, სადაც დავით ზუბაშვილი (რომანოზ ზუბაშვილის შვილი) მუშაობდა. უკანასკნელი წიგნი კი 1817 წელს დაიბეჭდა.

ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ამ ტრადიციის დასტურია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი უმნიშვნელოვანესი წიგნი. ერთი – „აფხაზური ანბანი“, პირველშედგენილი ქართული გრაფემებით, ივანე ჯავახიშვილის მემორიალურ კაბინეტშია დაცული, ხოლო მეორე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი (ქართული მხედრული შრიფტით შესრულებული), კორნელი კეკელიძის საკუთრება იყო და მისსავე სახელობის მემორიალურ კაბინეტშია განთავსებული.

***Nanuli Targamadze***
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*

# OLD GEORGIAN PRINTED BOOKS AND TWO ABKHAZIAN EDITIONS PRESERVED IN THE KORNELI KEKELIDZE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Korneli Kekelidze National Center of Manuscripts is rich in a collection of old printed books and rare editions, most of which are preserved in the Room of the Rare Editions named after Ch. Sharashidze.

The collection of the first printed Georgian book, which contains 303 units, is separated. Important exhibits in this collection are the first books in Georgian printed text – “Georgian-Italian Dictionary” and “Georgian Alphabet with Prayers”, published in Italy by the *Propaganda Fide Press* of the Sacred Congregation for the Propagation of the Faith, which was established in Rome in 1622 for the purpose of spreading Catholicism in non-Catholic countries. This fact is not accidental, because King Teimuraz I of Georgia was looking for an ally in European countries due to his historical misfortune. Teimuraz I sent his ambassador Nikoloz Cholokashvili to Rome to ask for support from Pope Urban VIII.

Before meeting with the Pope, the Georgian ambassador was baptized as a Catholic and named Niceforo Irbach. Niceforo waited to no avail for the pope’s mercy. Although the Georgian ambassadorial mission did not have much political success, his visit was not in vain. In order to strengthen the propaganda of the Catholic faith, the Congregation decided to publish the books needed to study the Georgian language and thus to strengthen the permanent mission in Georgia. Niceforo properly estimated the existing situation and with his support and with the participation of the Italian Stefano Paolini, two Georgian books were published in Rome in 1629: “Georgian-Italian Dictionary” (Rar52/2) and “Georgian Alphabet with Prayers” (Rar27/1ა).

“Georgian-Italian Dictionary” is printed in three columns: Georgian words in the first (left) column, Italian transliteration in the second (middle) column, and an explanation of the meaning of each word in Italian in the third (right) column. The Georgian alphabet and the Latin equivalents of each of its letters appear on pages 1-2.

“Georgian alphabet with prayers” – on the first seven pages is presented the Georgian alphabet in *Mkhedruli* script, on the other pages there are prayers, beliefs, ten commandments, hymns of the Mother of God in Georgian. The same material is given in Latin. Despite the errors, both editions are important.

The important work of the missionary Francisco-Maria Maggio’s – “A work on the Eastern Languages Spoken on the Territory of Georgia” (Rar. 860) printed in

Rome with the permission of the Sacred Congregation for Propagating the Faith, is in fact first textbook of Georgian grammar published in Europe.

The printing house, founded by Vakhtang VI in 1709, laid the foundation for national printing, which lasted until 1722. In Ch. Sharashidze's Rare Editions Room (K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts) are presented eight books released by the printing press of King Vakhtang: 1. "Gospels" (Rar 8/3), Property of King Alexander of Imereti; 2. Acts of Apostols (Rar 4/3), 3. Prayer, 1710 (Rar15 / 1); 4. Kontakia, 1710 (Rar 51/2); 5. Teaching of Germanus Hieromonk "How to teach a student", 1711 (Rar 12/1ა); 6. Psalms, 1711; 7. [Shota Rustaveli] "The Man in the Panther Skin" (Rar 6/3) and 8. Horologion, 1717 (Rar 14/1ა).

The Tbilisi printing house was renovated in 1749 by the efforts of Erekle II and Anton the Catholicos. The center preserves 27 copies of the ten titles of Erekle's printing press: Paracletike 1772 (Rar 35/4), Pentecostarion 1788 (Rar 51/4) and others. Of particular importance is the [Supplication to the Virgin] 1795 (1/1), which is considered to be the only surviving specimen in Georgia.

After the raid of Tbilisi by Agha-Mohammad Khan in 1795, the publication of books stopped here. The initiative to resume printing was taken over by Western Georgia: in 1800-1817 Imereti and Racha became the centers of book printing. All the books published during these years are preserved in Chr. Sharashidze's Room of the Rare Editions, including the first Georgian miniature (tiny) book "The Prayer of the Mother of God", which was printed in the village of Tsesi.

In Chr. Sharashidze's Room of the Rare Editions (K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts) is presented a "Bible" which was published in the printing press founded in Moscow by the Goergin nobles moved to Russia – Bakar and Vakhushti Batonishvili and Ioane Samebeli. The publication of the "Bible" was the dream of several generations of Georgians residing in Russia. In addition to the "Bible", the Center preserves a number of exhibits of the printing house of Ioseb Samebeli and several remarkable books published by the printing house of Athanasius Tbileli, who resided in Moscow.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

გუგუშვილი პ., ქართული წიგნი (1626-1929), თბ.,1929

ვაჩეიშვილი, ჩიქობავა, პირევლი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983

კასრაძე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1979

კასრაძე ო., ქართული წიგნის ბეჭვდვის კერები, თბ., 1980

კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980

ქართული წიგნი ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1629-1920, თბ., 1941

ქურციკიძე ც., ქართული ბიბლია, თბ., 2010
8.შარაშიძე ქრ., პირველი სტამბა საქართველოში, თბ.,
ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტ. I, თბ., 2010
ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ტ. II, თბ., 2013
Gugushvili, P., The Georgian Book (1629-1929). Tbilisi, 1929.
Vacheishvili, Chikobava, The First Georgian Editions. Tbilisi, 1979.
Kasradze, O., Old Georgian Printed Book. Tbilisi, 1979.
Kasradze, O., Georgian Book Printing Centers. Tbilisi, 1980.
Kekelidze, K., History of the Old Georgian Literature. Tbilisi, 1980.
Georgian Book, Bibliography, vol. I, 162901920. Tbilisi, 1941.
Kurtsikidze, Ts., Georgian Bible. Tbilisi, 2010.
Sharashidze, Chr., The First Printing Press in Georgia. Tbilisi, 1955.
Old Georgian Editions, vol. I, Tbilisi, 2010.
Old Georgian Editions, vol. II, Tbilisi, 2013.

## პანელური მოხსენებები

**ქეთევან პავლიაშვილი**
*ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი*

# თანამედროვე აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო პროცესები და ე.წ.აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი

თანამედროვე აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო პროცესების განსაზღვრისათვის უცილობელია იმ ძირითად საკითხებში გარკვევა, რაც აფხაზეთის ეპარქიაში პრობლემების წარმოშობის წანამძღვრებს და მიზეზ-საბაბს ჰქმნის, აყალიბებს შეხედულებებს მოსალოდნელ შედეგებზე და მათი დაძლევის სავარაუდო გზებზე. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგები მკაფიოდ განსაზღვრავს აფხაზეთის პრობლემის ძირითად მიზეზებს, რომელთა სათავეები მომდინარეობს შემდეგი ასპექტებიდან:

1. აფხაზეთის ეპარქიის ისტორიული ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში;

2. ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ადგილი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში და მისი „ტროას ცხენის" ფუნქცია საერთაშორისო ასპარეზზე საეკლესიო ძალთა გადანაწილებისათვის ბრძოლაში (ვატიკანის, კონსტანტინოპოლის და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის „ცივი ომის" საკითხი);

3. ე.წ. აფხაზეთის ეკლესიაში სქიზმის (განხეთქილება) გამომწვევი წანამძღვრები, მიზეზები, საბაბი, მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და პრობლემის დაძლევის სავარაუდო გზები;

4. ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი; საეკლესიო დაჯგუფებები; ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკურ-საეკლესიო ორიენტაციები;

5. ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და კრეტას საეკლესიო კრება.

***Ketevan Pavliashvili***
*Member of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

# CURRENT CHURCH PROCESSES IN UP TO DATE ABKHAZIA AND QUESTION OF AUTHOKHEPHALIA OF "ABKHAZIAN CHURCH"

To definition in current church processes in up to date Abkhazia, indisputable to find out those principal questions, which form problems in Abkhazian Eparchy.

Carried researches results in the last years, indispute the main problems in Abkhazia.

They are:

1. Historical place of Abkhazian Epharchy in international policy;
2. The place of "Abkhazian Church" in the international policy and it's "Troas hourse" "s function in the struggle for the chuarchial priority (The "cold war" 's question between Vatikan, Constantinopole and Moscow patriarcathy);
3. The skizma's provoke purposes, reasons, possible results and the supposed ways of overcome problems in "Abkhazian Church";
4. The question of authokephalia of "Abkhazian Church"; Church groups, contrast political-church oriantations;
5. The question of authokephaly of "Abkhazian Church" and the Church meeting in Kreta.

**ზურაბ ხონელიძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი*

# მშვიდობის ქართული პარადიგმა – საუნივერსიტეტო დიპლომატიის პერსპექტივები

საქართველოსთვის საბჭოური სისტემის 30 წლიანი უსისტემო დემონტაჟისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზა წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის ზღურბლზე, რამდენიმე ქვეყნის მსგავსად, ჩვენც გვიღალატა პოლიტიკურმა ალღომ და ვერ გადავურჩით იმპერიის მიერ ჩადებულ „ნაღმებს", – უპირველეს ყოვლისა, თავს მოხვეულ ე.წ. ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებს, რომელთა ტრაგიკულად მძიმე შედეგები დღესაც აისახება ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე.

მაღალინტელექტუალური ქართველი ერისა და სახელმწიფოს წინაშე დგას გამოწვევა – საქართველოს ერთიანობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხო, გარანტირებული მომავლის უზრუნველყოფის უპირველეს ამოცანად ვაღიაროთ ე.წ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები. მისი დაძლევა რეალობის პრაგმატული გააზრებით მოითხოვს:

I. შეიცვალოს ქვეყანაში 1993 წლიდან დღემდე გადაუჭრელი პრო-ბლემის – კონფლიქტისადმი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების მხრიდან;

II. ვაღიაროთ, რომ კონფლიქტის გაჭიანურების მიზეზი არის არა დარეგულირების შესაძლებლობის არარსებობა, არამედ, ჩვენი „დაფარულობა" – ვერ ვხედავთ გზას და მივდივართ სხვა მიმართულებით;

III. გავაცოცხლოთ კონფლიქტის თემა, რომელიც, სწორი მიდგომის შემთხვევაში, არა თუ დამატებითი სირთულეების გაჩენით, ჩიხურ მდგომარეობაში მოაქცევს ქვეყანას, არამედ, პირიქით, იგი უკვე არსებული ჩიხიდან გამოსვლის იმ შენიღბულ შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ, რომელიც საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ გარდაქმნის ახალ გზაზე გაიყვანს.

სწორედ ამ შინაგანი მოთხოვნილების წარმოქმნილ აზრსა და მისი რეალიზაციის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი – „მშვიდობის ქართული პარადიგმა საუნივერსიტეტო დიპლომატიის პერსპექტივები", რომელიც არა მხოლოდ თეორიული დატვირთვის, არამედ, პრაქტიკუ-

ლი ღირებულების მატარებელია (არაფერია კარგ თეორიაზე პრაქტიკული). რეალურად, აჩენს შესაძლებლობას, პოლიტიკური წესების დაცვით, სიღრმისეული ცვლილება შევიტანოთ ჩვენს აზროვნებაში, უსარგებლო ინსტრუმენტის – უსასრულო, მოდური და არა საგნობრივი ლანძღვის ნაცვლად, სხვა ერებთან და ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობით, შევქმნათ ახალი ნარატივი, სასურველისკენ შევცვალოთ არსებული მოცემულობა და, შესაბამისად, ქართული სახელმწიფოს ბედი – მისი მომავალი.

ნაშრომში წარმოდგენილია განათლების პოლიტიკის ახალი მიმართულება – „საუნივერსიტეტო დიპლომატია", როგორც უნივერსიტეტის განახლებული მისია, მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ფორმა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სახეობა.

საუნივერსიტეტო დიპლომატია ცხადყოფს, რომ:

- ✓ საქართველოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის უპირველესი პრობლემის – კონფლიქტების მოგვარების გზა არის მშვიდობიანი და გადის ჰუმანიზმზე დაფუძნებულ საყოველთაო ღირებულებებზე: განათლებაზე, მის უმაღლეს მწვერვალზე – მეცნიერებაზე და საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ, მოტივირებულ და პრაგმატულად მოაზროვნე ნაწილზე – ახალგაზრდობაზე. ცხადია, სამივე კომპონენტი ერთად თავს იყრის და მშვიდობიანად თანაარსებობს მხოლოდ თავისუფალ საუნივერსიტეტო სივრცეში. თუმცა, სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში უნივერსიტეტი, რომელსაც განგებამ, ძირითად საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, სამშვიდობო პროცესის ინდიკატორის შესაძლებლობა მისცა, ბოლომდე არ აღმოჩნდა ადეკვატური დროსთან მიმართებაში, ვერ გააცნობიერა საკუთარი ისტორიული პასუხისმგებლობა;
- ✓ საუნივერსიტეტო იდეა კრიზისს განიცდის, თუმცა, უნივერსიტეტს, როგორც უნივერსალურ მოდელს, მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აქვს შიდა რესურსი, დაასაბუთოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, შეძლოს კონფლიქტების რეგულირების არჩეული – სამშვიდობო სტრატეგიის პოლიტიკური ველის საუნივერსიტეტო რესურსით შევსება და აქტიურად ჩაერთოს, მეტიც, იქცეს სამშვიდობო პროცესის ეპიცენტრად. საქართველოს მაგალითზე, ვგულისხმობთ, არა ზოგადად უნივერსიტეტს, არამედ, განსაკუთრებით, ქვეყნის ბედის თანაზიარ „პოლიტიკის მსხვერპლს", აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ ცოცხალ ორგანიზმს – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტს, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე (მსგავსი ბედის მსოფლიოში რამდენიმე „დევნილი უნივერსიტეტია"), აჩენს შესაძლებლობას, კონფლიქტში შესვლის ან ერის ისედაც დეფიციტური ენერგიის კონფლიქტის შედეგებთან ბრძოლისკენ მიმართვის ნაცვლად (წარსულისგან განსხვავე-

ბით), უნივერსიტეტის თავისუფალ აკადემიურ სივრცეში მხოლოდ თემის შემოტანითა და არა საუსანივერსიტეტო რესურსის გაერთიანებით, კონფლიქტით დაინტერესებულ სუბიექტებთან, უპირველესად, ხელისუფლებასთან (ასევე, სამოქალაქო საზო-გადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და „მხარეებთან“) მეცნიერულ-ჰუმანისტური დიალოგის გაჩენით კონფლიქტის მიზეზების დადგენასა და პრობლემის რეალურ დარეგულირებას მოემსახუროს;

✓ მიზნის რეალიზაციამ უნივერსიტეტისგან არა მხოლოდ ტრანსფორმაცია, არამედ, ხარისხობრივად ახალი ცოდნის – ახალი სიცოცხლის წარმოქმნა მოითხოვა. ამან კი, დამატებითი, არასაუნივერსიტეტო რესურსის სახით, მეორე აუცილებელი, ასევე, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის მატარებელი სუბიექტის – დიპლომატიის, როგორც მოლაპარაკების მეცნიერებისა და ურთიერთობის ხელოვნების მოძიება და მასთან შერწყმა განაპირობა.

ორი თავსებადი თვისობრიობის – უნივერსიტეტისა და დიპლომატიის ერთობამ ჩამოაყალიბა ჩვენი ახალი ხედვა – ახალი პარადიგმა: „თეორიიდან ქმედებისკენ“, შექმნა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის არა კლასიკური, ან ფორმალური, არამედ, სრულიად ახალი სახეობა – „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც კონფლიქტის (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ეთნოპოლიტიკურსა და არც საქართველოს კონფლიქტებს) დამარეგულირებელი სისტემის შემქმნელი, და არა მსახური, თავისთავადობა – მშვიდობის უზრუნველყოფის ახალი ორიგინალური საშუალება.

*Zurab Khonelidze*
*Rector of Sokhumi State University*

## GEORGIAN PEACE PARADIGM – PERSPECTIVES ON UNIVERSITY DIPLOMACY

For Georgia, the 30 years of non-systemic dismantling of the Soviet system, and the nation's state-building course has turned out to be full of contradictions. On the outset of the post-Soviet space transformation, we, like several other countries, were betrayed by our political intuition, having not been able to escape the "mines" planted by the empire – especially the imposed ethnopolitical conflicts, whose trag-ic consequences still affect the Georgian state and society.

It is a fact that the highly intellectual Georgian nation and the Georgian state are faced with a challenge: to ensure unity, prosperity, and a secure, guaranteed future

of Georgia. To reach these goals, the primary task is the resolution of the so-called ethno-political conflicts. Using the way of pragmatic reasoning, the achievement of this goal demands the following:

Change the attitude toward the conflict in Abkhazia, which has remained un-re-solved since 1993, by first of all changing the governmental attitude.

Recognize that the reason for procrastinating on a solution to the conflict is not because of a lack of a proposed prospect of settlement, but because our blurred vision and the fact that we do not see the proper way of executing this settlement.

Revive the dialogue surrounding the Abkhazia conflict. This dialogue, if approached correctly, will not put the country in deadlock by heaping additional difficulties on to it; on the contrary, it will be rendered as a latent opportunity to break the existing deadlock, which will lead to a new path forward in trans-forming Georgia into a full-fledged state.

It is exactly this idea, born of the inner need and the attempt of its realization, that makes the present work, Georgian Paradigm of Peace, not only a theoretical work, but one which has practical value (nothing is more practicable than a good theory). In fact, by way of following the political rules, it creates the possibility of making a profound change in our thinking about peaceful coexistence with other nations and countries. This is also a chance to create a new and more desirable nar-rative, to change the existing given and, consequently, to alter the Georgian state, its fate, and, ultimately, its future.

The paper presents a new direction of education policy: "University Diplomacy" as a renovated mission of the university, a modern form of peacebuilding, and a new type of International Relations and diplomacy.

University Diplomacy makes clear that:

The way to resolve the main problem of Georgia's sovereignty and unity–conflict–is peaceful and utilizes universal values based on humanism: education, science (education's highest achievement), and the healthiest, most motivated and pragmatic part of society–the youth. Clearly, all three components come together and coexist peacefully only in a free university space. Unfortunately, however, in the modern world, the university, which, along with its basic educational function, is an indicator of the peace process, has not adequately developed from its origins to properly situate itself in the greater society, and has failed to realize its historical responsibility.

The idea of the university is in crisis, however. The university, as a universal model, due to its great possibilities, has the internal resources to prove its viability, and is able to fill the political field of the peace strategy with more university resources, actively involve the political field, and, moreover, transform itself into the epicenter of the peace process. By the example of Georgia, we mean not the

university in general, but the Sokhumi State University in particular the "victim of poli-tics" – that shares the fate of the country, the living organism that connects Ab-kha-zia with the rest of Georgia. The University, issuing from its strategic importance (there are several "refugee universities" in the world with a similar fate) has the opportunity to simply bring into the academic space the theme in question, to unify the non-university community, and to establish a scientific-humanistic dialogue with the parties of the conflict–first and foremost, the government (along with civil society, international organizations, and "parties"), to determine the causes of the conflict and to propose a real settlement of the problem instead of entering the conflict or using the nation's already-deficient energy on fighting the consequences of the conflict.

To achieve the goal of peacebuilding, the work of the university must encom-pass not only the transformation, but also the creation of qualitatively new knowl-edge–new life. This knowledge will lead to the search for and merging of the university with the second essential subject (the only peaceful one) of diplomacy, as the science of negotiation and the art of communication.

The coupling of two compatible entities–university and diplomacy–has created a new paradigm: "from theory to action." This paradigm is neither a mere formality nor a recasting of a classical model of diplomacy, but a completely new kind of international relations. University Diplomacy is a conflict-regulatory system (not just of ethno-political or indigenous conflicts) that does not merely service or critique the field of International Relations, but stands on its own as a new means of ensuring peace.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

1. ზურაბ ხონელიძე. მშვიდობის ქართული პარადიგმა, თბილისი, 2021
2. ზურაბ ხონელიძე. საუნივერსიტეტო დიპლომატია, თბილისი 2013.

1. Zurab Khonelidze. Georgian Paradigm of Peace, Tbilisi, 2021.
2. Zurab Khonelidze. University Diplomacy, Tbilisi 2013.

**ირაკლი გელენავა**
*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს*

# კულტურული მემკვიდრეობა ოკუპაციის პირობებში (აფხაზეთის მაგალითზე)

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დღეს მოცემულობა შემდეგია: ადამიანის ისეთი ფუნდამეტური უფლებების დარღვევა როგორებიცაა, სიცოცხლის, საკუთრების – პირადი ქონების ხელშეუხებლობის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, გადაადგილების, დასაქმების, მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების და ა. შ უფლებები.

საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებზე, კულტურულ ფასეულობებზე სისტემატურად ხორციელდება ვანდალური აქტები, აქტიურად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის სახით „ისტორიული მოწმეების" მოსპობის პროცესი, ოკუპანტებისა და სეპარატისტული ძალების საბოლოო მიზანს წარმოადგენს ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობების იერსახის შეცვლა, დამახინჯება ან განადგურება, რათა უფრო მარტივად წარმართონ ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბებისა და ამ ისტორიით ახალგაზრდების აღზრდის პროცესი. მსგავსი ვანდალიზმი განხორციელდა შემდეგ ისტორიულ ნაგებობებზე: – ბედიის მონასტერი (X ს.), ილორის ეკლესია (XI ს.), დრანდის ეკლესია (VI ს.), ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის სალოცავი (XIX ს.) 2016 წლის შემოდგომაზე სრულიად მოისპო ანაკოფიის ციხის ეკლესიის საკურთხეველთან არსებული კედელი, 2017 წ. განადგურდა წებელდის ეკლესია (VIII-IX ს. აღდგენილი XIX ს.).

გადაუდებელ სარესტავრაციო/საკონსერვაციო სამუშაოებს საჭიროებენ: – ლიხნის ტაძარი (X ს.), მოქვის ტაძარი (X ს.), ცანდრიფშის ტაძარი 6 ს.), სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი (VII-VIII სს.), ამბარას ეკლესია (VII-VIII სს), კამანის ეკლესია (XI ს.), წებელდის ციხე (ადრე შუა საუკუნეები), ბაგრატის ციხე (X-XI სს), ბესლეთის ხიდი (X-XI სს.), აფხაზეთის მთავრების შერვაშიძეების სასახლის ნაშთები (XVI-XVII სს.) და სხვა ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მონაცემებით ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე 176 ისტო-

რიულ-არქიტექტურული ნაგებობაა, რომელთაგან მხოლოდ 8 ნაგებობაა კარგ მდგოარეობაში, 40-მდე საშუალო მდგომარეობაში, ხოლო დანარჩენი 140-მდე ნაგებობა საჭიროებს გადაუდებელ შესწავლასა და შესაბამის სარესტავრაციო/საკონსერვაციო სამუშაოებს. თუმცა რუსული ოკუპაციის გამო აღნიშნული სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია.

***Irakli Gelenava***

*Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia*

## CULTURAL HERITAGE ON RUSSIAN OCCUPIED TERRITORY OF ABKHAZIA

Today on the occupied territory of Abkhazia the situation is as follows : violations of fundamental human rights, such as the right to life, possession – inviolability of personal property, education in mother tongue, mobility, work, worship in native language etc.

Vandal acts are systematically implemented towards historic-architectural monuments by the occupation regime, there is an active process of elimination of "historic witnesses" through cultural heritage. The ultimate goal of the occupants and separatist forces is to alter, distort or destroy the appearance of historic-architectural buildings, to facilitate the process of falsifying history and educating youth with it. Such vandalism took place on the following historic constructions: Bedia Monastery (10$^{th}$ c.), Ilori Church (11$^{th}$ c.), Dranda Cathedral (6$^{th}$ c.), Chuburkhinji St.George Church (19$^{th}$ c.). In autumn 2016 the wall at the altar of Anacopia Fortress Church was completely demolished and in 2017 Tsebelda church was destroyed (8$^{th}$ -9$^{th}$ cc., restored in the 19$^{th}$ c.).

Argent restoration/ conservation work are needed to:- Likhni Temple(10$^{th}$ c.), Mokvi Cathedral (10$^{th}$ c.), Tsandripshi Church (6$^{th}$ c.), Church of the St. Simon Kananeli (7$^{th}$ -8$^{th}$ cc.), Ambara Church (7$^{th}$ – 8$^{th}$ cc.), Kamani Church (11$^{th}$ c), Tsebelda Fortress (early middle ages), Bagrati Fortress (10$^{th}$ – 11$^{th}$), Besleti Bridge (10$^{th}$ – 11$^{th}$), ruins of the palace of the rulers of Abkhazia, Shervashidze ( 16$^{th}$ – 17$^{th}$ cc.) and other historic – architectural buildings.

According to the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia, nowadays there are 176 historic-architectural buildings on the territory of Abkhazia and only 8 of them are in good condition, up to 40 in average condition, and the rest about 140 monuments are in need of urgent study and appropriate restoration / conservation work. However, due to the Russian occupation it is impossible to carry out these works.

**გიორგი პატაშური**
*გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი*

# აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი და მისი მნიშვნელობა

1992-1993 წლებში აფხაზეთში მომხდარი ომის შედეგად განხორციელ- და ეთნიკური წმენდა. აფხაზეთი დატოვა დაახლოებით 250 000 ქართველმა, ეთნიკური ნიშნით დევნილ ქართველთა გარდა იყვნენ სხვა ეროვნების მოქალაქეებიც.

აფხაზეთის ტერიტორია, ოდითგანვე ქართული კულტურული და პოლიტიკური სივრცის მნიშვნელოვანი შემადგენელი და საქართველოს რეგიონია, სადაც სახელმწიფო, საქმისწარმოების, საღვთისმსახურო და სალიტერატურო ენა იყო ქართული. ქართველებისა და აფხაზების წინაპრები ერთობლივად ქმნიდნენ იმ საერთო კულტურულ ფასეულობებს, რომლებსაც ღირსეული ადგილი უკავია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში.

2015 წლის დასაწყისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შეიქმნა კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური. ამოქმედდა „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა“, რომლის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა პროექტები. მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ  გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე არქიტექტურულ-ისტორიული ობიექტები არ იყო შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. ამ მიმართულებით კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურმა, შექმნის დღიდან დაიწყო მუშაობა, შესაბამისად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს  გაეგზავნა  გალის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით ჩვენს სამსახურში მომზადებული გალის მუნიციპალიტეტის ხუთი ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობის სააღრიცხვო ბარათები, რათა მომხდარიყო აღნიშნული ობიექტების კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა. მომზადებული სააღრიცხვო ბარათების  საფუძველზე, გალის მუნიციპალიტეტის ხუთ ეკლესიას –

ჩხორთოლის[1], ოქუმის[2], ღუმურიშის[3], წარჩის, ნათლისღებისა[4]და ჭუბურხინჯის წმ. გიორგის სახელობის[5] ტაძრებს და წარჩეს ციხეს[6] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭათ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შესაბამისად, გაჩნდა საფუძველი, აღნიშნულ ძეგლებზე, იმოქმედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით გათვალისწინებულმა დაცვის პირობებმა.

ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან შეთანხმებით სააღრიცხვო ბარათები მომზადდა ძველი პასპორტების მიხედვით (ვინაიდან ამჟამად ვერ განხორციელდებოდა ძეგლებზე საველე სამუშაოები). ძეგლის სტატური მიენიჭა გალის, ოჩამჩირის და სოხუმის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა ნაგებობას, საერთო ჯამში 41 ისტორიულ-არქიტექტურულ ობიექტს.

სტატუსის მინიჭება არის პირველი ეტაპი ობიექტის დასაცავად. ეს თემა ორ ნაწილად უნდა გავყოთ: ერთია დეკლარირება, მეორეა შესაძლებლობები. ფინანსური თუ სხვა (ამ შემთხვევაში ოკუპაცია) შესაძლებლობის არქონის გამო, დეკლარირებაზე უარს ვერ ვიტყვით, რადგან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია მუდმივი პროცესია. დღეს თუ არა გვაქვს საშუალება, ხვალ გვექნება. ამასთანავე, ძეგლის სტატუსი საშუალებას იძლევა ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში მოხდეს სამართლებრივი რეაგირება, იქნება ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ, იმის შიშით, რომ ამჟამად ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ტერიტორიას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესი არ უნდა შევაჩეროთ.

---

1 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის სხდომა, ოქმი N18, 27 იანვარი, 2015 წ.

2 იქვე;

3 იქვე;

4 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N2/88; 6 მაისი, 2015 წ. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

5 იქვე;

6 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება N2/146, 2 ივლისი, 2015 წ. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

***Giorgi Patashuri***
*Researcher at the Medieval Art Department of the George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation*

# THE PROCESS OF GRANTING THE STATUS OF CULTURAL HERITAGE MONUMENT TO THE HISTORICAL-ARCHITECTURAL BUILDINGS IN THE OCCUPIED TERRITORY OF ABKHAZIA AND ITS IMPORTANCE

As a result of the war in Abkhazia in 1992-1993, ethnic cleansing was carried out. About 250 000 Georgians left Abkhazia, among the ethnically displaced Georgians there were also citizens of other nationalities.

The territory of Abkhazia has been an important part of the Georgian cultural and political space since old time onwards and is a region of Georgia, where the state, official, liturgical and literary language was Georgian. The ancestors of Georgians and Abkhazians jointly created those common cultural values that have a worthy place in the list of Georgian cultural heritage.

At the beginning of 2015, in the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia was created a service for the protection of cultural values. "Cultural Values Protection and Promotion Program" was launched, within the framework of which various projects were planned. During the work, it was found out that the architectural-historical objects located in the territory of Gali district were not included in the list of cultural heritage monuments. In this direction, the Service for the Protection of Cultural Values started working from the day of its creation, accordingly, to the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia was sent the registration cards of five historical-architectural buildings of the Municipality of Gali, prepared in our service based on the materials provided by the Gali Educational Resource Center, in order to include the mentioned objects in the list of cultural heritage. On the basis of the prepared accounting cards, five churches of Gali Municipality – Chkhortoli,[1] Okumi,[2] Ghumurishi,[3] Tchchi, Epiphany[4]

---

1 National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia, meeting of the Strategic Issues Section of the Council for the Protection of Cultural Heritage, report N18, January 27, 2015.

2 ibid.

3 ibid.

4 Order of the General Director of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia N2/88; May 6, 2015, regarding granting the status of an immovable monument of cultural

and Chuburkhinji St. George's cathedrals[1] and the Tsarche fortress[2] were awarded the status of cultural heritage monuments of Georgia based on the decision of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia. Accordingly, there was a reason to apply the conditions of protection provided by the status of cultural heritage monument to the mentioned monuments.

The process of granting the status of a monument continued in the following years as well. In agreement with the Agency for the Protection of Cultural Heritage, registration cards were prepared based on old passports (since field work on the monuments could not be carried out at the moment). The status of the monument was awarded to various buildings of Gali, Ochamchiri and Sukhumi municipalities, in total 41 historical-architectural objects.

Assigning the status is the first step in securing an object. This topic should be divided into two parts: one is declaration, the other is possibilities. Due to the lack of financial or other (in this case, occupation) opportunities, we cannot refuse to declare, because the inventarization of cultural heritage monuments is a continuous process. If we don't have the opportunity today, we will have it tomorrow. In addition, the status of the monument allows for a legal response in case of damage of a building, whether local or international. Therefore, fearing that we currently cannot control the territory, we should not stop the process of inventarization of the cultural heritage monuments.

---

heritage to valuable objects from the point of view of cultural heritage.

1 ibid.

2 Order of the General Director of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia N2/146, July 2, 2015, regarding granting the status of an immovable monument of cultural heritage to valuable objects from the point of view of cultural heritage.

**მანანა თევზაძე**
*ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე*

# „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები ჰააგის კონვენციის შესრულების ჭრილში“

სადისკუსიო თემის „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები ჰააგის კონვენციის შესრულების ჭრილში“ შესავალი მოხსენება მიმოიხილავს შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ 1954 წლის ჰააგის კონვენციის არსს და მისი შესრულების შესაძლებლობებს საქართველოში.

ჰააგის კონვენცია არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნაწილი, მას ასევე უწოდებენ ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის სამართალს. იგი მიიღეს მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოება გახდა მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგების მოწმე. კონვენცია და მისი პირველი ოქმი და აღმასრულებელი რეგლამენტი (1954) საქართველოსთვის ძალაშია 1992 წლიდან, ხოლო მის მეორე ოქმს (1999 ) საქართველო შეუერთდა 2009 წელს.

კონვენცია იცავს განსაკუთრებული ღირებულების მქონე უძრავ და მოძრავ კულტურულ ფასეულობებს განურჩევლად მისი წარმოშობისა და საკუთრების ფორმისა, კონვენციის ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს ზომები, რათა თავიდან აიცილოს კულტურული მემკვიდრეობის დამანგრეველი შედეგები.

მოხსენება შემდგომში მიმოიხილავს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის მონიტორინგის საკითხს და იმ ქმედებეს, რაც ათწლეულებია ტარდება სახელმწიფოს მიერ.

ოკუპირებულ აფხაზეთში ოკუპაციამდე აღრიცხულია ორასზე მეტი უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელთა მდგომარეობის მონიტორინგის შესაძლებლობას ათწლეულებია მოკლებულია ქართული მხარე. თითქმის იგივე ითქმის საერთაშორისო ორგანიზაციებზეც, ვინაიდან კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარესთან შეთანხმების მიუღწევლობის მიზეზით დღემდე ვერ ხერხდება საერთაშორისო სპეციალისტების მიერ ძეგლების მდ-

გომარეობის სრულყოფილი შესწავლა და მონიტორინგი. (იუნესკოს ერთად-ერთი მონიტორინგის მისია განხორციელდა 1997 წელს)

აღნიშნული ორი საკითხის მიმოხილვის საფუძველზე მოხსენება ეხება ჰააგის კონვენციის იმ დებულებებს, რომელთა, თუნდაც თეორიულად, ამოქმედების მცდელობის საშუალებაც არსებობს. მიუხედავად მათი განხორციელების სირთულისა, რაც დაკავშირებულია კონფლიქტის პოლიტიკურ კონტექსტთან, განხილულია ის მექანიზმები, რომელთა ამოქმედების საკითხი უნდა დადგეს სახელმწიფოს მხრიდან იუნესკოს წინაშე. ესენია: 1. სპეციალური დაცვის სტატუსის მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლებისთვის ოკუპირებულ აფხაზეთში, 2. დელეგატების და კულტურული ფასეულობების გენერალური კომისრის დანიშნვა, კონვენციის აღმასრულებელი რეგლამენტის მიხედვით. (თავი 1. მუხლი 2. კონტროლის ორგანიზება, მუხლი 4, 6.) ხოლო გარდა ამისა, გაეროს ყველა შესაძლო პლატფორმის გამოყენებით მოითხოვოს მისი მუხლი 5.1.-ის შესრულება, რომელიც ამბობს: *„მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა, რომლებმაც სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის მთლიანი ან ნაწილობრივი ოკუპაცია მოახდინეს, შესაძლებლობის ფარგლებში მხარი უნდა დაუჭირონ ოკუპირებული ტერიტორიის ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას მისი კულტურული ფასეულობების დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.“*

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოხსენება შეეხება აგრეთვე კონვენციის მე-2 ოქმით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენებას საქართველოს მხარის მიერ, კერძოდ:

- ითანამშრომლოს ჰააგის კონვენციის კომიტეტთან აფხაზეთში საერთაშორისო მისიის მივლენის მოთხოვნით,
- მოითხოვოს ტექნიკური და ფინანსური დახმარება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის საზოგადოების გასათვიცნობიერებელი კამპანიების განსახორციელებლად,
- შეიმუშაოს მე-2 ოქმით გათვალისწინებული გაძლიერებული სტატუსის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია ერთ გამორჩეულ ძეგლზე.

მოხსენების დასკვნით ნაწილში მიმოხილულია აგრეთვე ის საქმიანობა, რომლის გაწევა შეუძლიათ არასამთავრობო თუ კვლევით ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული ქმედებების ხელშესაწყობად. ეს საქმიანობა უკავშირდება კვლევას, მონაცემთა მოგროვებას, გადამოწმებას, ანალიზსა და გავრცელებას სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალების დახმარებით, როგორიცაა დისტანციური ზონდირება, მათ შორის სატელიტური ფოტოგრაფირება, გეოსაინფორმაციო სისტემები და სხვა სივრცული თუ გეომონაცემების დაცვის და ანალიზის ხელსაწყოები.

*Manana Tevzadze*
*Chairperson of the Georgian National Committee of the Blue Shield*

# ISSUES OF CULTURAL HERITAGE PROTECTION IN THE OCCUPIED TERRITORY OF ABKHAZIA IN LIGHT OF THE IMPLEMENTATION OF THE HAGUE CONVENTION

The introductory presentation to the panel discussion "Issues of cultural heritage protection in the occupied territory of Abkhazia in light of the implementation of the Hague Convention" reviews the concept of the Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict and the possibilities of its implementation in Georgia.

The Hague convention is part of international humanitarian law, also called the law of war treaty. It was Adopted as a result of the devastated destruction and loss of cultural properties witnessed by the international community during WW II. Georgia is party to the convention and its 1st protocol from 1954 since 1992, and the 1999 2nd protocol – since 2009.

The convention protects movable or immovable property of great importance to the cultural heritage of every people, irrespective of origin or ownership. Parties of the convention undertake to prepare in time of peace in order to avoid destruction of cultural properties.

The presentation further reviews the situation of monitoring the state of cultural heritage in the occupied Abkhazia and the actions taken towards it by the Georgian authorities over the decades.

Before the occupation more than 200 immovable cultural heritage sites have been inventoried in Abkhazia. The Georgian side has over the decades been deprived of the possibility to Monitor the state of repair of these sites. Almost the same holds true for the international organizations, as neither the international heritage experts have been able to thoroughly assess and monitor the state of cultural sites there due to the lack of agreement among all the parties to the conflict (The only UNESCO monitoring mission that ever took place was in 1997).

Following the discussion of the above two topics, the presentation points out the provisions of the Hague Convention, for at least the theoretical implementation of which, there are measures and possibilities. Despite the difficulty of their implementation, which relates to the specific political context of the conflict, the mechanisms, activation of which the state could request UNESCO, could be: 1. Granting of special protection status to sites of great importance 2. Appointment of delegates and a Commissioner-General for Cultural Property according to Regulations for the

Execution of the Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict, Chapter 1, Organization of Control, Article 4. Besides, to use all the UN fora to request the implementation of Article 5.1. of the convention: "*Any High Contracting Party in occupation of the whole or part of the territory of another High Contracting Party shall as far as possible support the competent national authorities of the occupied country in safeguarding and preserving its cultural property.*"

In addition to the above, the presentation also refers to the possibilities of implementation of the provisions of the second protocol by the Georgian Sate Party and more particularly to:

– Cooperate with the international committee for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict on the deployment of an international monitoring mission to Abkhazia;

– Request technical and financial assistance from the fund with the purpose of implementing awareness raising campaigns and other activities related to the implementation of the convention;

– Prepare documentation for inscription of one outstanding monument in Abkhazia in the list of enhanced protection.

The concluding remarks of the presentation also mention the activities which the non-governmental and research organizations could undertake in order to support the above initiatives. These activities concern research, collection and verification of data, analysis and dissemination and also utilizing remote sensing tools such as satellite imagery, GIS and other tools for storing and analyzing of spatial and geodata useful for reviewing and monitoring the state of cultural properties.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY

1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მისი ორი (1954 და 1999) ოქმი, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, თბილისი, 2017.

Boylan, Patrick J, Review of the Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict: the Hague Convention of 1954, Paris, 1993 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000100159.

თევზაძე, მანანა, მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში: საქართველოს მაგალითი, მოხსენებათა კრებული – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.

Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict with Regulations for the Execution of the Convention 1954, http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=13637&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html (accessed on 17.04.2020).

Boylan, Patrick J, Review of the Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict: the Hague Convention of 1954, Paris, 1993 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000100159 (accessed on 17.04.2020).

Tevzadze, Manana. *Protection of Heritage in the Events of Armed Conflicts – Case Study: Georgia* in: Conference Proceedings Cultural Heritage of Georgia in the Occupied Territories – Abkhazia, 2012 Sokhumi State University, Tbilisi.


Hd-11226

სურ. 4. შეწირულება ბიჭვინთისადმი, მდ. ღალიძგასა და წყალიძგაზე Hd-11226. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Fig. 4. Donation to the Bichvinta Cathedral of the estates located on the Ghalidzga and Tskalidzga rivers, Hd-11226. Kept at vKorneli Kekelidze Geogian National Centre of Manuscripts

# VI მოდული: შუასაუკუნეებამდელი აფხაზეთი (აფხაზეთი უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე)

**კახაბერ ფიფია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი (აფხაზეთი) ანტიკურ ხანაში

უძველესი დროიდანავე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი დასავლურ-ქართული მატერიალური კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა და ზოგიერთი ლოკალური თავისებურების მიუხედავად, ორგანულად იყო დაკავშირებული საერთო-კოლხურ კულტურულ სამყაროსთან. საერთო-კოლხური კულტურის ფაქტობრივად სრული ერთიანობა ყველაზე აშკარად ვლინდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ.წ. XVI-VII სს.). ამ ეპოქაში მთელი ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, მისი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ჩათვლით, ვრცელდება მაღალგანვითარებული „კოლხური კულტურა". კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციის შედეგი უნდა იყოს. სწორედ ამ პერიოდიდან, ძვ.წ. XI საუკუნიდან უკვე არსებობდა კოლხურ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც განსაკუთრებულ ძლიერებას ძვ.წ. VIII ს. აღწევს. მოგვიანებით, ძველკოლხური გაერთიანების დაცემის შემდეგ, დასავლურ-ქართული ტომების პოლიტიკურმა ცენტრმა მდ. ჭოროხის ქვემო წელიდან ჩრდილოეთით, მდ. ფასისის (რიონი) შესართავთან გადაინაცვლა, სადაც ძვ.წ. VI ს. ჩამოყალიბდა ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო. მისი საზღვრები, ანტიკურ წყაროთა მოწმობით, გაგრა-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდებოდა. ამდენად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად შედიოდა კოლხეთის სამეფოს ფარგლებში და იგი პოლიტიკური ნიშნით არაფრით განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებისაგან. ძვ.წ. VI-I სს. წყაროებში არავითარი მინიშნება არაა არათუ აფხაზურ ტომთა რაიმე პოლიტიკური წარმონაქმნის, არამედ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველურისაგან ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის არსებობის შესახებაც კი. პირიქით, უძველესი ავტორები, ჰეკატეოს მილეტელი (ძვ.წ. VI ს.) და ფსევდო-სკილაქს კარიანდელი (ძვ.წ. IV ს.) ცალსახად მიუთითებენ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ კოლხური ტომები - თვით კოლხები, კოლები და კორაქსები ბინადრობდნენ. კოლხეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ძვ.წ. V საუკუნიდან (ჰელანიკე მიტილენელი) ფიქსირდებიან ჰენიოხებიც, რომლებსაც მკვლევართა უმრავლესობა ასევე ქართველურ ეთნიკურ სამყაროს მიაკუთვნებს.

ძვ.წ. II ს. ერთიანი კოლხეთის სამეფო ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, „სკეპტუხიებად" დაიშალა. კოლხეთის სამეფოს სრული პოლიტიკური კოლაფსის, ჯერ მითრიდატე ევპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.), ხოლო შემდეგ კი, რომაელთა მიერ დაპყრობის მიუხედავად, ქვეყანა ინარჩუნებდა პოლიტიკურ მთლიანობას და აფხაზეთის ტერიტორია საერთო-კოლხურ სივრცეს არ მოწყვეტილა.

მითრიდატულ ხანასა და მოგვიანებით, არისტარქეს (ძვ.წ. 65-47 წწ.) მმართველობის დროს კოლხეთის პოლიტიკურ ცენტრს დიოსკურია წარმოადგენდა. მითრიდატე ანტიკოლხურ პოლიტიკას ეწეოდა. გამორიცხული არ არის, რომ ძვ.წ. I ს. დასაწყისიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დაწყებული მიგრაციული პროცესების ფონზე, ის ხელს უწყობდა კიდეც მისადმი ლოიალურად განწყობილი ჰენიოხების ჩასახლებას კოლხურ მიწებზე. მითრიდატეს ანტიკოლხური პოლიტიკის შედეგების აღმოფხვრა მოახერხა კოლხეთის მმართველმა არისტარქემ (ძვ.წ. 65-47 წწ.). მან ჰენიოხების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლით კოლხეთის საზღვარი კვლავ პიტიუნტამდე გადასწია. არისტარქეს დროს კოლხეთი ცალკე, მთლიანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სახით ექვემდებარებოდა რომს. კოლხეთი ინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას პოლემონიდთა სამეფოს შემადგენლობაშიც. ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14 წწ.) ხანაში კოლხეთი ჯერ გაერთიანებული პონტო-ბოსფორის (ძვ. წ. 14-8 წწ.), შემდეგ კი, ძვ. წ. 3/2-ახ. წ. 17 წწ., პონტო-კაპადოკიის ერთიანი სამეფოს ნაწილია; იმპერატორ ტიბერიუსის (ახ.წ. 14-37 წწ.) დროს კოლხეთი პონტოსთან ერთად უშუალოდ რომის პროტექტორატის ქვეშ არის მოქცეული; კალიგულამ (37-41 წწ.) პონტოს სამეფო, კოლხეთთან ერთად, კვლავ პოლემონიდებს გადასცა; ნერონის (54-68 წწ.) დროს კოლხეთი ოკუპირებულია და იგი პროვინცია გალატიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი; ვესპასიანეს (69-79 წწ.) მმართველობისას კოლხეთი გაერთიანებული კაპადოკია-გალატიის პროვინციის, ე.წ. „კაპადოკიური კომპლექსის" ნაწილი იყო; დომიციანეს (81-96 წწ.) დროიდან კი კაპადოკიის პროვინციისა. კოლხეთის პოლიტიკური სტატუსის ასეთი ხშირი ცვლილების მიუხედავად, მისი ტერიტორიული მთლიანობა არ დარღვეულა და რომაელთა მიერ გატარებული ყველა ეს რეორგანიზაციული ღონისძიება ვრცელდებოდა მთელ კოლხეთზე, მისი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ჩათვლით.

ახ.წ. II ს. დასაწყისში პოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეიცვალა. ერთ დროს ერთიანი კოლხეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში გაჩნდნენ მაკრონ-ჰენიოხების, ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების პოლიტიკური გაერთიანებები. ფლავიუს არიანეს (დაახლ. 95-175 წწ.) ცნობით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი მდ. ეგრისწყლამდე (თანამ. ღალიძგა) ლაზთა სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული; ლაზების ჩრდილო-დასავლეთით სებასტოპოლისამდე აფსილებისა და აბაზგების პოლიტიკური გაერთიანებები, ხოლო სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე (თანამ. შახე) სანიგთა „სამეფო" მდებარეობდა. არიანეს ამ ცნობის საფუძველზე აფხაზი სეპარატისტი მკვლევრები და იდეოლოგები, რომელთათვისაც უცხო არ არის ანტიკურ წყაროებში არსებული მწირი, ხშირად ბუნდოვანი მონაცემების მანიპულირებით მაქსიმალური პოლიტიკური გამორჩენის მიღება, ამტკიცებენ, რომ ახ.წ. II ს. დასაწყისიდან უკვე არსებობდა „აფხაზური სახელმწიფოებრიობა". თუმცა, ცხადია, ამ პოლიტიკურ გაერთიანებათა სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ აღნიშნული მმართველები მეფეებად, ხოლო მათ გამგებლობაში მყოფი პოლიტიკური ერთეულები სამეფოებად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მქონე სუბიექტებად მივიჩნიოთ. აფსილ-აბაზგთა, ისევე როგორც კოლხეთის დანარჩენ გაერთიანებათა მმართველების „სამეფო ხელისუფლება" რეალურად რომის პროვინციის მოხელეთა ან თუნდაც მათი წინამორბედების, ,,სკეპტუხების" ფუნქციებს არ სცილდებოდა და ეს „ბასილევსები" არსებითად რომის იმპერიის ადმინისტრატორები იყვნენ; აფსილებისა და აბაზგების სატომო გაერთიანებების პირდაპირი დამოკიდებულება რომზე, დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ ვერ შეძლეს თავიანთი ფორმალური სტატუსის შენარჩუნება და მალევე დაკარგეს „დამოუკიდებლობა". ნიშანდობლივია, რომ არიანეს შემდგომ აფსილ-აბაზგთა „სამეფოები" და მათი „ბასილევსები" არც ერთ წყაროში არ

იხსენიებიან. როგორც უახლესი არქეოლოგიური მასალით ირკვევა, ისინი უკვე II ს. შუახანებშივე მოექცნენ ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაში. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) თანამედროვე ლაზთა მეფე პაკორი რომაელთა სანქციით იწყებს დასავლურ-ქართული ოლქების შემოკრებას ლაზეთის გარშემო და ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენას. პაკორმა თავდაპირველად დაიმორჩილა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში არსებული აფსილებისა და აბაზგების გაერთიანებები; რაც შეეხება სანიგთა გაერთიანებას, ის სხვებთან შედარებით ძლიერი იყო და მასზე ლაზთა ჰეგემონიის გავრცელება მოხდა მას შემდეგ, რაც

***Kakhaber Pipia***

*Sokhumi State University*

# THE NORTHERN-WESTERN COLCHIS (ABKHAZIA) IN ANTIQUITY

According to archeological findings, the territory of Abkhazia from the oldest time was included at Western-Georgian, Colchian cultural area. During the whole era of early, middle and late Bronze age, the same picture is fixed in the territory of Abkhazia as in other regions of western Georgia, by material culture point of view, with some local peculiarities. So Abkhazian population by ethno-cultural point of view, in III-I millenniums B.C. did not differ from the rest part of the population of Colchis and it represented an organic part of Old Georgian, Colchian world.

In the 6th century B.C. it was formed the state of Colchis on the Eastern shores of the Black sea. Its borders, according to antique sources, was spread from the sector of modern Gagra-Bichvinta to the region of Chorokhi issues. So modern Abkhazian territory was completely included in the frame of Colchis Kingdom and it was not differing from other parts of the Western Georgia with political sign. Also in the sources of VI-I centuries B.C. there is no hint that in Abkhazia did live ethnically different population. On the contrary, Ancient authors, Hecataeus of Miletus (6th century B.C.) and Pseudo-Scylax of Carianda (4th century B.C.) definitely pointed that only Colchian tribes – Colchis itself, Koles and Koraxes inhabited on the modern territory of Abkhazia. So Abkhazia represented an organic part of the united state-political and ethno-cultural space of an ancient Colchis.

In II century B.C. the united kingdom of Colchis was divided into various "Skeptukhias". Despite of complete political failure, Abkhazian territory was not torn away from the common-Colchian cultural-political area. From the beginning I century B.C. even during ongoing political cataclysms, at first during Mitridates Eupator (120-63 B.C.) time and then after the conquest by Romans, Colchis was maintaining its territorial integrity.

In 65–35/33 B.C. Colchis as a separate, whole administrative-political entity was subdued to Rome. In 35/33 B.C. Marcus Antonius took Colchis in the kingdom of Polemonic Pontus, which was a vassal of Rome. In the era of Augustus (27 B.C.–14 A.D.) Colchis, for a short period, was the part of Pontus-Bosporan kingdom (14-8 B.C.), then in 3/2 B.C. – 17 A.D. is the part of united kingdom of Pontus-Cappadocia. During an Emperor Tiberius ruling (14-37 A.D.) Colchis was the tutorial country with Pontus and it was under the protectorate of Rome itself; Caligula (37-41 A.D.) delivered the kingdom of Pontus with Colchis to Polemonids again;

during Nero (54-68) Colchis was occupied by Romans and it became the part of the province of Galatia; During the rule of Vespasian (69-79) Colchis was the part of united Cappadocia-Galatia, so called "Cappadocian complex"; From Domitian (81-96) it was part of the province of Cappadocia. During carried out frequent administrative-territorial reorganizations in the East by named Emperors, the territorial integrity of Colchis was not broken and modern Abkhazian territory was again the part of Colchis.

In the beginning of II century A.D., by Flavius Arrian's (nearly 95-175) information, on the territory of Colchis, appeared separate political unions – "kingdoms" of Macron-Heniokhes', Lazs', Absils', Abazgs' and Sanigs'.On the basis of this information of Arrian, Abkhazian separatist researchers and ideologists, for whom is not strange in the base of sources and especially in antique sources by manipulating of poor, often unclear data, to get maximum political profit, they claim that from the beginning of II century it already existed "Abkhazian state". However, obviously, talking about the existence of "Abkhazian statehood" is meaningless and Apsil-Abazgs' "kingdoms" must be considered as unions with some kind of self-governances. An independence of political unions of Apsils and Abazgs was a complete fiction. These "Basileuses" essentially were administrators of Roman Empire, who had to provide in connection with Roman garrisons submission of inhabited tribes of Black sea region to Rome; Their real rights were quite restricted and they were carrying out concrete interests of Roman administration of Cappadocia province there.

Direct dependence of Apsils' and Abazgs' political unions on Rome, did not continue for a long time. They could not maintain formal status and lost an "independence" soon. It is worth to note that after Arrian Apsil-Abazgs' "kingdoms" and its "Basileuses" were not mentioned in any sources. They at the middle of the II century were included in the kingdom of Lazica which was on the way of raising. Pacorum, King of Lazica, expanded the borders of the Laz kingdom to Northwestern, including the contemporary Gagra-Pitsunda sector which was evidenced by a Greek inscription on a silver cup found in the village Achmarda in the Gagra district. So even in late antiquity modern Abkhazia was an organic part of common-Colchian, Georgian political world.

**ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY**

აფხაზეთი. უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007.

ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987.

მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. _ მაცნე. ისტორიის... სერია, #1, 1992, გვ. 7-20.

ნ. ლომოური. `კოლხიდის~ და `კოლხების~ გაგებისათვის. – თსუ შრომები, ტ. I-BB(138). თბ., 1971, გვ. 19-31.

ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968.

ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998.

ო. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966.

კ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს.¬(პოლიტიკური ურთიერთობები). თბ., 2005.

კ. ფიფია. `აფხაზური სახელმწიფოებრიობა~ - მითი თუ ისტორიული რეალობა?, თბ., 2012.

კ. ფიფია. არისტარქე კოლხი. თბ., 2023.

კ. ფიფია. რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული `სამეფოების" წარმოქმნა კოლხეთში (ახ.წ. II ს.). თბ., 2012.

კ. ფიფია. ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და ლაზეთის სამეფო. - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული. 22. გორი, 2023, გვ. 56-63.

ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. თბ., 1961.
თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ., 1967.
З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964.
О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. Сухум, 2006.
Н. Б. Берулава. Город Диоскурия-Себастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI в. до н.э. – III в. н.э.). Тб., 2005.
Ю. Н. Воронов. Диоскуриада - Себастополис - Цхум. М., 1980.
Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Tбилиси, 1997.
Т.С. Каухчишвили. Письменные источники по вопросу ,,колонизации~ Восточного Причерноморья. _ Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб.,1979, gv. 294-304.
Н. Ю. Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тб., 1997.
О. Д. Лордкипанидзе. Древняя Колхида. Миф и археология. Тб., 1979.
О. Д. Лордкипанидзе. Наследие древней Грузии. Тб., 1989.
Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959.
К. Пипия. Из истории Колхидского Царства (Об очередной попытке фальсификации истории). - Кавказ и Мир". Международный-научный журнал, № 20, 2015, с. 37-40.
Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999.
Г. К. Шамба. Ешерское городище. Тб., 1980.
K. Pipia. For the issue of Political Status of Apsils' and Abazgs' Unions. - The Caucasus and the World. Inrernational Scientific Journal, N 16, Tbilisi, 2013, p. 42-48.

K. Pipia. The Eastern Policy of Rome and Colchis in the beginning of II century A.D. - The Caucasus and the World. Inrernational Scientific Journal, N 15, Tbilisi, 2013, p. 85-88.

# მსმენელთა გამორჩეული მოხსენებები

**მარიამ ლომსაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ეთნოგრაფიული ყოფა

მოხსენებაში ,,ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ეთნოგრაფიული ყოფა" განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ტრადიციული ყოფა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა და შეგროვება ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. ეს ინტერესი განსაკუთრებით იზრდება, როდესაც საქმე ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილს ეხება. მოხსენების შესავალი ნაწილი ეხება პროექტის ,,ოკუპირებული რეგიონების არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა" ფარგლებში გამოვლენილ დიდი ლიახვის ხეობის სოფელი კეხვის ეთნოგრაფიულ სურათს, რომელიც მდიდარი მემკვიდრეობის მატარებელი გახლდათ. სოფელ კეხვში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან იძულებით გადაადგილებულ პირების კომუნიკაციიის პრობლემა დადგა დღის-წესრიგში. საზღვარმა (პირობითმა, მავთულხლართმა) რელიგურ რიტუალებში ჩართულობა გაართულა. ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც რელიგური რიტუალი და მატერიალურად არსებული ინფრასტრუქტურა ტერიტორას ნიშნავდა, ფიზიკური მარკერის გარეშე დარჩა. მოსახლეობამ იძულებით დატოვა საცხოვრებელი ადგილები და საკუთარი სახლებისგან შორს, სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში, საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დასახლდა. ადგილმონაცვლეობას მოჰყვა რელიგიური პრაქტიკის გაახლების, დავიწყების, ახლის შექმნის, მოთხოვნილება. დიდი ლიახვის ხეობის მაცხოვრებელთა რელიგიური პრაქტიკა, თავდაპირველ ტერიტორიას მოსწყდა და ახალ გეორგაფიულ არეალში, დევნილების იდენტობის გამყარების მარკერად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას არ შეუძლია შევიდეს სოფლებში, ცდილობენ განაგრძონ ის ტრადიციები, რასაც იქ მუდმივად აღნიშნავდნენ.

მოხსენების დასკვნით ნაწილში განხილულია საკითხი სოფელ დისევიდან

(პატარა ლიახვის ხეობა) დევნილ ეთნიკურად ქართველი და ოსი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომლებიც სოფელ ბერბუკსა და სკრაში დასახლდნენ. დევნილთა დასახლებებში (სოფელი ბერბუკი და სკრა) ეთნიკურად ქართველ და ოს მოსახლეობასთან ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული თვისებრივი მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა ყოველდღიური აფექტების გავლენა იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველდღიურ ყოფაზე, თანაცხოვრებაზე, რელიგიურ პრაქტიკებსა თუ კვებით კულტურაზე.

საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდა განურჩევლად ყველა - როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობა. სოფელ დისევიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების უმეტესობა შერეულ (ქართულ-ოსურ) ოჯახებს წარმოადგენს. აღმოსავლეთ საქართველოში ეთნიკურად შერეული ოჯახების დიდი წილი სწორედ ქართულ-ოსურ საქორწინო წყვილებზე მოდიოდა. ამის წინაპირობა კი უპირველეს ყოვლისა ამ ხალხის საერთო სივრცეში ცხოვრება გახლდათ. გარდა სისხლით ნათესაობისა, ქართველებს ოსი ძუძუმტეებიც ჰყავდათ. მათი დანათესავება ასევე, ნათელ-მირონობითაც ხდებოდა. მოხსენებაში განხილულია ქართულ-ოსური თანაცხოვრების პრაქტიკა (როგორც 2008 წლის ომამდე, ასევე ომის შემდგომი პერიოდის) (რელიგიური ყოფა, კვებითი კულტურა, ქორწინება, შრომითი ურთიერთდახმარება). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონფლიქტის შემდგომ პერიოდში დევნილთა დასახლებებში არა უწინდელი მასშტაბით, მაგრამ მაინც დღემდეა შემორჩენილი სხვადასხვა დღესასწაულის ერთობლივად აღნიშვნის ტრადიცია. აღნიშნულ მოხსენებაში განხილულია დღევანდელი ვითარება, რაც გულისხმობს საკუთარ მხარეს მოწყვეტილ ქართულ-ოსური ოჯახების ყოფით მდგომარეობასა და ემოციურ ასპექტებს, მათი საერთო ტრადიციული კულტურის ელემენტების ტრანსფორმაციას, ახალ საცხოვრებელ ადგილთან შეგუების პროცესებს.

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან გამომდინარე, მოცემულ მოხსენებაში წარმოჩენილი და დადასტურებულია, რომ სოფელ დისევში მცხოვრები ოსები ქართველებთან თანაცხოვრების პერიოდში იზიარებდნენ ქართულ კულტურას სოფელში ცხოვრების ბოლო დრომდე (2008 წლამდე). როგორც მთხრობელები აღნიშნავენ, სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის დროს, ისინი ერთმანეთს მუდმივად ეხმარებოდნენ და ასეთი ცხოვრება მათთვის საკმაოდ სასიამოვნო იყო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ კი კონფლიქტმა ბევრი რამ შეცვალა, პირველ რიგში ის, რომ ოსებს და ქართველებს შორის გაჩნდა როგორც საოკუპაციო გამყოფი ხაზი, ასევე ბარიერი გამოვლინდა ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ხმამაღლა არ საუბრობენ იმ პრობლემებზე, რაც თუნდაც ისტორიული ან პოლიტიკური საკითხების განხილვას საჭიროებს.

მოხსენებაში აღნიშნულია ის ფაქტი, თუ რატომ ვეღარ/აღარ აღნიშნავენ სასოფლო დღესასწაულებს დისეველები 2008 წლის ომის შემდგომ. დამუშავებულ

ეთნოგრაფიულ მასალაში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ამის მიზეზად მატერიალურ სიდუხჭირესთან ერთად, სოფელთან ფიზიკურად გაწყვეტილ კავშირს ასახელებენ. სწორედ ამიტომ, აღარ თვლიან საჭიროდ რომ იმ ადგილიდან მოშორებით დღესასწაულები აღნიშნონ, ასევე საუბარია სოფელ დისევში გათხოვილი ოსი მთხრობელების ნათლობის შესახებ და შესაძლოა ითქვას, რომ მათთვის ნათლობა გარკვეულწილად ქართველ ხალხთან კავშირის, მსგავსების სახეა.

მოხსენების დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც დევნილ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას საშუალებას მისცემს ჩაერთონ კულტურულ ცხოვრებაში და სხვადასხვა კულტურული აქტივობების საშუალებით ჰქონდეთ უწყვეტი კავშირი ოკუპირებულ რეგიონში არსებულ მემკვიდრეობასთან, რომ დავიწყებას არ მიეცეს.

**Mariam Lomsadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## Ethnographic Life of the Occupied Tskhinvali Region

The presentation “Ethnographic Life of the Occupied Tskhinvali Region” discusses the traditional way of life of the population forcibly displaced as a result of the war in August 2008. Studying and collecting ethnographic material from different regions of the country is always interesting and important. This interest is especially heightened when it concerns part of the country’s occupied territory. The introductory section of the presentation addresses the ethnographic scene of the village of Kekhvi in the Didi Liakhvi Valley, identified as part of the project “Protection of Intangible Heritage of Occupied Regions.” The village of Kekhvi had a rich heritage. After the war in August 2008, the issue of communication between internally displaced persons and cultural heritage monuments became urgent. The border (a barbed-wire fence) complicated involvement in religious rituals. For people whose religious rituals and the physical infrastructure they represented were synonymous with the land, the absence of a physical marker became disorienting. The population forcibly left their homes and settled in various cities or villages on territories controlled by the Georgian administrative authority, far from their original homes. Relocation brought a demand for the renewal, forgetting, or creation of new religious practices. The religious practices of the inhabitants of the Didi Liakhvi

Valley became detached from their original territory and transformed into markers of identity consolidation in their new geographic area. Despite the fact that the population is unable to return to their villages, they strive to continue the traditions that they had always celebrated there.

The concluding section of the presentation discusses the living conditions of the ethnically Georgian and Ossetian populations displaced from the village of Disevi (in the Patara Liakhvi Valley), who have resettled in the villages of Berbuki and Skra. Based on qualitative data obtained from ethnographic research conducted among the Georgian and Ossetian populations in these resettlements, it is revealed that daily affective experiences significantly influence the everyday life, cohabitation, religious practices, and food culture of the forcibly displaced persons.

All people—both Georgian and Ossetian—were left on the other side of the occupation line. The majority of families displaced from the village of Disevi represent mixed (Georgian-Ossetian) households. A large portion of ethnically mixed families in eastern Georgia consisted of Georgian-Ossetian couples. The precondition for this was primarily the fact that these people lived together in the same space. Beyond blood relations, Georgians also had Ossetian (nurtured together by the same nurse). Their relationships were also bonded through godparenthood. The presentation examines the practice of Georgian-Ossetian coexistence both before and after the war in 2008 (including religious life, food culture, marriage, and labor mutual aid). It is significant that, despite the post-conflict period, the tradition of celebrating various holidays together, although not as widespread as before, still persists in displaced communities.

The presentation also addresses the current situation of Georgian-Ossetian families who are separated from their native side and explores the emotional aspects of their situation, the transformation of shared traditional cultural elements, and the process of adapting to new living conditions. Based on the collected ethnographic material, the presentation demonstrates and confirms that the Ossetians living in the village of Disevi shared Georgian culture during the period of coexistence with Georgians, up until the last days of village life (until 2008). As storytellers point out, during various agricultural activities, they constantly helped each other, and this way of life was quite enjoyable for them. However, after the war in August 2008, many things changed due to the conflict. First and foremost, an occupation dividing line appeared between the Ossetians and Georgians, and a barrier emerged in their interactions, manifesting in the fact that they no longer speak openly about problems that require the discussion of historical or political issues.

The presentation also explains why the people of Disevi can no longer celebrate rural holidays after the war in 2008. According to the ethnographic material, this is due not only

to material deprivation but also to the physical disconnection from the village. Therefore, they no longer see the need to celebrate holidays far from their original location. Additionally, the presentation discusses the baptism of Ossetian narrators who were married into the village of Disevi, and it can be said that, for them, baptism is in some ways a symbol of connection and similarity with the Georgian people.

The concluding part of the presentation will outline important initiatives that will enable displaced populations, particularly the younger generation, to engage in cultural life and maintain continuous ties with the heritage in the occupied region through various cultural activities, ensuring that it is not forgotten.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


ი. ბაგრატიონი, 1986: ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, 1986, გვ. 37-38;

Bagrationi, 1986: Bagrationi, Ioane. Description of Kartli-Kakheti, Tbilisi, 1986, pp. 37-38;

ვ. ბაგრატიონი, 1997: ბაგრატიონი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ,,მეცნიერება" თბილისი, 1997, გვ. 22;

Bagrationi, 1997: Bagrationi, Vakhushti. Geography of Georgia, "Metsniereba," Tbilisi, 1997, p. 22;

გაზეთი ,,ივერია", 1890, N210;

Newspaper "Iveria," 1890, No. 210;

ვ. ბაგრატიონი, 1941: ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ,,უნივერსიტეტის გამომცემლობა" თბილისი, 1941, გვ. 70;

Bagrationi, 1941: Bagrationi, Vakhushti. Description of the Kingdom of Georgia (Geography of Georgia), "University Publishing House," Tbilisi, 1941, p. 70;

თ. ჟორდანია, 1897: ჟორდანია თედო, ,,ქრონიკები", II, ტფილისი, 1897, გვ. 334;

T. Jordania, 1897: Jordania, Tedo. Chronicles, Vol. II, Tiflis, 1897, p. 334;

ი. მეგრელიძე, 1997: მეგრელიძე იოსებ, სიძველეები ლიახვის ხეობაში: პატარა ლიახვის, ფრონის, ფაწისა და ჯეჯორის ხეობები, გვ. 30-31;

Megrelidze, 1997: Megrelidze, Ioseb. Antiquities in the Liakhvi Valley: The Valleys of Patara Liakhvi, Prone, Patisa, and Jejori, pp. 30-31;

რადიო თავისუფლება, 2008 წელი https://bit.ly/3XQPwYh.

Radio Free Europe/Radio Liberty, 2008: https://bit.ly/3XQPwYh.

ს. მაკალათია, 1971: მაკალათია სერგი, ლიახვის ხეობა, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1971, გვ. 65;

S. Makalatia, 1971: Makalatia, Sergi. Liakhvi Valley, Soviet Georgia, Tbilisi, 1971, p. 65;

**სალომე ქასაბიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# „ოკუპაცია და მემკვიდრეობა - პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“

მოხსენება „ოკუპაცია და მემკვიდრეობა - პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“ მიმოიხილავს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არსებულ საფრთხეებს, როგორც საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მემკვიდრეობასთან მიმართებით და ასევე საკითხთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

საფრთხეები, რომლებიც არსებობს დღეს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არის არაპროგნოზირებადი, დღევანდელმა მსოფლიო მოვლენებმა დაგვანახა, რომ კულტურული მემკვიდრეობა შესაძლოა, ნებისმიერ დროს, სხვადასხვა კატასტროფის რისკის წინაშე აღმოჩნდეს, ეს იქნება ბუნებრივი საფრთხეები, თუ ადამიანური ფაქტორებით განპირობებული. თანამედროვე ეპოქაში ერთხელ უკვე ომ გამოვლილი კულტურული მემკვიდრეობა დროულად საჭიროებს უსაფრთხოების სწორ სისტემასა და გრძელვადიანად შენახვა-დაცვის პირობების გაუმჯობესებას.

მოხსენების დასაწყისში აღნიშნულია, საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რისკების მართვის და კატასტროფებისათვის მზადყოფნის გეგმის შემუშავების მხრივ პირველი მასშტაბური პროექტი - „გორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა“, რომელიც 2020-2022 წლებში სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტისა და ფონდ „ALIPH”-ის (კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ალიანსი) დაფინანსებით განხორციელდა.

სწორედ ეს პროექტი გახდა საფუძველი მოხსენებაში წარმოდგენილი კვლევისა, რომელიც ეხება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე შიდა ქართლის მსხვილი, რეგიონალური მუზეუმების - კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის, ხაშურისა და ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მზადყოფნას საგანგებო სიტუაციების დროს. კვლევის მიზანი იყო, თუ რა სახის მზადყოფნა გააჩნდათ რეგიონალურ მუზეუმებს საგანგებო სიტუაციების დროს, როგორი იყო მათი უსაფრთხოების სისტემა, კოლექციების შენახვა-დაცვის პირობები, კატასტროფის რისკებთან და მოსალოდნელი საფრთხეების მიმართ ბრძოლის გზები. კვლევა მოიცავდა თითოეული მუზეუმის უსაფრთხოების სისტემის

დადგენას ანკეტირების საშუალებით, საფრთხეებისა და რისკების ხარისხის კატეგორიების დადგენას რისკების შეფასების ცხრილების გამოყენებით. ამასთანავე, კატასტროფების ისტორიებმა, მათ შორის 2008 წლის საომარი კონფლიქტის ისტორიებმა, ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩინა ის, თუ რა მწირი ბერკეტი გააჩნიათ მუზეუმებს რისკებთან საბრძოლველად. კვლევამ ცხადყო მუზეუმების მნიშვნელობა რეგიონისა თუ ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, ასევე ყოველმხრივ სავალალო სამუზეუმო ყოფა.

ამ საკითხს შეეხება კიდევ ერთი წარმატებული პროექტი - კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების კოლექციების წინასწარული კვლევა, რომელიც 2023-2024 წლებში ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტისა და ფონდ „ALIPH"-ის (კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ალიანსი) დაფინანსებით განხორციელდა. კვლევამ მოიცვა კასპის მუნიციპალიტეტის 4 მუზეუმი - კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ჯამბაკურ ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი და გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი. პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაშია, რისკების მართვისა და უკეთესი სამუზეუმო გარემო-პირობების შექმნის მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არსებული საფრთხეები გასათვალისწინებელია, როგორც საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არსებულ კულტურულ ობიექტებთან, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მემკვიდრეობასთან მიმართებით.

მოხსენების შემდგომი საკითხი შეეხება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში არსებული მემკვვიდრეობის მდგომარეობას ოკუპაციის პირობებში. საკითხი მოიცავს ძირითადად საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებულ და შემდგომში დაზიანებულ მუზეუმებსა და მათში დაცული მემკვიდრეობის მიმართ არსებულ საფრთხეებს, რომელიც მიმოხილულია დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალისა და საქართველოს ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით (2018-2022 წწ.). მოხსენებაში მუზეუმებიდან წარმოდგენილია ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ახლა უწოდებენ „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმს"); ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი სოფელ თამარაშენში (დანგრეული); ახალგორის მუზეუმი, ქსნის ერისთავების სასახლეში; დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი ქურთაში (დანგრეული). ეს უკანასკნელი, დღეს ფუნქციონირებას განაგრძობს გორის დევნილთა დასახლებაში, რომლის ამჟამინდელი სამუშაო დაკავშირებულია კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ადგილობრივ თემში.

მოხსენების დასკვნითი ნაწილი ეთმობა სწორედ, დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალისა და საქართველოს ლურჯი ფარის ეროვნული

კომიტეტის მიერ გაწეულ საქმიანობებს უცხოელი პარტნიორების დახმარებით, ოკუპირებული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით. ამ ნაწილში მიმოხილულია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მემკვიდრეობის კვლევის, მონიტორინგისა და ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო ღონისძიებები. ამასთანავე, პარალელურად წარმოდგენილია ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით ციფრული ინოვაციური პროგრამები და აღნიშნულია მათი მნიშვნელობა და ქმედითიანობა თანამედროვე სამყაროში.

**Salome Kasabishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## “Occupation and inheritance - Problems and Ways to Solve them

The report “Occupation and Heritage - Problems and Ways to Solve them” reviews threats to cultural heritage both near the occupation line and in relation to heritage in occupied territories, as well as measures related to the issue. The threats that exist today to cultural heritage are unpredictable. Today’s world events have shown us that cultural heritage may be at risk of various disasters at any time, whether they are natural hazards or caused by human factors. In the modern era, the cultural heritage, which has already been in war once, needs a proper security system and long-term preservation conditions.

At the beginning of the report, it is mentioned that the first large-scale project in terms of developing a plan for the protection of cultural heritage, risk management and preparedness for disasters in the vicinity of the occupation line - “Planning of measures necessary for the protection of the cultural heritage of Gori”, which will be held in 2020-2022 in the Historical and Ethnographic Museum of Gori named after Sergi Makalatia It was financed by the National Committee of  Blue Shield of Georgia and the “ALIPH” Foundation (International Alliance for the Protection of Cultural Heritage in Conflict Regions).

It was this project that became the basis of the research presented in the report, which concerns the preparedness of the large, regional museums of Shida Kartli near the occupation line - Kaspi Giorgi Khorguashvili Regional History Museums, Khashuri and Kareli Regional History Museums during emergency situations. The aim of the research was to find out what kind of preparedness regional museums had during emergency situations, how was their security system, the conditions of storage and protection of collections, the ways of fighting against disaster risks and expected threats. The study involved determining each museum’s

security system through a questionnaire and determining the degree of threat and risk categories using risk assessment tables. At the same time, stories of disasters, including those of the 2008 war conflict, have made clear how little leverage museums have to deal with risks. The research revealed the importance of museums in terms of the development of the region or the country, as well as the miserable existence of museums in every way.

Another successful project is related to this issue - the preliminary research of the collections of museums of the Kaspi Municipality, which was carried out in 2023-2024 with the funding of the National Committee of Blue Shield of Georgia and the "ALIPH" Foundation (International Alliance for the Protection of Cultural Heritage in Conflict Regions). The research covered 4 museums of the Kaspi Municipality - Kaspi Local Lore Museum, Jambakur Orbelian Palace-Museum, Ivane Javakhishvili House-Museum and Giorgi Mazniashvili House-Museum. The project is in a long-term perspective, with the aim of managing risks and creating a better museum environment.

Threats to cultural heritage should be considered, both in relation to the cultural objects in the vicinity of the occupation line, and to the heritage in the occupied territories.

The next issue of the report is about the conditions of heritage in the occupied Tskhinvali region under the occupation. The next issue of the report will concern the situation of mortality in the occupied Tskhinvali region under the conditions of occupation. The issue mainly covers the threats to the museums destroyed and subsequently damaged as a result of hostilities and the heritage preserved in them, which is reviewed according to the report prepared by the Didi Liakhvi Valley Museum-Reserve and the National Committee of the Blue Shield of Georgia (2018-2022). Among the museums in the report, the Tskhinvali Local Lore Museum (now called the "State Museum of South Ossetia"); House-Museum of Ivane Machabli in Tamarasheni village (destroyed); Akhalgori Museum (Palace of the Ksani Valley Eristavs), Didi Liakhvi Valley Museum-Reserve in Kurta (destroyed). The last one continues to function today in the IDP settlement of Gori, whose current work is related to research and educational activities in the local community.

The final part of the report is devoted to the activities carried out by the of the Didi Liakhvi Valley Museum-Reserve and the National Committee of the Blue Shield of Georgia with the help of foreign partners, in order to preserve, protect and popularize the occupied heritage. In this part, the educational measures for researching, monitoring and raising awareness of the heritage of the occupied Tskhinvali region are reviewed. In addition, innovative digital programs for the protection and promotion of the cultural heritage of the occupied Abkhazia region are simultaneously presented and their importance and effectiveness in the modern world are mentioned.

## ბიბლიოგრაფია / BIBLIOGRAPHY


აფხაზეთის ა/რ ისტორიის, კულტურისა და ეთნოლოგიის ვირტუალური მუზეუმი. 2020 წ. https://abkhazia.gov.ge/news/8800/ge

Virtual museum of history, culture and ethnology of Abkhazia. 2020. http://meca.gov.ge/vm/ .

„გორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა“, 2022 წ.

“Planning for the Safeguarding of Cultural Heritage of Gori, Georgia”, 2022. https://blueshield.ge/?p=9611&lang=en .

„კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების წინასწარული კვლევა“, 2023 წ.

Preliminary Study of the Collections at Kaspi Municipality Museums, 2023. https://blueshield.ge/?p=10014&lang=en .

„კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში“. ანგარიში. 2022 წ.

Cultural Heritage in Occupied Tskhinvali Region, Georgia. Report. 2022. https://rb.gy/pdvtk8 .

„ოკუპირებული რეგიონების არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვა“. ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 2022 წ.

“Protection of Intangible Heritage of Occupied Regions”. Blue Shield Georgia, 2022.

https://blueshield.ge/?p=9410&lang=en.

**ნინო ხარჩილავა**

*ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი*

# ტრადიციული ყოფა, მისი ცვლილებები და ეთნოკულტურული პროცესები აფხაზეთში

## (აფხაზეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე აფხაზეთში ეთნიკური განვითარების უწყვე-ტი ხაზი დასტურდება და საისტორიო წყაროების მონაცემებით ერთიანი ქართული კულტუ-რა ყალიბდება, რომელიც ქართული მოდგმის ტომებითაა დასახლებული და მათი ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. XV საუკუნის მეორე ნახევარიდან ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლით ისარგებლეს ჩრდილო კავკასიელმა მთიელებმა და ჩრდილო-დასავლეთით აბაზა - ადიღელების ჩამოსახლება დაიწყო. რის შედეგადაც ამ მხარეში რადიკალური ეთნი-კური ცვლილება მოხდა. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყ-მის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა აფხაზი უწოდეს, ისინი კი თავს აფსუას უწოდებენ. აფხაზეთში მომხ-დარი რადიკალური ეთნიკური ცვლილების - აბაზურ-ადიღეური ტომების ჩამოსახლების შე-დეგად მკვეთრად შეიცვალა აფხაზეთის სოციალურ-კულტურული განვითარება. შეფერხდა აფხაზური (აფსუური) ეთნიკური ჯგუფის ორგანული თანამონაწილეობა ქართულ სახელმწი-ფოებრიობისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით და აქ პირველად გამოჩნდა ქართულ სამყაროსთან აფხაზთა გაუცხოების კვალი. ჩამოსახლებულები თავიანთი პრიმიტი-ული ყოფითა და წარმართული რელიგიით, აშკარად არ არიან იმ აფხაზთა შთამომავალნი, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლო-ბაში მონაწილეობდნენ.

საინტერესოა თანამედროვე ყოფაში აფხაზეთში ტრადიციებისა და დროის ვითარებით სახეცვლილი წეს-ჩვეულებების გამოვლენა, საუკუნოვანი ტრადიციებისა და ინოვაციების შე-თავსების, ურთიერთშეზრდის თავისებურებების წარმოჩენა, მდიდარი სულიერი კულტურის პოპულარიზაცია და მომავალი თაობებისათვის შენახვა და დაცვა.

აფხაზეთში მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტოტებიანი სანთელი, ხშირად თითქმის რეალური ხის ზომის და მასზე შემომჯდარი ფრინველის გამოსახულებით, „ა-კჲა-ლანტარი"-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთი სანთლის ჩამოქნა აფხაზებმა ორმოცზე ან წლისთავზე იცოდნენ. ეს იყო ხელნაკეთი ცვილის სანთელი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა შავი ნაჭრის ფითილი. აფხაზურ ტერმინს ა-კჲალანტარს საფუძვლად უდევს მეგრული სიტყვა „კილანტარი", რომელიც, თავის მხრივ, ქართული „კელაპტარი"-ს შესატყვისია და ბერძნული წარმოშობისაა. კელაპტარი აფხაზებში დასტურდება სხვადასხვა სახელწოდებებით, თუმცა აღწერილობითა და ფუნქციებით დამთავრებული იგი იმეორებს დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებებში გამოყენებულ რიტუალურ საგანს კელაპტარს. თანამედროვე

ყოფაში აფხა-ზეთში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრნობით ეს ტერმინი თითქმის გამქრალია, მიუხედა-ვად იმისა, რომ კელაპტარი მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებაში მონაწილე-ობს, მისი ფუნქციური დატვირთვა შესუსტებულია. აფხაზებში მას ოჯახის წევრები ქალები ამზადებენ, ხოლო ქართველებში იგი აუცილებლად სულიერ ნათესავს - ნათლულს მიაქვს გარდაცვლილის სახელზე. მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა, რაც რიგ შემთხვევაში აძნელებს ზოგიერთი წეს-ჩვეულების თავდაპირველი შინაარსისა და მნიშვნელობის ამოცნობას, მაინც დაცული ჩანს კელაპტრის, როგორც სამგლოვიარო რიტუა-ლური საგნის მნიშვნელობა და მონაწილეობა.

აფხაზეთში დასახლების ძირითად ელემენტს, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, საკარმიდამო კომპლექსი წარმოადგენდა და დასახლების მეგრული ფორმისაგან არ განსხვავდებოდა. აფხაზეთში საცხოვრებელი ნაგებობები კონსტურქციისა და ფორმის თვალსზრისით ორ ძირითად ეტაპად იყო დაყოფილი მრგვალი და ოთხკუთხედი. ძირითად ტიპებს შორის ფორმით რამდენიმე ქვეტიპი გამოიყო, რომელიც აფხაზურ საცხოვრებლებს განვითარებით შეესაბამებოდა (სულ ცხრა ტიპის ნაგებობა), ამ ცხრა ნაგებობებიდან ოთხი საკუთრივ აფხაზურია, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდანაა ჩამოტანილი, ხოლო ხუთი ტიპის საცხოვრებელის დასახელება ქართულია (მეგრული).

როგორც ქართველ, ისე აფხაზ ხალხს საცხოვრებლების აშენების საკუთარი გამოცდი-ლება და ცოდნა გააჩნდათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მსგავსი საცხოვრებელი კომპლე-ქსები შექმნეს, თუმცა, სპეციფიკური თავისებურებებით. ნაგებობანი უმეტესად ხის კონსტრუ-ქციისაა. დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა და კომბინირებული ხასიათი აქვს - ქვითკირი და ხემასალა ერთად არის გამოყენებული. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-აფხა-ზური მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად გარკვეული ელე-მენტების სესხებისა და ურთიერთგაზიარების შემთხვევებიც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. აფხაზეთში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკაში უმრავლესობა ნასესხებია. ამაზე მეტყველებს ტერმინების სესხება ორივე მიმართულებით, მაგრამ განსხვავებული ინტენსივობით. ქართველურიდან (მეგრულიდან) აფხაზურში ნასეს-ხობა დომინირებს ნაგებობებთან დაკავშირებული, რაც კულტურულ-ისტორიული გავლენის გარეშე ვერ მოხდებოდა.

აფხაზეთში მოსახლეობის ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენათა შორის საყურადღებოაინფექციურიხასიათისდაავადებაბატონებიდამასთანდაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ბატონებთან დაკავში-რებით აფხაზეთში მდიდარი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დამოწმებული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითაა განპირობებული. აფხაზეთში ეთნოგრაფიული მასალებით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სხვადასხვა სახის ბატონებია დამოწმებული: თურქი//თურქი ბატონები, აფხაზა//აფხაზი ბატონები, შონ//სვანი ბატონები, ცირა//ქალი ბატონები, ქომოლ// მამაკაცი ბატონები, ბჟა//რძე ბატონები, წყარ//წყალი ბატონები და სხვა. ამ სახეობის ბატონები საქართველოს სხვა კუთხეებში არ ფიქსირდება, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს აფხაზთა რელგიის სინკრეტიზმს. მასში იკვეთება წარმართული, ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიის გავლენის კვალი. აფხაზეთში ბატონებთან დაკავშირებულმა შეხე-დულებებმა ბოლო დრომდე მოაღწია და მასში არქაულ ელემენტებთან ერთად ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალიც აისახა.

აფხაზეთში სამჭედლომ და მასთან დაკავშირებულმა სულიერმა კულტურამ მკვეთრად გამოხატული კონსერვატიული ბუნება აჩვენა და შესაბამისად, რიგი წეს-ჩვეულებებიც ბოლო დრომდე შემოინახა. XV საუკუნიდან აფხაზეთში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული მოსახლეობას უძველესი საქმიანობა, ლითონის დამუშავება და მჭედლობა ჩრდილოეთ კავკა-სიიდან უნდა ჩამოჰყოლოდათ. აფხაზური ნართაული ეპოსის მჭედელი, რომელიც გადმოცე-მის თანახმად მდ. ყუბანის სანაპიროზე ცხოვრობდა, ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ფაქტს, რომ აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან მიგრაციული გზით არიან დამკვიდრებული აფხაზეთის ტე-რიტორიაზე. მიგრანტი აფხაზებიც, როგორც ჩანს კარგად ფლობენ ხელოსნობის ამ დარგს. აფხაზურ და მეგრულ ტრადიციაში ახალი წლის დღესასწაული მჭიდროდ უკავშირდება მჭედლობის კულტს, ეს მის უძველეს, არქაულ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ვლადისლავ არძინბას 1988 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული სტატიაში ავტორი აფხაზურ სამჭედლო ტრა-დიციას მსოფლიო და ჩრდილო-კავკასიურ ფოლკლორთან მიმართებით განიხილავს და არც კი ახსენებს აფხაზურ-მეგრულ პარალელებს, რომელიც რიტუალურ და ენობრივ დონეზეც კი დასტურდება. თანამედროვე აფხაზეთში 14 იანვარი, ოფიციალურად, დასვენების დღეა. წარმარ-თული აჟირნიხუა - მჭედლობის დღესასწაულია და ნიშნავს მსოფლიოს შექმნის (განახლების) დღესასწაულს. აფხაზებში „აჟირნიხუას" აღნიშვნის ერთიანი სტანდარტი არ არსებობს.

აფხაზეთში სამჭედლოს და მჭედელს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მორწმუნე ქრის-ტიანთათვის საყდარსა და მღვდელს. აქედან მომდინარეობს სამჭედლოს, როგორც საკულტო ნაგებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და თაყვანისცემა. სამჭედლო მიჩნეულია, როგორც წმინდა ადგილი, საკულტო ნაგებობა, რომელიც ბარაქიანობისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმება და ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯერ კიდევ შემონახულია.

აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში წმინდა ხის კულტი არსებობ-და. წმინდა ხის ანუ წმინდა ხის ჯიში, რომელსაც თაყვანს სცემდნენ რეგიონების ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სხვადასხვა იყო. აფხაზეთში წმინდა ხეების ქვეშ სრულდებოდა საოჯახო, სასოფლო თუ სათემო ლოცვების დიდი ნაწილი. აქვე ხდებოდა საზოგადოებრივი შეკრებებიც. ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წმინდა მუხის კულტს, სადაც სრულებოდა სხვადასხვა რიტუალები.

აფხაზეთში დღესაც ფუნქციონირებს წარმართული რელიგიური ორგანიზაცია ,,აფხა-ზეთის ქურუმთა საბჭო". აფხაზურ წარმართობის მიმდევრებს რიტუალების ჩასატარებლად შვიდი დიდი წმინდა ადგილი აქვთ, რომელსაც ,,აბჟნიხა" ეწოდება. ყველა აბჟნიხას თავისი ქურუმი ჰყავს. თითოეულ ამ ადგილს მუდმივად ერთი რომელიმე გვარი პატრონობს და რი-ტუალებსაც სწორედ ამ გვარის წარმომადგენელი წარმართავს. მთავარი წარმართული სალო-ცავი გუდაუთის რაიონის სოფელ აჩანდარას სალოცავი ,,დიდრიფშია". დიდრიფშის მთაზე ლოცვას ჩიჩბას გვარის წარმომადგენლები ატარებენ და თაყვანს ხეებს სცემენ. ამ დროისთვის, დიდრიფშ-ნიხას გარდა მოქმედია კიდევ ოთხი: ლაშქენ-დარი, ლდზაა-ნიხა, ლიხნი-ნიხა და ილირ ნიხა. ყველაზე ,,წმინდა ადგილი" გულრიფშის მთაა. იქ მარტო მთავარი ქურუმი ადის. ხეებზე ჩამოკიდებულია შესაწირავები, რომლებზე ხელით შეხებაც არ შეიძლება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხე თავისი მრავლისმომცველი ასპექტით, ქრისტიანუ-ლი სარწმუნოების მიხედვით, საკმაოდ მყარადაა შემორჩენილი -

საკულტო და საწესჩვეულე-ბო რიტუალების სახით. საკულტო რიტუალების გარდა, ხის თაყვანისცემის გადმონაშთს ვხვ-დებით ყოფით ცხოვრებაშიც: ავადმყოფის ტაბლაზე აღმართული ,,ბატონების ხე“, მიცვალე-ბულის სახელზე ჩამოქნილი აკძალანტარი/კელაპტარი. მიცვალებულისა და ხის მარადიული წრებრუნვის ანუ სულის ,,მოჩვენებითი უკვდავების“ ერთგვარი გამოხატულებაა - აფხაზეთში მიცვალებულის ხეზე გადგმა. ხის კულტის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ვაწყდებით მეტნაკ-ლებად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართული წარმარ-თული კულტურის არქეტიპების ბუნებრივი და უმტკივნეულო ჩანაცვლება მოხდა ქრისტია-ნულ ცნობიერებაში, რაც ამგვარი სახისმეტყველებითი ასპექტით გამოისახა უძველეს სასული-ერო ძეგლებში.

აშკარაა ქართულ-აფხაზური ტრადიციების საერთო წარმომავლობა და თანაარსებობის ისტორია საუკუნეების განმავლობაში. ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა დიდმა ნაწილმა საუკუ-ნეების მანძილზე დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება და გადმონაშთების, მცირე ფრაგმენტების სახით შემორჩა. აფხაზეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოგვინახა არაერთი არ-ქაული წეს-ჩვეულება, რომელშიც თავს იჩენს ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტი. ეთნოგრაფიული მასალის კვლევა, ზოგჯერ იძლევა საშუალებას დავა-დასტუროთ ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა და მისი ფუნქციონალური დატვირთვა.

**Nino Kharchilava**

*Batumi Art Teaching University*

# Traditional existence, its changes, and ethnocultural processes in Abkhazia (Based on Ethnographic Materials from Abkhazia)

From ancient times to the present, there has been a continuous line of ethnic development in Abkhazia. Historical sources confirm the formation of a unified Georgian culture, which has been inhabited by tribes of Georgian origin, whose lineage is well-established. However, from the second half of the 15th century, the disintegration of the united Georgian kingdom allowed North Caucasian mountaineers to exploit the situation, leading to the settlement of the Abaza-Adyghe people in the northwest region. This resulted in a significant ethnic transformation in the area. The modern Abkhazian (Apsua) ethnicity emerged from the fusion of these settlers with the local population. The Georgians referred to this new ethnic group as Abkhaz, while the group itself identifies as Apsua. This radical ethnic change, driven by the arrival of the Abaza-Adyghe tribes, dramatically altered the socio-cultural landscape of Abkhazia. The participation of the Abkhazian (Apsu) ethnic group in the development of the Georgian state and culture was interrupted, revealing the first signs of alienation of the Abkhazians from the Georgian world. The newcomers, who lived a more primitive lifestyle and adhered to pagan

beliefs, were distinctly different from the Abkhazians who had previously contributed to the cultural and political development of the feudal state of Georgia.

It is fascinating to explore how traditions and customs in modern Abkhazia have evolved due to changing circumstances. This includes examining the blend of centuries-old practices with contemporary innovations, highlighting the mutual growth and popularization of a rich spiritual culture, as well as the efforts to preserve and protect these traditions for future generations.

In Abkhazia, there is a candle known as "A-kya-lantari," which is associated with the cult of the dead. This candle is often nearly the size of a real tree and features an image of a bird perched on top. Abkhazians traditionally light this candle on the fortieth day or anniversary of a death. It is a handmade wax candle wrapped in a black cloth wick. The term "A-kyalantar" is derived from the Mingrelian word "Kilantari," which corresponds to the Georgian term "Kelaptari" and has Greek origins. The name "Kelaptar" is recognized among Abkhazians in various forms; however, its description and functions align with the ritual object used in burial and mourning practices, the "Kelaptar." According to scientific literature in Abkhazia, this term has nearly disappeared in modern times. Despite the Kelaptar's role in customs related to the deceased, its functional significance has diminished. In Abkhazia, family women prepare this candle, whereas, among Georgians, it is typically given to a spiritual relative—often a godchild—in the name of the deceased. Although changes over time can obscure the original meanings and significance of some customs, the importance of the Kelaptar as a funeral ritual object still appears to be preserved.

The primary element of settlement in Abkhazia, similar to other regions of Western Georgia, was the homestead complex, which resembled the Mingrelian form of settlement. Residential buildings in Abkhazia can be categorized into two main styles based on their construction and shape: round and square. Within these primary categories, several subtypes corresponding to Abkhazian dwellings were identified, totaling nine building types. Of these, four are distinctly Abkhazian structures that originated from the North-West Caucasus, while the names of the remaining five types are Georgian (Mingrelian).

Both the Georgian and Abkhaz people have their own unique experiences and knowledge when it comes to building houses. Despite this, they have created similar residential complexes, each featuring distinct characteristics. Most buildings are constructed from wood, evolving over time to incorporate a combination of materials, such as white lime and wood. It's important to note that the cultural and historical relationship between the Georgian and Abkhaz populations has led to the borrowing and sharing of certain architectural elements. In Abkhazia, many terms related to residential and commercial buildings have been borrowed from Georgian, highlighting the vocabulary exchange in both directions, albeit with varying intensity. Specifically, terms related to buildings from Kartvelian (Mingrelian) are prevalent in Abkhaz, which indicates a significant cultural and historical influence.

Among the traditional beliefs of the population in Abkhazia, the infectious disease known as "Batonebi" and the customs associated with it are particularly noteworthy. This phenomenon is widespread in nearly all regions of Georgia. In Abkhazia, there are rich beliefs and customs related to different types of "Batonebi," which highlight the unique nature of these ailments. Ethnographic research conducted in Abkhazia since the 1990s has identified various categories of "Batonebi," including Turkish//Turkish Batonebi, Abkhaza//Abkhaz Ba-

tonebi, Shon//Svan Batonebi, Tsira/Female lords Batonebi, Komol//Male Batonebi, Bzha//Milk Batonebi, and Tskar//Water Batonebi. These classifications are not found in other parts of Georgia, underscoring the syncretic nature of the Abkhazian religion. The beliefs surrounding these Batonebi reflect the influences of paganism, Christianity, and Islam. Additionally, while these views have persisted into modern times, they exhibit both archaic elements and traces of Christian influence.

Blacksmithing in Abkhazia, along with the associated spiritual culture, has exhibited a distinctly conservative nature, resulting in the preservation of several customs up until recent times. Since the 15th century, populations migrating from the North Caucasus brought with them ancient activities, including metalworking and blacksmithing. The blacksmith featured in the Abkhazian narrative epic, who lived along the banks of the Kuban River, further emphasizes that the Abkhazians settled in Abkhazia through migration from the North Caucasus. These migrant Abkhazians were well-versed in this craft. In both Abkhazian and Mingrelian traditions, the New Year holiday is intricately linked to the cult of blacksmithing, underscoring its ancient, archaic origins. In Vladislav Ardzinba's 1988 article published in Moscow, he discusses the Abkhaz blacksmithing tradition in relation to global and North Caucasian folklore. However, he does not mention the parallels between Abkhazian and Mingrelian traditions, which can be evidenced at both the ritual and linguistic levels. In modern Abkhazia, January 14 is officially celebrated as a holiday known as Azhirnikhua, which translates to the blacksmith's holiday, symbolizing the creation (or renewal) of the world. There is no uniform way of celebrating Azhirnikhua across Abkhazia.

In Abkhazia, the forge and the blacksmith hold significance akin to that of a church and a priest for devout Christians. Consequently, the forge is regarded as a sacred place, functioning as a cult building that symbolizes prosperity and fertility. This reverence for the forge is still reflected in the region's living ethnographic traditions.

Similarly, in Abkhazia and other parts of Georgia, a cult surrounds sacred trees. The specific type of sacred tree worshipped varied according to the region's natural conditions. In Abkhazia, many family, village, or community prayers take place beneath these sacred trees, which also serve as venues for public gatherings. One notable aspect of folk beliefs is the cult of the holy oak, where various rituals were conducted.

A pagan religious organization known as the "Afkhazian Priests' Council" continues to function in Abkhazia today. Adherents of Abkhazian paganism maintain seven large sacred sites called "Abzhnikha" for performing rituals. Each Abzhnikha is overseen by a priest, and these sacred locations are permanently owned by specific families, with rituals conducted by a representative of the family responsible for that site. The main pagan shrine, "Didrifshia," is located in the village of Achandara in the Gudauti district and is situated on Didrifshi mountain. The Chichba family performs prayers at Didrifshi Mountain and worships the trees there. In addition to Didrifshi, four other Abzhnikha are currently active: Lashkendri, Ldzaa-Nikha, Likhni-Nikha, and Ilir Nikha. The most sacred site of all is Gulrifshi Mountain, accessible only to the main priest. Offerings are hung from the trees at this site and are not to be touched with hands.

The idea of the tree holds significant meaning within Christian beliefs, particularly as it is intertwined with various cultic and customary rituals. Beyond these rituals, remnants of tree worship can be found in everyday life, such as the "tree of Batonebi" placed on a small

table beside a sick person, often folded in honor of the deceased. In Abkhazia, placing the deceased near a tree symbolizes the eternal cycle connecting the departed soul and the tree, reflecting an idea of “illusory immortality.” Across nearly all regions of Georgia, we observe different interpretations of the wood cult, suggesting that the archetypes of Georgian pagan culture have smoothly and naturally integrated into Christian consciousness. This blending is visually represented in ancient religious monuments.

The shared origins of Georgian and Abkhazian traditions and their centuries-long coexistence are evident. Over time, many traditional customs have lost their original significance and now exist as remnants or small fragments. The ethnographic landscape of Abkhazia has preserved several archaic customs that reflect aspects of the religious beliefs of the Georgian people. Research into ethnographic materials can sometimes confirm the existence of particular customs and reveal their functional purposes.

## ბიბლიოგრაფია/ BIBLIOGRAPHY

აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, გამომცემლობა ,,მატიანე“. თბ., 1991.

აბაკელია ნ., საკრალური ხე და მისი ალომორფული ვარიაციები - დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. - კრ.: კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIII, თბილი-სი, 2009.

ანთელავა ნ. მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბ., 2006.

ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბარ-ბაბარ), თბ., 2006.

ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011.

გიორგაძე პ. აფხაზეთი და აფხაზნი (საეთნოგრაფიო აღწერა), თბ., 2011.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ინწკირველი ე. სამჭედლოს სოციალურ-რელიგიური ასპექტები აფხაზურ-ქართულ მითო-რელიგიურ სისტემაში, კრ: წელიწდეული, ტ. XIV, ქუთაისი., 2022.

მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. გამომცემლობა ,,საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება“. თბ., 1941.

ხაშიგი ი. https://jam-news.net/ge/adjirnikhua-afkhazetshi-akhali-ambebi-dzvelit-akhali-weli-mchedlis-dghesaswauli-msoflios-sheqmna-ganakhleba/, (2021), (დამოწმებული: 29.06.2024).

ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.

ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1996.

ხორავა ბ., ეთნიკური პროცესები აფხაზეთში, კრ: საქართველოში არსებული კონ-ფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, თბ., 2009.

ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, შრომები VI, თბ., 1988.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.

ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.

Ардзинба В., К истории культа железа и кузнечного ремесла (почитание кузницы у абхазов). Древний Восток: этнокультурные связи, 1988.

Ломтатидзе К. В., Абхазский язык. Языки народов СССР, 4, М., 1967.

Малия Э. М., Древо-свечи в погребальной обрядности абхазов//Кавказ: история, культура, традиции, языки. По материалам Международного научного Конференция, посвященная 75-летию Абхазского института Гуманитарные исследования им. А. Д. И. Гулиа, АНА 28-31 мая 2001 г. Сухум, 2003.

Зельницкая Р. Ш., Ботяков Ю. М., Современная поминальная обрядность у абхазов, 2009.

Зельницкая (Шларба) Р. Ш., Влияние трансформасии Абхазского общества в XX в. на изменения в похоронно-поминальной обрядности в современной Абхазии, 2013.

Шиллинг Е. М., Абхазы//Религиозные верования народов СССР, т. II, М.-Л., 1931.

Хашба М., Жанры Абхазской народной музики. Сух., 1983.

Хашба А. Семейные праздники Традиции и современность История Археология и Этнография Кавказа Т. 14, №1, ,,Издание Института истории, Археологии, Этнографии Дагеста-нского научного центра РАН“ . Дагестан, 2018.

Abakelia N., Alaverdashvili K., Ghambashidze N., Calendar of Georgian folk days, ,,Matiane” publishing house. Tb., 1991.

Abakelia N., Sacred tree and its allomorphic variations-burial and mourning rules in Georgia. - Collection: Caucasian-Middle Eastern Collection, XIII, Tbilisi, 2009.

Antelava N., Myths, Rituals, Symbols, Tb., 2006.

Bardavelidze V., From the History of the Ancient Religion of the Georgians (The Deity BarBar-Babar), Tbilisi, 2006.

Bakhia-Okruashvili S. Ethnology of Abkhazians, Tbilisi, 2011.

Giorgadze P., Abkhazia and Abkhazians (Ethnographic description), Tbilisi, 2011.

Vakhushti Batonishvili, Description of the Kingdom of Georgia, Tbilisi, 1941.

Intskirveli E. Socio-religious aspects of Samchedlo in the Abkhazian-Georgian mytho-religious system, Collection: Aniltsdeuli, Vol. XIV, Kutaisi, 2022.

Makalatia S., History and ethnography of Samegrelo. Publishing House “Georgian Regional Studies Society”. Tbilisi, 1941.

Khashigi I., https://jam-news.net/ge/adjirnikhua-afkhazetshi-akhali-ambebi-dzvelit-akhali-weli-mchedlis-dghesaswauli-msoflios-sheqmna-ganakhleba/, (2021), (verified: 29.06.2024).

Lortkipanidze M., Abkhazians and Abkhazia, Tbilisi, 1990.

Khorava B., Odisha-Abkhazia Relations in the 15th-18th Centuries, Tbilisi, 1996.

Khorava B., Ethnic processes in Abkhazia, kr.: Current conflicts and prospects for peace

in Georgia, Tbilisi, 2009.

Janashia S., Giorgi Sharvashidze, Cultural-Historical Essay, Works VI, Tbilisi, 1988.

Monuments of Georgian Law, Vol. III, Tbilisi, 1970.

Kaukhchishvili T., Ancient Greek sources of the history of Georgia Tbilisi, 1976.

Anchabadze Z. V., From the history of medieval Abkhazia (VI-XVII centuries), Sukhumi, 1959.

Ardzinba V., On the history of the cult of iron and blacksmithing (veneration of the forge among the Abkhazians). Ancient East: ethnocultural connections, 1988.

Lomtatidze K. V., Abkhazian language. Languages of the peoples of the USSR, 4, M., 1967.

Malia E. M., Tree-candles in the funeral rites of the Abkhazians//Caucasus: history, culture, traditions, languages. Based on the materials of the International Scientific Conference dedicated to the 75th anniversary of the Abkhazian Institute of Humanitarian Research named after A. D. I. Gulia, ANA May 28-31, 2001 Sukhum, 2003.

Zelnitskaya R. Sh., Botyakov Yu. M., Modern funeral rites among the Abkhazians, 2009.

Zelnitskaya (Shlarba) R. Sh., The influence of the transformation of Abkhazian society in the 20th century on changes in funeral and funeral rites in modern Abkhazia, 2013.

Schilling E. M., Abkhazians//Religious beliefs of the peoples of the USSR, vol. II, Moscow-Leningrad, 1931.

Khashba M., Genres of Abkhazian folk music, Sukhumi, 1983.

Khashba A. Family holidays Traditions and modernity History Archeology and Ethnography of the Caucasus Vol. 14, No. 1, ,,Publication of the Institute of History, Archeology, Ethnography of the Dagestan Scientific Center of the Russian Academy of Sciences“. Dagestan, 2018.

## Who is who

## ლექტორების შესახებ

## About Lecturers

**ზურაბ პაპასქირი**



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998), რუსთაველის სტიპენდიანტი (2010), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

მისი სამეცნიერო ინტერესები აფხაზეთის ისტორიის კვლევასთანაა დაკავშირებული. დაცული აქვს სადისერტაციო ნაშრომები თემებზე: „საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა XI-XII საუკუნეებში" და „შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. X ს. 70-იანი – XI ს. 80-იანი წლები".

ზურაბ პაპასქირი არის 230-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიები და წიგნები: „У истоков грузино-русских политических взаимоотношений" (1982), „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი"; „აფხაზეთი საქართველოა" (1998), „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან" (ნაკვ. I. 2004, ნაკვ. II. 2007); „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" (2009); „Абхазия. История без фальсификации" (2010); „Моя Абхазия. Воспоминания и размышления" (2012); „საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა" (2016).

ელ-ფოსტა/e_mail: zpapaskiri@gmail.com

**Zurab Papaskiri** – Dr. Habil. of Historical Sciences, Professor of Sokhumi State University, the Chairman of the Abkhazian Organization of Ekvtime Takaishvili Historical Society of Georgia, the laureate of Giorgi Sharvashidze State Prize (1998), Rustaveli Foundation Scholarship winner (2010), the owner Order of Honour (2013).

Born in 1950 in Zugdidi; in 1972 he graduated with honors the Faculty of History of Tbilisi State University. From 1972 to 1975, he was a post-graduate student of the Lomonosov Moscow State University where he received a PhD in history for his thesis: "Georgia and Eastern Europe in $11^{th}$-$12^{th}$ centuries." In 1991 he received his habilitation on the following thesis: "International Situation of Medieval Georgia. 970s – 1080s." In 1994 he was awarded the title of Professor. From 1976 Zurab Papaskiri has worked at Sukhumi State Pedagogical Institute (Since 1979 – Abkhazian State University) on the position of a teacher, docent and as a Deputy Chair. In 1989-2005 he was the Chair of History of Georgia at Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. He also was the Deputy Director in Research. After the transformation of the institution to Sokhumi State University (2007), he was the Head of Scientific-Research Repartment (until 2019). In 1994-2006 he also worked in the Research Centre of the History of Georgian State and Popular Diplomacy at Ivane Javakhishvili Tbilisi State University and was the Deputy Head of the Centre.

Zurab Papaskiri is the author of about 230 scholarly publications, from which should be highlighted the following monographs and books: "At the Origins of the Georgian-Russian Relations" (1982, in Russian); "Emergence of United Georgian Feudal State and Some Questions of Georgia's Foreign-Policy Status" (1990, in Georgian); "Abkhazia is Georgia" (1998, in Georgian); "Studies in History of Present-Day Abkhazia" (Part I, 2004, Part II, 2007); "And Georgia Has Risen from Nikopsia to Daruband" (2009, in Georgian); „Abkhazia. Unfalsified History (2010, in Russian); "My Abkhazia. Memoirs and Recollections" (2012, in Russian); "Georgia. Historical Past and Present" (2016, in Georgian).

**თეიმურაზ გვანცელაძე**



აფხაზური ენის სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი და იყო მისი დირექტორი. არის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების ცენტრის აფხაზეთის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი.

გამოქვეყნებული აქვს 350 სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 29 წიგნი). შედგენილი აქვს აფხაზური ენის სახელმძღვანელოები, ელექტრონული სასწავლო პროგრამები და ამ ენის შესასწავლად აუცილებელი თვალსაჩინოებანი. არის აფხაზური ენის რამდენიმე ვიდეოლექციის ავტორი.

ელ-ფოსტა/e_mail: gvantseladzet@gmail.com

**Teimuraz Gvantseladze**

Was born on September, 27, 1951

In 1974 graduated from Tbilisi State University, department of Caucasian languages at the faculty of Philology.

In 1974-78 studied at the faculty of graduate studies at the Institute of Linguistic at the Academy of Science of Georgia (academic adviser – Academician Qetevan Lomtatidze).

In 1982 he supported his thesis and became a Candidate of Science. In 1997 he took the second doctorate and became a Doctor of Philosophy.

In 1977 -2009 he worked at the Arnold Chikobava Institute of Linguistics (now Arnold Chikobava Institute of Linguistics at Tbilisi State University) at the department of Iberian-Caucasus Languages of Mountainous regions. From 2017 up to now is the leading research expert of the same department.

From 1998 he works at Sokhumi State University. Till 2008 was the visiting professor at the Faculty of philology.

In 2008-2027 worked as a director, in the founded by him, the Institute of Abkhaz Language and Culture at Sokhumi State University. From 2010 he has been the head of the bachelor's program in Abkhaz Philology.

In 2018 he was elected as a professor at the Faculty of Humanities at Sokhumi State

University and was elected as the head of the center of Peace Education in the study of Abkhaz questions.

He gave course of lectures on the Abkhaz and Georgian languages, General linguistics and in other disciplines of Caucasiology at various universities.

He has published 350 scientific works (among them 29 books). He is the author of course books in the Abkhaz Language, electronic study programs and the visual materials necessary for studying this language. He is the author of a number of video lectures on the Abkhaz Language.

On April 9, 1991 as the member of the Supreme Council (Parliament) of the Republic of Georgia he signed the Act of Restoration of State Independence of Georgia.

**სალომე ბახია-ოქრუაშვილი**



კავკასიოლოგი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩართული კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეების საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში. იკვლევს ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოლოგიას. მისი სადისერტაციო თემა ეხებოდა აფხაზურ პატრონიმიას, იკვლევს აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემებს, აფხაზთა ეთნოლოგიას, შესწავლილი და დამუშავებული აქვს აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი. არის მრავალი საგრანტო პროექტის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილე. არის 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიები, სტატიები, სასკოლო სახელმძღვანელოები) ავტორი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მიღებული აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი.

ელ-ფოსტა/e_mail: salomebakhia@gmail.com

**Salome Okruashvili-Bakhia**

Caucasologist, ethnologist, Doctor of Historical Sciences, Chief Researcher of the Institute of History and Ethnology, Iv. Javakhishvili Tbilisi State University.

Over the years she was actively involved in the field ethnographic expeditions in the different parts of the Caucasus and Georgia. She studies the ethnology of the Georgian and Caucasian peoples. The topic of her dissertation was Abkhazian patronymic, she studies

the problems of Abkhazian ethnic history, Abkhazian ethnology, she has studied and developed a dictionary of Abkhazian-Georgian ethnographic terms. Participated in many projects, local or international symposia and conferences. She is author of more than 90 scientific papers (monographs, articles, textbooks) in Georgian, Russian and English.

Salome Okruashvili-Bakhia has received an honorary diploma of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia.

E-mail: salomebakhia@gmail.com

**სოფიო კეკუა**

ფილოლოგიის დოქტორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ



მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრის ასოცირებული მკვლევარი და მოწვეული ლექტორი, ხოლო 2019 წლიდან მოწვეული ლექტორი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე.

სოფიო კეკუას სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკის საკითხები; ოდიშ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ გვარ-სახელთა სტრუქტურული მოდელები; აფხაზეთის ქართველური ანთროპონიმები; თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ენობრივი საკითხები.

იგი არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენეციებში; მას აქვს პედაგოგიური სამუშაო გამოცდილება აფხაზეთის №12 საჯარო სკოლაში.

ელ-ფოსტა/e_mail: sofokekua@gmail.com

**Sophia Kekua**

Doctor of Philology. Researcher and guest lecturer of the Georgian Studies Center of the School of Sciences and Law at the Saint Andrew The First-Called Georgian University (SANGU).

Since 2019 guest lecturer of the Faculty of Humanities of the Gori State University.

Sophia Kekua's field of scientific interests is: Onomastics of Odishi-Abkhazia; structural models of surnames spread on the territory of Odishi-Abkhazia; Georgian anthroponyms in Abkhazia; Language issues of the descendants of Georgian emigrants/Muhajirs living in Turkey.

She is the author of several scientific articles. has taken part in local and international conferences

E-mail: sofokekua@gmail.com

**შალვა გლოველი**



ისტორიის დოქტორი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში (სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე);

შალვა გლოველის სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თემაზე: „აფხაზთა სამეფო".

მას ნაკვლევი აქვს საკითხები: ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან; ბედია; „აფხაზთა სამეფო"; ქართველ პოლიტიკოსთა ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის; „აფხაზთა სამეფო" და „მამასახლისის" ინსტიტუტი; „აფხზათა სამეფო" და სენიორალური სისტემა; ეგრისის სამეფო; საქართველოში „თანამეფობის" ინსტიტუტის ისტორიიდან; დასავლურ-ქართული სახელმწიფოს „აფხაზთა სამეფოს" ჩამოყალიბება (პრობიზანტიური და ანტიბიზანტიური პოლიტიკა); სვანეთის საერისთავო „აფხაზთა სამეფოს" შემადგენლობაში; „მეფეთა დივანი" როგორც საისტორიო წყარო; დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზთა სამეფო" და მისი საზღვრები; ქართველ მეფეთა ტიტულატურის შესახებ - „მეფეთა-მეფე"; „აფხაზთა სამეფოს" შესახებ;

შალვა გლოველი არის 20-მდე სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და რამდენიმე სამეცნიერო კრებულის სარედაქციო საბჭოს წევრი. ასევე 7 საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი თუ მონაწილე.

ელ-ფოსტა/e_mail: gloveli1972@gmail.com

**Shalva Gloveli**

Ph.D. historian. Head of the scientific-analytical and publishing-editorial department, Chief Researcher of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. He works at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, He works at the Institute of History and Ethnology (Head of the Scientific Library); Shalva Gloveli's Dissertation is named "The Kingdom of Abkhazians". His scientific researches are about: The Formation State - "The Kingdom of Egrisi-Abkhazians"; Bedia; "The Kingdom of Abkhazians"; The Kingdom of Abkhazians and struggle of the Georgian Politicians for the Unification of Georgia; The Abkhaz Kingdom and "Mamasakhlisi" Institution; The Abkhaz Kingdom, Signoral system; The Egrisi Kingdom; The Pieces on History of the Joint Reigning in Georgia; The Formation of West Georgian State - "The Kingdom of Abkhazians"; The principality of Svaneti in the "Abkhazian Kingdom"; "Mepeta Divani" as a Historical Source; West Georgian State - "The Kingdom of Abkhazians" and boundaries; About the Title of the Georgian Kings - "Mepeta-Mepe"; About The Kingdom of Abkhazians"; Shalva Gloveli is a participant in about 20 scientific conferences and he is a scientific member of the Editorial Board, as well as 7 grant project manager or participant.

**ბეჟან ხორავა**



ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ ენებზე. 2011 წელს წიგნის `ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი

უძველესი დროიდან დღემდე~ ქართულ (2007), რუსულ

(2009), ინგლისურ (2011) ენებზე მომზადებისა და გამოცემისათვის, ავტორთა კოლექტივთან ერთად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. 2011 წელს წიგნისათვის `აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე~, გიორგი შარვაშიძის პრემია მიენიჭა. დაჯილდოებულია უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია

II-ის მადლობის სიგელით. არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და წმინდა ამბროსი მარტირის (ისტორიის, ჰერალდიკის, გენეალოგიის, სამართლის) საერთაშორისო აკადემიის (იტალია) წევრად.

ელ-ფოსტა/e_mail: bxorava@yahoo.com

**Bezhan Khorava**

Doctor of History, Professor  of Sokhumi State University. Researches the issues of the history of Georgia and Caucasian people. His works are published in Georgian, Russian, English and Turkish languages. In 2011 he was awarded with a Certificate of Appreciation of the Supreme Council of Abkhazia together with the team of authors for preparation and publishing of the book “Assays from the History of Georgia. Abkhazia from ancient times till the present days” in Georgian (2007), Russian (2009) and English (2011) languages. In the same year, he was awarded with a State prize of Giorgi Sharvashidze for the book “Abolition of the Princedom of Abkhazia and Mikhail Shervashidze”. He was awarded with a Certificate of Appreciation of Catholicos-Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II. He is a member of Abkhazian Regional Academy of Sciences (Georgia) and of International Academy of Saint Ambrose Martyr (History, Heraldry, Genealogy, and Justice) (Italy).

**კახა კვაშილავა**



ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ლექციებს კითხულობს რამდენიმე აკრედიტირებულ (სახელმწიფო და კერძო) უნივერსიტეტში. არის საერთაშორისო რედკოლეგიის წევრი ჟურნალისა „Black Sea Journal of Public and Social Science" (თურქეთის რესპუბლიკა); აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „მადლობის სიგელი" /ორგზის/ „ქ. თბილისის საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროექტის „გავიროდმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ" წარმატებით განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის";

მისი სადისერტაციო თემა იყო „ისტორიული სამურზაყანო. XVII-XVIIIსს. მიჯნა – 1840წ."

გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის – 3 მონოგრაფია) ქართულ, თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე როგორც საქართველოში, ასევე – თურქეთსა და პოლონეთში.

იკვლევს ახალი და უახლესი პერიოდის აფხაზეთის ისტორიას, ქართულ-აღმოსავლური (ოსმალეთ/თურქეთი, ირანი, ავღანეთი) ურთიერთობათა ისტორიას.ტელეფონი: 577 96 38 18;

ელ-ფოსტა/e_mail: : kvashilava@sou.edu.ge ;

**Kakha Kvashilava** – Journalist, PhD in History, Associate Professor, Sokhumi State University;

Born January 15th, 1974 in Sokhumi. 1980-1991 was teaching at the Akaki Tsereteli Sokhumi Public School #6. In 1997 graduate with honors specialty History of Faculty of History and Law of Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

In 2002-2012 he worked at Association of Journalists "PostFactum" as a Journalist, radio presenter, script writer, project manager, member of the editorial board, Editor. There main directions were educational programs and IDPs' rights.

In 2002 he became a post-graduate student of Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. His dissertation topic, which was defeated in 2009, was "Historical Samurzakano. Turn of 17th-18th Centuries – 1840".

Till 2009 up today he has been working at Sokhumi State University. As an invited lecturer, he conducts lectures at several accredited (state and private) universities.

He is member of International editorial board of " The Black Sea Journal of Public and So-

cial Science"  (Republic of Turkey); Twice received Ministry "Certificate of Appreciation" of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia "For the successful implementation of the educational project "Deepening Knowledge of the History of Abkhazia" in Tbilisi Public Schools"; From 1998 Member of Intellectual Club "What? Where? When?"; Researcher of the Village History Researching Center of the Georgian Patriarchate.

Author of approximately 50 scientific works (including 3 monographs) in Georgian, Turkish, Russian and English languages in Georgia and as well as In Turkey and Poland.

He explores the history of Abkhazia in the new and recent times, the history of Georgian-Eastern relations (Ottoman/Turkish, Iranian, Afghan) relations.

He is a veteran of the war, involved in hostilities in Abkhazia.

Married.

**ოლივერ რაისნერი**



ევროპულ-კავკასიური კვლევების სრული პროფესორი, ოლივერ რეისნერი, 2016 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აგვისტომდე იყო ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი. 2000 წელს მიღებული აქვს ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი გოტინგენის წმინდა ავგუსტინეს უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ-ევროპის ისტორიის მიმართულებით ძირითადი თეზისით ,,ქართული ეროვნული მოძრაობის ფორმირების შესახებ''. იგი ჩართული იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნასა და შემუშავებაში, იგი აგრეთვე ხელმძღვანელობდა პირველ სამაგისტრო პროგრამას ,,ცენტრალური აზია/კავკასია-შესახებ ბერლინში ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში. 2000-2003 წლებში მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სამოქალაქო ინტეგრაციის პროექტში ,,ახალგაზრდების თანამშრომლობისთვის''. World Vision International-ში 2003-2005 წწ. იყო ჩართული. შემდგომ კი 2005-2015 წწ. იყო საქში ევროკავშირის წამომადგენლობის საქმეთა მენეჯერი ან მმართველი. მის საქმიანობაში შედიოდა განათლების ახალგაზრდობის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა. მან აგრეთვე თავი მოუყარა ვრცელ ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. გარდა ამისა, ევალებოდა საქართველოს ევროკავშირის თანამშრომლობის შეფასება და მონიტორინგი. ასევე, ჩართული იყო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მხარდაჭერილ ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსთა პირველ პროექტში, ამიტომ იგო მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალგაზრდობის ფართო სპექტრთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნა სტატიებიქვეყნისევროპეიზაციის,რელიგიის,სამოქალაქოსაზოგადოებისშესახებ. მისი ავტორობით დაიწერა საქართველოს „ბერტელსამანის ტრანსფორმაციის ინდექსი" 2016, 2018, 2020 წლების ანგარიშები. ის არის ერთ-ერთი დამფუძნებელი/აღმასრულებელი წევრი ,,კავკასიის ევროპული კვლევების ასოციაციაში'' (AESC)

აგრეთვე მრჩეველთა კომისიის საბჭოს წევრი ,,უმცირესობათა უფლებების ევროპულ ჟურნალში’’ ( EJM). გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია და 20-ზე მეტი სხვადასხვა კვლევა გერმანულ, ქართულ და ინგლისურ ჟურნალებში და ამჟამადაც აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. ამჟამად ხელმძღვანელობს კვლევით პროექტს ,,საქართველოს მცირე ურბანულ ერთეულებში სოციალური ურთიერთობების შესახებ’’ (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობას. ამრიგად, ის ამ პროექტში, როგორც მის წვლილ საქმიანობაში, ერთმანეთთან აერთიანებს აკადემიურ ცოდნას კულტურათა ურთიერთობას და პრაქტიკულ გამოცდილებას.

ელ-ფოსტა/e_mail: oliver.reisner@iliauni.edu.ge

**Oliver Reisner** is full professor in European and Caucasian Studies, holder of Jean Monnet Chair from September 2016 until August 2018. He received his Dr. phil. degree in East European History for a thesis on the formation of the Georgian national movement at Georg-August-University Gottingen in 2000. He was involved in assessing Georgian history textbooks at Georg Eckert Institute in Brunswick (Germany) and coordinated the first post-graduate MA programme “Central Asia / Caucasus” at the Central Asian Studies Department of Humboldt University Berlin (2000-2003). After managing an EU-funded civic integration project “Intercommunal Centre for Youth” (EIDHR) with World Vision International (2003-2005) he worked as operations manager at the Delegation of the European Union to Georgia (2005-2015). There he was in charge of cooperation in the field of education, youth, minorities and thus collected a wide array of insights from Georgia’s regions. Besides that he was in charge of monitoring and evaluation of the EU-Georgia cooperation. He was involved in the participatory elaboration of the first youth policy of Georgia supported by UNDP and is therefore well connected to a broad range of youth and other organisation all over Georgia. Recently he published articles on Europeanisation, religion, the specifics of civil society in Georgia. He authored the country reports for Georgia of the Bertelsmann Transformation Index 2016, 2018 and 2020. He is a board member of the “Association of European Studies for the Caucasus” (AESC) and member of the advisory council of the “European Journal of Minority Issues” (EJM). He published a monograph and more than 20 papers in German, Georgian and English journals as well as in several volumes so far. Currently he is leading a research project “In Search of Social Cohesion in Minor Urban Settings of Georgia” (Rustaveli National Science Foundation), which has a strong focus in youth and intergenerational dialogue. Thus, he combines academic country expertise with practical experience and intercultural awareness as his contribution to the project.

Email: oliver.reisner@iliauni.edu.ge

**ტიმოტი ბლაუელტი**



პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი: ACTR / ACCELS

